



ისტორიული გეგვიდრაობა

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2016 წ. ივნისი, №6(69), ფასი 3 ლარი

ქართველი,
რომლის
წინააღმდეგ
თითოეული
ჩვენგანი
15 ვალვია

19 კატარ-
გურგული
ქართველების
ლიტერატურული
მოღვაწეობა

სტუდენტური
ხსოვრება
კატარგურის
24 პოლიტიკური
ნიკარ
ინსტიტუტი

34 «ორასი
თურქის
მოგვიწოდებდა
უომრობასს
სწიოდა...»

«ლოცვასავით ნარმოთქმული სიტყვა დიდი გეგვიდრაობისა»


ყოველ ქართველს საქართველოს
ნანიღისა, — გურული იქნება, გეგვიდრაობი,
იქნება, ქახალი თუ ქართლელი, ჩვენის
ერთიანის ოჯახის კარი ღია აქვს, რომ
ჩვენს სწავლას ჩირსა და ლხინში ქმური
მონაწილეობა მიიღოს. ეს არამხოლოდ
უფლებას თითოეულის ჩვენგანისა,
უნებინდესი მოვალეობაა. ქმობა და
ერთობა ამაშია, ეგ ქმობა და ერთობა არის
იგი კლდე, რომელზედაც უნდა აუწინდეს
დიდი სანახლე ჩვენის ხსოვრებისა.



7

ვლადიმერ მიქელაძე:

„თოთხმეტი საუკუნე იზრძოდა ქართველმა ხალხმა,
რომ დაეხსნა სარწმუნოება, შეერჩინა ენა, ეროვნება.
ამ სამსახურს საუწინდესი ძლევამოსილი მფარველი
გაუჩნდა და ეს მფარველი დიდგვული რუსეთია.“ 10



კატრა გელიქვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი 4

«კატრა გელიქვილი იყო
უნებარო, კეთილგობილი,
ქველმოქმედი. რექტორის
თანამდებობაზე ყოფნისას
ხელფასი არასოდეს აუღია.
მატარიალურად ეხმარებოდა
ხელმოქლე სტუდენტებს, თანაც
სტუდენტური ორგანიზაციის
საშუალებით, რომ სტუდენტებს
უხერხულად არ ებრძნოთ თავი»



სარჩევი

უნივერსიტეტის პირველი პროფესორები

■ პეტრა ელიჩივილი – თბილისის სასულიერო უნივერსიტეტის პირველი რექტორი	4
ილიას გაკვეთილები	
■ «ლომსასავით ნაკრთქველი სიტყვა დიდი მამულიწვილისა»	7
საზოგადო მოღვაწე	
■ ალექსანდრა სიგუა: ვლადიმერ მიქალაქის ღვაწლი და ავაგი	10
სსიგნა	
■ ქართველი, რომლის წინაშე თითოეული ჩვენგანი ვალშია	15
ქართვლები რუსეთში	
■ პეტარბურგელი ქართველების ლიტერატურული მოღვაწეობა	19
მეგობრობა გზად და ხიდად	
■ სტუდენტური მსოფრთხი პეტარბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტი	24
პრესის არქივიდან	
■ «დაჩაბრული» საქართველო	30
მამულიწვილი	
■ «ოჩასი თურქის მოქვლელი უოგრობასა სჩიოდა...»	34
სპეციალისტის თვალსაზრისი	
■ გარემოს დაზიანა და გუნებათსარგებლოების ეკონომიკური რეგულირება	37
რა ხელმა ააბო...	
■ ქველი ქართული სურთომოქვრება	39
ახალი ტექნოლოგიები	
■ ჩვენი პლანეტის ტექნოლოგიური მოგვარული ოჩანის ფსქერზე დავს	46
იუბილე	
■ რეზო გაბრიანი – 80	50

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი
„ისტორიული მემკვიდრეობა“

სარედაქციო კოლეგია

პასუხისმგებელი რედაქტორი ღარეჯან ანდრიამე

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

UDC (უბაკ) 050 (479.22)

0-892



პეტრე მელიქიშვილი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი

1917 წლის თებერვლის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე პეტერბურგში მყოფმა პეტერბურგის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა ივანე ჯავახიშვილმა საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის გახსნისათვის აქტიურად დაიწყო მზადება.

12 მაისს თბილისში, პეტრე მელიქიშვილის ბინაში, უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელთა პირველი შეკრება გაიმართა. კრებას ექვთიმე თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა. ამ დღეს დაარსდა „ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის“ საზოგადოება, რომელმაც დიდი როლი შეასრულა უნივერსიტეტის დაარსების საქმეში.

1917 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტის დამფუძნებელთა მუშაობა უმაღლესი სასწავლებლის გასახსნელად კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა. გადაწყდა, რომ თავდაპირველად დაარსებულიყო მხოლოდ ერთი – სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, რომელიც გააერთიანებდა ჰუმანიტარულ დარგებს, აგრეთვე, ბუნებისმეტყველებასა და მათემატიკას. დეკემბრის ბოლოს პრესაში უკვე გაჩნდა განცხადება ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტების მიღების თაობაზე.


კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი 1918 წლის 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, გაიხსნა. ახალდაარსებულ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდნენ: ივანე ჯავახიშვილი, იუსტინე აბულაძე, გიორგი ახვლედიანი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანისა, დიმიტრი უზნაძე, ვანდა ღამბაშიძე, ილია ყიფშიძე, იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, ანდრია რაზმაძე, ივანე ბერიტაშვილი, გრიგოლ წერეთელი, ანდრია ბენაშვილი.

ასტრონომიისა და გეოდეზიის პროფესორ ანდრია ბენაშვილზე ყურნალის წინა ნომერში ვისაუბრეთ, ამჯერად მკითხველის ყურადღებას პეტრე მელიქიშვილზე შევაჩერებთ, რომელსაც უმძიმესი და საპასუხისმგებლო ტვირთის ზიდვა მოუხდა, რადგან ის ახალდაარსებული უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს.

ქართული უნივერსიტეტის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი პეტრე მელიქიშვილი 1918 წლის 13 იანვარს პროფესორთა საბჭოს პირველ ოფიციალურ სხდომაზე ქართული უნივერსიტეტის პირველ რექტორად აირჩიეს. თავდაპირველად დღის წესრიგში ივანე ჯავახიშვილის კანდიდატურა იდგა, მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა და რექტორის საპატიო პოსტზე ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის დამსახურ-

ებული პროფესორის, საერთაშორისო აღიარების მქონე მეცნიერის — პეტრე მელიქიშვილის კანდიდატურა წამოაყენა. თავისი წინადადება ივანე ჯავახიშვილმა შემდეგი სიტყვებით დაასაბუთა: **პეტრე მელიქიშვილი ცნობილი მაცნიერია რუსეთშია და საზღვარგარეთა და მისი არჩევა დიდ პრასტიჟს შეუქმნის ჩვენს უნივერსიტეტსო.**

პეტრე მელიქიშვილი დაიბადა



1850 წლის 11 ივლისს ქ. თბილისში, განათლებული, ქართული ტრადიციების მქონე ოჯახში, სადაც არაერთხელ შეკრებილან ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ბესარიონ და ნიკო ლოლობერიძეები, გიორგი წერეთელი, სერგი მესხი და სხვები. ცხადია, ეს დიდ ზეგავლენას მოახდენდა მომავალ მეცნიერზე, რაც მისმა შემდგომმა მოღვაწეობამაც დაადასტურა.

პეტრე მელიქიშვილის მშობლები ახალციხიდან (მესხეთი) თბილისში გადმოსახლებულან. პეტრეს მამა — გრიგოლი პროგრესული პიროვნება იყო, ყოველთვის ცდილობდა სასარგებლო საზოგადოებრივი საქმის წამოწყებას. მაგალითად, აღსანიშნავია გრიგოლის მოღვაწეობა ქ. თბილისში ქართული სტამბის დაარსებისთვის.

ათი წლის პეტრე მელიქიშვილი



თბილისის პირველ გიმნაზიაში მიაბარეს, სადაც წარჩინებული სწავლით გამოირჩეოდა და კლასიდან კლასში ქების სიგელით გადადიოდა. 1868 წელს პეტრემ წარმატებით დაამთავრა გიმნაზია, ხოლო 1869 წელს ოდესის უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე განაგრძო სწავლა. ფაკულტეტზე იმ დროს თავი მოიყარა დემოკრატიული იდეებით აღჭურვილმა პროფესორამ. მათ შორის იყვნენ: ქიმიკოსები – ვერიგო და სოკოლოვი; ბოტანიკოსი – ცენკოვსკი, ფიზიოლოგი – სეჩენოვი, ბიოლოგები – კოვალსკი, მეჩნიკოვი და სხვები. ამავე ფაკულტეტის უკანასკნელ კურსზე სწავლობდა შემდგომში გამოჩენილი მეცნიერი ვასილ პეტრიაშვილი. ვასილ პეტრიაშვილი და პეტრე მელიქიშვილი იმთავითვე დაახლოვდნენ, რაც შემდგომ მტკიცე მეგობრობაში გადაიზარდა.

ეს პერიოდი ქიმიის ისტორიაში ითვლება უდიდეს აღმოჩენათა პერიოდად, როცა გარკვეულობა იქნა შეტანილი ატომის, მოლეკულისა და ატომურ-მოლეკულური

თეორიის არსში. ის წლები, აგრეთვე, უდიდესი წარმატებებით აღინიშნა ორგანულ ქიმიაში. ყოველივე ამას საფუძვლიანად ეუფლებოდა პეტრე მელიქიშვილი, რამაც ხელი შეუწყო მომავალი მეცნიერის ჩამოყალიბებას.

პეტრე მელიქიშვილმა 1872 წელს, ორი წლით ადრე (ექსტრენის წესით) წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი; 1873 წელს გამოქვეყნდა მისი პირველი მეცნიერული ნაშრომი. მალე საზღვარგარეთ გაგზავნეს, საიდანაც 1875 წელს დაბრუნდა და ოდესის უნივერსიტეტში დაიწყო მუშაობა. იკვლევდა ორგანული მჟავების სინთეზსა და ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს. მისმა შრომამ აკრილმჟავაზე მალალი შეფასება დაიმსახურა. 1881 წელს სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმატებით დაიცვა დისერტაცია. 1884 წელს აირჩიეს აგრონომიული კათედრის დოცენტად. ერთი წლის შემდეგ კი სადოქტორო დისერტაცია დაიცვა და თეორიული ქიმიის კათედრის პროფესორად დაამტკიცეს.

1885-1917 წწ. მელიქიშვილი იყო ნოვოროსიის უნივერსიტეტის აგ-

რონომიული ქიმიის კათედრის პროფესორი. **მელიქიშვილი იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც მიიღო ორგანულ ნაერთთა კლასი, რომელთაც გლიციდმჟავები უწოდა.** მელიქიშვილმა თავის მოსწავლე ლევ პიზარჟევსკისთან ერთად მიიღო ზოგიერთი ელემენტის ზემოქმედება. მათ ასევე აჩვენეს, რომ წყალბადის ზეჟანგის მრავალი სავარაუდო ფორმულიდან ყველაზე სწორი დამისაღებია H-O-O-H. მელიქიშვილი იყო პირველი, ვინც მიიღო ამონიუმის ზეჟანგი და ნატრიუმის პერბორატი.

პეტრე მელიქიშვილის ენციკლოპედიური განათლება, მისი კლასიკური გამოკვლევები ქიმიაში მჭიდროდ უკავშირდება პრაქტიკულ სამუშაოებს საქართველოში. იკვლევდა ჩაქვის ჩაის, ხორბლის კულტურებს; მისი და მისი მოწაფეების მიერ შესრულებული სამუშაოები ეხება მოსავლიანობის ამაღლებას, მცენარეთა დაცვას, ღვინის ხარისხის გაუმჯობესებას, ყველის დამზადების ტექნოლოგიას და სხვ.

1893 წლიდან პ. მელიქიშვილი ძირითადად მუშაობდა არაორგანულ ქიმიაში ზეჟანგურ ნაერთებ-






ზე. 1900 წელს მელიქიშვილმა ლევ პიზარჟევსკისთან ერთად მიიღო პეტერბურგის აკადემიის უმაღლესი ჯილდო — ლომონოსოვის პრემია მონოგრაფიისთვის ზემოთხსენებულ და ზეჟანგების შესახებ, რომელიც 1899 წელს გამოსცა. ამ შრომას მაღალი შეფასება მისცა დიმიტრი მენდელეევი (და, აგრეთვე, მენდელეევისგან დამოუკიდებლად მომუშავე ლოთარ მაიერის) სისტემის მტკიცე დასტურს.

მრავალფეროვანი იყო პ. მელიქიშვილის მეცნიერული მოღვაწეობა. მან შექმნა 80-ზე მეტი ნაშრომი ქიმიის სხვადასხვა საკითხზე.

რექტორის მოვალეობის შესრულების გარდა, პეტრე მელიქიშვილი კითხულობდა ლექციებს, ურთიერთობა ჰქონდა სტუდენტებთან, ზრუნავდა სამშობლოსთვის კვალიფიციური სპეციალისტების მოსამზადებლად.

1919 წლის 11 ოქტომბერს პ. მელიქიშვილმა ერთ-ერთ პროფესორთან მომხდარი სიტყვიერი ინციდენტის გამო რექტორობიდან გადადგომა ითხოვა. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ დააკმაყოფილა მისი თხოვნა. 1919 წლის 17 დეკემბერს თსუ-ის რექტორად ივანე ჯავახიშვილი აირჩიეს. პ. მელიქიშვილი 1918-27 წლებში იყო ორგანული ქიმიის კათედრის გამგე, 1921 წლის 30 ივლისს კი აგრონომიული ფაკულტეტის დეკანად აირჩიეს.

რექტორის მოვალეობის შესრულებისგან განთავისუფლების შემდეგ პ. მელიქიშვილის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა კიდევ უფრო გაფართოვდა. როგორც გამორჩენილი ქიმიკოსი, იგი აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო საზოგადოებების დაარსებაში, გამომდიოდა მოხსენებებით სხვადასხვა ყრილობასა და კონფერენციებზე, სადაც ყოველთვის ხაზს უსვამდა სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და გუნებრივი სიმდიდრის რაციონალური გა-



მოყვანების აუცილებლობას.

ქართველმა ხალხმა 1923 წელს აღნიშნა სასიქადულო მამულიშვილის პედაგოგიური და სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავი. იუბილე დიდ ზეიმად იქცა. ეს იყო პ. მელიქიშვილის, დიდი მეცნიერისა და მოქალაქის, საყოველთაო აღიარება.

პეტრე მელიქიშვილი დიდხანს ცხოვრობდა რუსეთში და ქართულად კარგად ვერ ლაპარაკობდა, მაგრამ ლექციებს მაინც ქართულ ენაზე კითხულობდა, რაც დიდ ნებისყოფას საჭიროებდა. სწორედ მისი დამსახურებაა ქართულ ენაზე ქიმიური ტერმინოლოგიის შექმნა. ეს დიდი საქმე შემდგომ მისმა მოწაფეებმა — ნინო ციციშვილმა და რუსუდან ნიკოლაძემ განავითარეს.

პეტრე მელიქიშვილს უყვარდა მუსიკა, ლიტერატურა, ხელოვნება, აინტერესებდა ენათმეცნიერება. საზღვარგარეთ ყოფნისას მან გაიცნო ენათმეცნიერი პუგო მუხარდტი, რომელიც სწავლობდა მსგავსებას ბასკურ და კავკასიურ ენებს შორის. მუხარდტმა ქართული ენის შესწავლაც დაინიშნა, რაშიც დიდად ეხმარებოდა პეტრე მელიქიშვილი. მადლობის ნიშნად მუხარდტმა თავისი ერთ-

ერთი შრომა ქართველ მეგობარს მიუძღვნა.

პეტრე მელიქიშვილს უამრავი მოწაფე ჰყავდა, რომელთაგან ბევრმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. მათგან საკმარისია დავასახელოთ ა. ფერსმანი, ნ. ზელინსკი და ლ. პიზარჟევსკი.

პეტრე მელიქიშვილი იყო უანგარო, კეთილშობილი, ქველმოქმედი. რექტორის თანამდებობაზე ყოფნისას ხელფასი არასოდეს აუღია. მატარიალურად ეხმარებოდა ხელმოკლე სტუდენტებს, თანაც სტუდენტური ორბანიზაციის საშუალებით, რომ სტუდენტებს უხარხულად არ ებრძნოთ თავი.

1927 წლის 15 იანვარს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს. სამწუხაროდ, იგი მალე, 23 მარტს, 77 წლისა გარდაიცვალა, სულ პატარა რამემ იმსხვერპლა: თითი გაეჭრა და განგრენა განუვითარდა, დიაბეტის ფონზე კი ეს სასიკვდილო აღმოჩნდა. დაკრძალულია უნივერსიტეტის I კორპუსის ბაღში. მის საფლავზე დადგმულია ბიუსტი, რომლის ავტორია იაკობ ნიკოლაძე. მის დაკრძალვას უნივერსიტეტის ბაღში უამრავი ხალხი ესწრებოდა.

ლევ სვანიკე



«ლოცვასავით წარმოთქმული სიტყვა დიდი მამულიშვილისა»

1895 წელს მაისში გაიმართა თავადაზნაურთა ბანკის საერთო კრება, რომლის ანგარიში დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1895 წლის 20 მაისის ნომერში (№104). კრებაზე სიტყვით გამოვიდა ილია ჭავჭავაძე. „ილიას ეს სიტყვა ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა გიყვარდეს შენი სამშობლო, შენი ერი, შენი ენა, შენი მამული და ამიტომ იგი, ვფიქრობ, შეტანილი უნდა იქნას ქართული ენის სახელმძღვანელოში, ილიას ეს წერილი არ არის ჩვეულებრივი პუბლიცისტურ-კრიტიკული წერილი, არამედ იგი არის ლოცვასავით დაწერილი, ლოცვასავით წარმოთქმული სიტყვა დიდი მამულიშვილისა“ (ალექსანდრე სიგუა).



კრებაზე ვლადიმერ მიქელაძე მხარს უჭერდა ილია ჭავჭავაძის საბანკო საქმიანობას (ვლადიმერ მიქელაძე ფართო დიაპაზონის საზოგადო მოღვაწე იყო, ამაში მას ხელს უწყობდა ნიჭი, განათლება, ცოდნა, პრომისმოყვარეობა და მამულის სიყვარული). და როდესაც კრებაზე სიტყვას ამბობდა, ნიკოლოზ ორბელიანს გაჯავრებით წამოუძახნია: „ის არის სხვა ქვეყნიდან მოსული და ჩვენ თავადაზნაურობასთან არავითარი ზნეობრივი კავშირი არ მიუძღვისო. თავადი მიქელაძე ისე გულწრფელად ვერ იზრუნებს ჩვენთვის, როგორც ღვიძლი შვილი ჩვენი გუბერნიისაო“. ნ. ორბელიანის პროვოკაციულ გამოხედობაზე ვლადიმერ მიქელაძეს იქვე გაუცა პასუხი: „თავადო, რატომ არ იცით, რომ ეს ჩვენი კრება ბანკის კრებაა, რომელსაც თავისი განსაზღვრული გზა და საგა-

ნი აქვს, იმას არავითარი კავშირი არა აქვს კანონის ძალით გუბერნიის თავადაზნაურთა კრებასთან... თავადი ორბელიანი სხვა ქვეყნიდან გადმოსულს მიწოდებს. ვწუხვარ, რომ ასეთი ვინრო წარმოდგენა ჰქონია ორბელიანს ჩვენს ქვეყანაზე, ჩემი ქვეყანაა იქაც, სადაც ახლა ვმოქმედებ,

«ჩვეულაბად მაქვს მიღებული, მოუფადაბელი არსად წავეჩხირო!» – ილია

მთელი საქართველო ჩემი ქვეყანაა. ყველგან მაქვს ადგილი და ყველგან გავჩნდები, როცა ჩემი წმინდა მოვალეობა მოითხოვს. ჩემი მოვალეობაა ჩემი ქვეყნის სამსახური; სადაც კი ქართული ენა ისმის, ყველგან ჩემი ქვეყა-

ნაა, ყველგან მოვალე ვარ ჩემი აზრი ვთქვა, ჩემი ძალ-ღონე და ცოდნა მსხვერპლად მივიტანო... იმერეთისა და ქართლ-კახეთის შუა გაყრის საზღვარს არ ვდებ, იქაც ჩემი ქვეყანაა და იქაც, ყველგან ერთნაირის ძალ-ღონით, სურვილითა და მეცადინეობით ვმოქმედებ. ეს არის ჩემი საღმრთო მოვალეობა“. ასეთი მტკიცე და დამაჯერებელი პასუხი გასცა ვლადიმერ მიქელაძემ ნ. ორბელიანის გამოხედობას. მაგრამ აქ საინტერესოა ილია ჭავჭავაძის გამოხედობა ვლადიმერ მიქელაძისა და ნ. ორბელიანის კამათის გამო. ილიას ეს სიტყვა, რომელიც თითქმის ასი წლის წინ დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“, მთლიანად მოგვყავს: „მე, ბატონებო, გუშინ და გუშინწინ ვერ დავესწარი კრებას ბან-

მე ვებრძვი აზრს და ამ აზრის გამოსარკვევად მარტო საჭიროა ვისოდით ის კი არა, ვინა სთქვა, არამედ ის, ვის უთხრას. ეს უთხრას იმიერ ქართველს. როგორ? იმიერ ქართველი აჰ, ჩვენს ქაბაზუი, ამ ჩვენს საქართველოში მოსულია, უხსონ და არა სახლიკასი, არა სისხლსორსი იმ დიდი ოჯახისა, რომელსაც საქართველო ჰქვინა? არა, ბატონებო...



კისავე საჭირო საქმის გამო. გაზეფებიდან და კრების ოქმიდან შევიტყვე, რომ გუშინწინ ჩემი ქება-დიდება მოგისმენიათ ერთის ორატორისაგან. რაც ამ ორატორს უნებებია ჩემი უკადრისად ხსენება, მე იმას ყურადღებას არ ვაქცევ. ბოლოს თქმულა ერთი რამ ასეთი, რომელმაც შეადრწუნა ჩემი მამულიშვილური გრძობა და ეს არ შემოძლიან აღუნიშვნელად დავტოვო. აქ ერთს ორატორს მეორეზედ უთქვამს: ეგ მოსული არისო და ჩვენთან არავითარი კავშირი არ აქვსო. მე არ ვახსენებ, ვის უთქვამს ეს. მე მთქმელთან საქმე არა მაქვს-რა. **მე ვებრძვი აზრს და ამ აზრის გამოსარკვევად მართო საჭიროა ვიცოდეთ ის კი არა, ვინა სთქვა, არამედ ის, ვის უთხრეს. ეს უთხრეს იმიერ ქართველს. როგორ? იმიერ ქართველი აქ, ჩვენს კრებაში, ამ ჩვენს საქართველოში მოსულია, უცხოა და არა სახლიკაცი, არა სისხლხორცი იმ დიდი ოჯახისა, რომელსაც საქართველო ჰქვია? არა, ბატონებო... ყოველს ქართველს საქართველოს ნაწილისას, — გურული იქნება, მეგრელი, იმერელი, კახელი თუ ქართლელი, ჩვენის ერთიანის ოჯახის კარი ღია აქვს, რომ ჩვენს საერთო ჭირსა და ლხინში ძმური მონაწილეობა მიიღოს. ეს არამცთუ უფლებაა თითოეულის ჩვენგანისა, უფმინდესი მოვალეობაა. ძმობა და ერთობა ამაშია, ეგ ძმობა და ერთობა არის იგი კლდე, რომელზედაც უნდა**

აშენდეს დიდი სასახლე ჩვენის ცხოვრებისა.

ეს თითქმის ექვსი საუკუნეა მას აქეთ, რაც საქართველო დაირღვა, დანაწილდა, ეს ექვსი საუკუნეა მას აქეთ, რაც ჩვენი მამა-პაპანი, ჩვენი უკეთესნი და უდიდესნი მამულისშვილნი, ჩვენი გენოსები, ჩვენი ვაჟკაცი და მეომარნი, ჩვენნი მსწავლულნი და მეცნიერნი სისხლის ღვრით იღწვოდნენ, რომ მკვდრეთით აღედგინათ ჟამთა ვითარებისაგან დარღვეული და დამხობილი ძმობა და ერთობა. ამას შესწირეს თავისი სახელოვანი სიცოცხლე, თავისი სისხლით და ღვანლით შემოსეს და აკურთხეს.

მთელმა თაობამ მეცხრამეტე საუკუნისამ ამას შეაღია თავისი პატიოსანი ძალ-ღონე, თავისი სისხლი და ხორცი, თავისი ნიჭი საქმისა და მეტყველებისა. ან განსვენებულმა ჩვენმა მწერალმა ვახტანგ ორბელიანმა მთელის თავისის მხურვალე გულისძვერით ალთქმად დასდვა, ანდერძად დაგვიტოვა, რომ **ძმობა და ერთობა კლდეა და ამაზედ ააშენეთ თქვენი ბედნიერებაო, ამაშია ჩვენი იმედი, ჩვენი სასოება.**

დღეს სხვას გვეუბნებიან, დღეს უნდათ, ერთმა ნაწილმა საქართველოსამ მეორეს უთხრას, შენ ჩვენს შორის მოსული ხარო! სამართლიანი გულისწყრომა მამულიშვილობისა ამ აზრს ვერ მიიკარებს. მე ამით ვაცხადებ ჩემ მაგიერ და ჩემთა თანამოაზრეთა სახელით, რომ მამულისშვილურ

გრძობის წყევლა-კრულვით ჩვენ ზურგი შეგვიქცევია ამ უკეთურ აზრისათვის. თქვენც მოგიწევთ, ასე მოიქეცით. დეე ამ უკეთურმა აზრმა იქვე გაითხაროს თავისი საკადრისი სამარე და დაიმარხოს, სადაც დაიბადა და აკვანი დაიდგა“.

ვლადიმერ მიქელაძე თავისი გამოსვლებით და გულწრფელი მოღვაწეობით ჩვენი საზოგადოებრიობის დიდ ყურადღებას იპყრობდა. აი რას წერს გიორგი ლასხიშვილი თავის მოგონებაში ვლადიმერ მიქელაძის შესახებ: „ცოტა უფრო ადრე თბილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკის საბჭოს წევრად ამირჩიეს. ამ ბანკის მმართველად იყო ჩემი კარგი ძველი ნაცნობი, აგრეთვე, ქართველი მწერალი და მოღვაწე ვლადიმერ მიქელაძე, მიქელაძე წინათ პედაგოგი იყო, მაგრამ მალე თავი დანება სამსახურს, დაიწყო მწერლობა და საზოგადო მოღვაწეობა. წერდა რუსულ გაზეთებში, უმთავრესად „ვეტერანის“ ფსევდონიმით, ქართულ გაზეთში კი უფრო „დავინწყებული მწერლის“ ფსევდონიმით. იყო ნიჭიერი და ჭკვიანი ადამიანი, ძალიან ეხერხებოდა ლაპარაკი. საზოგადოებაში მის გამოსვლას ყოველთვის დიდი ყურადღებით უსმენდნენ... იმ ხანებში პეტერბურგს მონვეული იყო მთელი რუსეთის საბანკო მოღვაწეთა ყრილობა. იქაც კი მოახერხა ვლადიმერმა თავის გამოჩენა იმდენად, რომ ახლად დაარსებული რუსეთის ყველა საურთი-

ილია ჭავჭავაძე:
ღღას უნდათ, ერთმა ნაწილმა საქართველოსამ მეორეს უთხრას შენ ჩვენს შორის მოსული ხარო! სამართლიანი გულისწყრომა მამულიშვილობისა ამ აზრს ვერ მიიკარებს. მე ამით ვახსენებ ჩემ მაგიერ და ჩემთა თანამოაზრეთა სახელით, რომ მამულისშვილურ გრძობის წყევლა-კრულვით ჩვენ ზურგი შეგვიქცევია ამ უკეთურ აზრისათვის. თქვენც მოგიწევთ, ასე მოიქეცით. დეე ამ უკეთურმა აზრმა იქვე გაითხაროს თავისი საკადრისი სამარე და დაიმარხოს, სადაც დაიბადა და აკვანი დაიდგა!



ერთო კრედიტის საზოგადოება-თა ცენტრალურ ბანკში გამგეობის წევრად იქნა არჩეული“.

ილია ჭავჭავაძესთან და სხვა გამორჩენილ მოღვაწეებთან ერთად ვლადიმერ მიქელაძე მუდამ იყო იმ დღეობა-ცივის წვერი, რომელიც მთავრობასთან მოლაპარაკებას ანარმობდა ჩვენს მრავალ ეროვნულ საჭირბოროტო საკითხზე. ილია ჭავჭავაძე ახალგაზრდა მწერალსა და პუბლიცისტში ხედავდა ნიჭს, ენერგიას, სამშობლოს სიყვარულს, გამბედაობას და ამიტომ დაიხსლოვა და ანგარიშს უწევდა მის ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას.



ვლადიმერ მიქელაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა, ასევე, აკაკი წერეთელთან, ვალერიან გუნიასთან, ექვთიმე თაყაიშვილთან და სხვა ჩვენს გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებთან. ილია ჭავჭავაძემ კი ვლადიმერ მიქელაძე, როგორც ნიჭიერი და გამოცდილი მუშაკი, ძალიან დაიხსლოვა და მისი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო, როგორც თბილისში, ისე საგურამოსა და ყვარელში. ეს მეგობრობა და სიყვარული ჩანს იმ წერილიდანაც, რომელიც ილიამ მისწერა ვლადიმერ მიქელაძეს.

„ძმა ვლადიმერ!

დღეს საღამოზე „სამეურნეო საზოგადოებაში“ საზოგადო კრება არის და კირიმგირეის მოხსენება იქნება შესახებ აქაურ ენების ხმარებისა აქაურ სკოლებში. მე მინდა, წინ აღუდგე, თუ აქაურ ენების წინააღმდეგი ლაპარაკი იქნება.

რადგანაც ჩვეულებად მიღებული მაქვს, მოუზადებლად არსად წავეჩნრო, ამიტომ დღეს სამსახურიდან რომ შინ წავალ, მაშინვე ამის სამზადისს შევუდგები. ამის მიზეზით დღეს შენთან სადილად ვერ ვისიამოვნებ და დიდსა და დიდს ბოდიშს ვიხდი. სხვა დროს იყოს, შენთან ქეიფი ყოველთვის სანატრელია და სასურველი.

შენი ილია ჭავჭავაძე“.

1908 წელს ჟურნალ „ნიშადურში“ (№59) დაიბეჭდა ვლადიმერ მიქელაძის წერილი „**მუდამ მომზადებული ილია**“; წერილი როდი ეხებოდა ილია ჭავჭავაძის ერუდიციას, მის მრავალმხრივ განვი-

თარებას და ნიჭს, იგი იმ ერთი წერილის გამოძახილია, რომელიც ილიამ პირადად გაუგზავნა ვლადიმერ მიქელაძეს. ვლ. მიქელაძემ შესანიშნავად შენიშნა ილიას ის დიდი თვისება, ის დიდი პატივისცემა და პასუხისმგებლობა, რომელსაც დიდი მწერალი ანიჭებდა საზოგადოებაში სიტყვით გამოსვლას.

„ძველ ქალაქებს ვათვალიერებდი, — წერს ვლადიმერ მიქელაძე, — წავახდინე ილია ჭავჭავაძის მოწერილ ერთ წერილს, რომელშიაც განსვენებული თავის თავს თვითონ ახასიათებს: „ჩვეულებად მაქვს მიღებული მოუზადებელი არსად წავეჩნრო“. და იქვე დასძინს წერილის ავტორი: **„ნათა იმ ერს, რომლის მოღვაწეთი ეს აქვთ ერთ-ერთ მცნებად აღიარებული“!**

ილია ჭავჭავაძის ყოველ სიტყვას, ყოველ მის წერილს, როგორც ერის მეთაურისას, კანონის ძალა ჰქონდა, ამიტომ იგი მუდამ დიდი ცოდნითა და მომზადებით გამოდიოდა საზოგადოების წინაშე. აქ მინდა ერთი შტრიხი გავიხსენოთ აკადემიკოს **ექვთიმე თაყაიშვილის** მოგონებიდან: „ერთხელ ილიასთან ვიყავი, იაკობ გოგებაშვილის წერილი მოუვიდა და მაშინვე უნდა გაეცა პასუხი, რალაცას ეკითხებოდა. დაჯდა ილია, დაწერა ერთი პატარა წერილი და დახია, დაწერა მეორე და ისიც დახია. მე ვუთხარი, რა ამბავია, ბატონო ილია, მაგ ერთი ბენო წერილისათვის ამდენი წვალევა-მეთქი? მიპასუხა: **„კაცო, პატარაა თუ დიდია, მაინც დოკუმენტია და ზერეულად არ შეიძლებაო... დამახასიათებელია! აშკარაა, რომ ილია ბრძოლად თავის ავტორიტეტს და იცოდა, თუ რა დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოჰკიდებოდა ყოველივე საძმის თავის სახელს“.**

ილია ჭავჭავაძე ყველაფერს პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდა, სასხვათაშორისოდ არაფერს აკეთებდა.

**ყოველს ქართველს საქართველოს ნაწილისას,
— გუკული იქნება, მეგრული, იმერული, კახელი თუ
ქართული, ჩვენის ერთიანის ოჯახის ქარი ღია
აქვს, რომ ჩვენს საერთო ჭირსა და ღწინი კმუკი
მონაწილეობა მიიღოს. ეს არამდებ უფლებასა
თითოეულის ჩვენგანისა, უწინდისი
მოვალეობაა. კმობა და ერთობა ამაშია, ევ კმობა
და ერთობა არის იგი კლდე, რომელზედაც უნდა
აუწინდეს დიდი სასახლე ჩვენის სსოვრებისა.**

ალექსანდრე სიგუა

ვლადიმერ მიქელაძის ღვანული და ახალი

XIX საუკუნე ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიაში ნაყოფიერი და მრავალფეროვანია თავისი შინაარსით. დიდი მწერლები, ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები, მხატვრები, კომპოზიტორები, სცენის აღიარებული ოსტატები, ფილოსოფიურად განსწავლულნი და ღრმად მოაზროვნე ადამიანები, აი რა მოგვცა XIX საუკუნემ. ასე ბრწყინავდა XIX საუკუნე არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთსა და მთელ დასავლეთ ევროპაში. ბევრმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ სწავლა-განათლება საზღვარგარეთ მიიღო. ამ განსწავლულმა ადამიანებმა თავისუფლების იდეები საქართველოში უშიშრად გადმოიტანეს და ხალხში დაიწყეს ახალი იდეების ქადაგება. ისინი, უპირველეს ყოვლისა, იყვნენ მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, ამიტომ მწერლების მოღვაწეობა და მათი შემოქმედება გახდა ჩვენი ხალხის ეროვნული წინსვლისა და სულიერი სიძლიერის წყარო. ქართველმა ერმა მწერალში იგრძნო და ჰპოვა დიდი ავტორიტეტი. ერის კულტურის, საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიისთვის აუცილებელია, შევისწავლოთ და გავიცნოთ თითოეული მოღვაწის საქმიანობა და ურთიერთობა ხალხთან, საზოგადოებასთან და, როგორც ილია წერდა, „აქ სულერთია, თქმაა ეს ღვანული თუ ქმნა“.

ვლადიმერ მიქელაძე, როგორც ამას 1907 წელს ჟურნალი „ნიშადური“ წერდა (№9), სტუდენტობის დროიდან იღებდა მონაწილეობას ქართულ და რუსულ მწერლობაში. მისი წერილები იბეჭდებოდა „Новороссийский телеграф“-ში („Письма из Германии“), „Голос“-ში, „Обзор“-ში, „Тифлисский вестник“-ში, „Новое обозрение“-ში, „Кавказ“-ში. ქართულად — „ივერიაში“, „დროებაში“, „ცნობის ფურცელში“, „კვალში“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში. ვლადიმერ მიქელაძეს რუსულ ენაზე ცალკე წიგნად გამოცემული აქვს „ათი დღე დაღესტნის მთებში“, „სამი რეფორმა“, „რუსული ცხოვრების გავლენა ქართულ ცხოვრებასა და ლიტერატურაზე“, „სახალხო კრედიტი“, „სახლი ღარიბებისათვის“ და სხვ.

იგივე ჟურნალი „ნიშადური“ აი როგორ ახასიათებს ვლადიმერ

მიქელაძის ნიჭს, უნარსა და საზოგადო მოღვაწეობას: „ვ. მიქელაძე ფრიად განვითარებული და დიდი ცოდნის პატრონია, მსოფლიო ისტორია და მწერლობა ზედმიწევნით აქვს შესწავლილი, ფხიზელი ჭკუა და საღი გონება ხელს უწყობს მის მჭევრმეტყველურ ნიჭს. ჩვენში არ არის არც ერთი სასარგებლო და საზოგადო საქმე, რომელშიც მონაწილეობა არ მიეღოს მას. ვლადიმერ მიქელაძე შედარებით ახალგაზრდა კაცია და ჯან-ღონით სავსე, სიტყვა და კალამი ერჩის და შრომის მოყვარული ადამიანია“.

ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი ვლადიმერ მიქელაძის შესახებ წერს: „მოსხენება ნაიკითხა ვლადიმერ მიქელაძემ, თბილისის რეალური გიმნაზიის ისტორიის მასწავლებელმა, რომელიც საერთოდ ჭკვიანი, განვი-

თარებული და მიხვედრილი კაცი იყო და თან სიტყვაც ერჩოდა... სხვათაშორის ის ვლადიმერ მიქელაძე ერთხანს ლექსებსა წერდა, ისე რომ, არტურ ლანტსაც კი აქვს ისინი გერმანულად ნათარგმნი. 1896-97 წლებში მან მიატოვა მასწავლებლობა და, სამეურნეო ბანკი რომ დავაარსეთ, იმის ერთ-ერთი დირექტორი გახდა. ექიმი, პროფესორი შალვა მიქელაძე მისი შვილი იყო“.

...ვფიქრობ, უფრო საინტერესო იქნება თვით ვლადიმერ მიქელაძეს მივცეთ სიტყვა და მოვიყვანოთ ადგილები მისი საინტერესო ბროშურიდან „ვინა ხარ შენ?“, რომელშიც ფართოდაა გადმოცემული ვლადიმერ მიქელაძის საზოგადოებრივი და სალიტერატურო მოღვაწეობა.

„ვინა ხარ შენ?“

ეს ბროშურა ავტორის მთელი მოღვაწეობის ნათელი და მორიდებული ისტორიაა, მისი ცხოვრების სახელოვანი ბიოგრაფიაა. და როდესაც ამ ბროშურას ვეცნობით, გაცვებული ვრჩებით, თუ როგორი დიდი განათლებისა და ცოდნის ყოფილა იგი და მამულის რა უზომო სიყვარულით ყოფილა ანთებული. ასეთი დიდი მამულიშვილი და პატრიოტი უმშვენებდა გვერდს ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს, იაკობ გოგებაშვილს, გიორგი წერეთელს და სხვებს.

ჩვენ გვინდა, საზოგადოებას შევახსენოთ, ხოლო ახალ თაობას გავაცნოთ მშობლისა და საზოგადო მოღვაწის, მწერლისა და პუბლიცისტის ვლადიმერ სიმონის ძე მიქელაძის ნამდვილად კოლორიტული ფიგურა.



ვლ. მიქელაძე სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა XIX საუკუნის 80-იან წლებში და გამოსვლისთანავე მკითხველთა შორის ფართო სახელი მოიპოვა, როგორც ნიჭიერმა ჟურნალისტმა და პრაქტიკულმა მოღვაწემ. მის კალამს ეკუთვის მრავალი საგაზეთო-საჟურნალო წერილი და ნარკვევი, როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე.

როდესაც XIX საუკუნის ბოლო-ხანების საქართველოს ისტორიას ვსწავლობთ, ვხედავთ, რომ არ არის ქართველი ერის ცხოვრებაში ისეთი დიდი თუ პატარა მოვლენა, რომელშიაც ვლ. მიქელაძეს მონაწილეობა არ მიეღოს და თავისი სიტყვა არ ეთქვას. ამის შესახებ წერენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, გიორგი ლასხიშვილი, იაკობ მანსვეტაშვილი და სხვა გამოჩენილი მოღვაწეები. ამ ავტორების წერილებიდან და მოგონებათაგან მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რა დიდი ავტორიტეტიანი და გავლენიანი კაცი ყოფილა ქართველ საზოგადოებაში ვლ. მიქელაძე.

1905 წელს, როდესაც ალიხანოვი გაბზავნას გურიის ასაკლებად, მეფისნაცვალ ვორონცოვთან დავუტაციაში ილიასთან ერთად ვლ. მიქელაძეც იყო, რომელმაც შესანიშნავი სიტყვა უთხრა ვორონცოვს, რათა მოეპრუნებინა გურიაში გაბზავნილი ალიხანოვის დამსჯელი რაზმი.

1894 წელს, როდესაც ქუთაისის ესტუმრა მინათმოქმედების მინისტრი ერმოლოვი, ქუთაისის თავადაზნაურობამ ვლ. მიქელაძეს სთხოვა, მინისტრისათვის სიტყვა ეთქვა. ვლ. მიქელაძე სთხოვს მინათმოქმედების მინისტრს, რომ საქართველოში დააარსონ სასოფლო-სამეურნეო სახელოსნოები და ტექნიკური სკოლები. ის უფრო შორს მიდის და მეფის რუსეთის მინისტრს აცნობს მაშინდელ საქართველოში არსებულ მძიმე პოლიტიკურ მდგომარეო-



ნენ თავის მორჩილებაში ჰყოლოდათ საქართველო, მაგრამ საქართველო მიემხრო ერთმორწმუნე რუსეთს“.

თითქმის ოთხმოცდაათი წლის წინათ მეფის რუსეთის მინათმოქმედების მინისტრის წინაშე ვლ. მიქელაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა თავისი შინაარსით და საკითხის დაყენებით მეტად გაბედული, ძვირფასი და საინტერესოა. ეს სიტყვა ჭეშმარიტი საზოგადო მოღვაწის სიტყვაა, რომელიც დაინტერესებულია თავისი ერის კეთილდღეობით, ეკონომიკური წინსვლით და რომ სოფელს ჰყავდეს მაღალკვალიფიციური კადრები. ის მთელი თავისი ცოდნით და ერის სიყვარულით გულწრფელად უმტკიცებდა მინისტრს და სთხოვდა, რომ საჭირო-

ჩემი მამული, ჩემი ძველანა, ჩემი ხალხი იყო მუდამ საბანი ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობისა, როგორც ქართულ, ისე რუსულ ნაწარმოებში. სიტყვით, კალმით და მოქმედებით, შეპლავისდაგვარად ჩემს ძველანას ვემსახურებოდი.

ბას, რომელიც შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში ირან-თათართა თარემის გამო, და ამბობს: „საქართველომ როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, თხუთმეტი საუკუნე გასტანა, ამ თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში ერთ ხელში ჯვარი გვეპყრა და მეორეში კი ხმალი, ამრიგად იგი ებრძოდა შუა აზიიდან შემოსეულ მტრებს: ჩინგიზ ყაენს, თემურ ლენგს, თათარ სელჯუკებს. ოსმალებისა და სპარსეთის ურდოები გრიგალივით მოედო მთელ საქართველოს. ეს კი საფრთხეს უქმნიდა დასავლეთ ევროპასაც. ჩვენმა ქვეყანამ ევროპის და აზიის საზღვარზე საქრისტიანო კულტურის დაცვა იკისრა და ამბობს, რომ არავის არ აქვს უფლება ქართველი ხალხის ეს დიდი სამსახური დაივიწყოს. ქართველებმა ზურგი შეაქციეს ოსმალებსაც და სპარსეთსაც, რომლებიც ცდილობდ-

ოა, საქართველოში გაიხსნას სასოფლო-სამეურნეო სკოლები და ტექნიკური სასწავლებლები, რომ მინის პრიმიტიული დამუშავება შეიცვალოს და შემოდებულ იქნეს ტექნიკური სასოფლო-სამეურნეო იარაღები. ეს კი საშუალებას მისცემს გლეხობას, მინის მუშას, ნაკლები შრომა დახარჯოს და მოსავალი უფრო დიდი რაოდენობით მოიწიოს. აი რაზე ოცნებობდა და ფიქრობდა ამ 90 წლის წინათ პატრიოტი და სამშობლოს უზომო მოყვარული ვლ. მიქელაძე. შემდეგი მისი სიტყვა, რომელიც ეხება სახელმწიფო სისტემას, ბატონყმობის გადავარდნას, არ არის ჩვეულებრივი მოხელის სიტყვა. ამ სიტყვაში ჩანს დიდი და გამოცდილი დიპლომატის ნიჭი, რომელიც ერეკვეა არა მარტო საქართველოს ისტორიასა და მის წარსულში, არამედ მსოფლიო ისტორიაშიც. ამ სიტყ-



ვაში მან მთელი თავისი საორატორო ხელოვნება გამოიყენა და მეფის გამოცდილ მინისტრს გაბედულად დაუმტკიცა, რომ საქართველომ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოსა და კავკასიაში სპარს-ოსმალთა განუწყვეტელი შემოტევების მოგერიებაში, რაც, როგორც ვლ. მიქელაძე ამბობს, „საფრთხეს უქმნიდა დასავლეთ ევროპასაც. ჩვენმა ქვეყანამ ევროპისა და აზიის საზღვარზე საქრისტიანო კულტურის დაცვა იკისრა“.

მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა რომ ჰქონდეს ვლ. მიქელაძის ნიჭზე, უნარსა და მის თავდადებაზე მოღვაწეობაზე სამშობლოს წინაშე, ჩვენ თვით ვლ. მიქელაძეს მივსცემთ სიტყვას და მოვიყვანთ ზოგიერთ ადგილს მისი საინტერესო წიგნიდან „ვინა ხარ შენ?“.

„ვინა ხარ შენ?“ — „მე არც ისე დიდი კაცი ვარ, რომ ჩემი ვინაობის ცოდნა ყველასათვის სავალდებულო იყოს, ხოლო არც ისე პატარა ვარ, რომ ჩემი პატარა სამშობლო, ჩემი პატარა ქვეყანა, ჩემი ღვიძლი საზოგადოება არ მიცნობდეს იმ დღიდან, რაც უნივერსიტეტი დავამთავრე. თითქმის ოცდაორი წელიწადია, ჩემს სამშობლოს არ მოვშორებივარ, მისი ჭირით ვიტანჯებოდი და მისი ლხინით ვხარობდი“ (გვ. 1).

„დამისახელონ, რომელი დიდი და საჭირო საქმე ყოფილა საქართველოში ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში, რომელშიაც მონაწილეობა არ მიმეღოს, ჩემი წვლილი არ შემეტანოს. სტუდენტობის დროიდან ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში ვწერდი, ვმუშაობდი და ჩემს ნაწერებში ვერ ნახავთ ისეთს, რომ ჩემი ქვეყნის, ჩემი ერის ბედსა, იღბალს, ჭირსა და ლხინს არ ეხებოდეს: ჩემი მამული, ჩემი ქვეყანა, ჩემი ხალხი იყო მუდამ საგანი ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობისა როგორც ქართულ, ისე რუსულ ნაწერებში. სიტყვით, კალმით და მოქმედებით, შეძლებისდაგვარად ჩემს ქვეყანას ვემსახურებოდი“ (გვ. 2).

„თბილისის სამეურნეო ბანკის ერთი დამაარსებელთაგანი მე ვიყავი და ბოლოს მისი თავმჯდომარე“ (გვ. 3).

„ვინა ხარო? — მეკითხებით. მე ვარ სოფელ კულაშის მცხოვრები.“

კულაშში მე დავაარსე ნომინალური სკოლა და ექვსკლასიანი სასწავლებელი სამი ათასი მანეთის სუფსიდიით ხაზინის მხრივ. ამ სასწავლებელში ყოველ წელს სწავლობდა სამას მოსწავლეზე მეტი გლეხის შვილი. ჩემი მეცადინეობითვე კულაშში ჩემს მამულში დაარსებულია სახელმწიფო ხარჯით საცდელი ბაღი, სადაც ყოველგვარი ხვნა-თესვა, სამეურნეო და საოჯახო მუშაობა წარმოებს. ხალხს შეუძლია ისწავლოს მინის დამუშავების საქმე. იქ იძლევიან უსასყიდლოდ თესვებს, ნერგებს, ხალხს შეუძლია ისარგებლოს სახელმწიფო სამეურნეო იარაღით და სხვა“ (გვ. 4).

„გვეკითხებიან, რას ვფიქრობ რუსეთის ერთიანობაზეო?“

რუსეთის ერთიანობა ეს პირველი მუხლია ჩვენი პოლიტიკური სარწმუნოებისა“.

ავტორი თავის წიგნში კატეგორიულად აცხადებს: „ახლანდელი ნეობილეზა მიტომ არის უხერხული და მავნებელია, რომ ზოგს, როგორც ღვიძლ შვილებს, ისე ეპყრობიან და ზოგათავის დედინაცვლობას სწევენ“ (გვ. 15).

მწერალი დაასკვნის: **„სათათბიროში ჩვენ მიერ გაგზავნილი კაცი ჩვენს საქმეს უნდა შეუდგეს: უნდა ეცადოს, პირველ ყოვლისა, შემოღებულ იქნეს თვითმმართველობა, რომელსაც შეუძლია გააუმჯობესოს ჩვენი ოჯახის მდგომარეობა, ჩვენი გზები, სკოლები, გაავრცელოს ტექნიკური სწავლა-განათლება, ყურადღება მიაქციოს ხალხის ჯანმრთელობას და საერთოდ სოფლის ყოფაცხოვრების განკარგულებას. ჩვენმა გაგზავნილმა კაცებმა უნდა იზრუნონ უმაღლესი განათლების საქმისათვის, ჩვენში უნივერსიტეტის დაარსებისათვის. თუ არა უნივერსიტეტი, ისე ჩვენში კულტურული წინსვალელო-**

ბა არ დაგვირგვინდება. იმან ყოველგვარი ღონისძიება უნდა იხმაროს, რათა მოისპოს ჩვენში ყოველი ნაშთი და კვალი ბატონყმობისა და ურთიერთ-წოდებრივი უსწორმასწორობისა; დაცულ იქნეს ჩვენი სამშობლო ენა, ჩვენი ლიტერატურა, ჩვენი ეკლესია, მოგვენიჭოს ისეთი წესწყობილება, რომ ხალხის ცხოვრება მშვიდობიან გზას დაადგეს, მისი უფლებანი გაფართოებულ და გამაგრებულ იქმნენ...“

როცა საჭირო იქნება, ჩვენმა წარმომადგენლებმა ხმა უნდა აღიმალღონ იმრიგად და იმნაირად, რომ მთელმა რუსეთმა, მთელმა ქვეყანამ გაიგოს საქართველოს გულის წადილი, მისი კანონიერი სურვილი, საჭიროება, მისი უფლება“.

ავტორს, როგორც პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს, თავის წიგნში მხედველობიდან არ გამოჩენია არც ერთი საკითხი, რომელმაც უნდა გააუმჯობესოს მშრომელი ხალხის მატერიალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ეს იქნება სამედიცინო დახმარება, საბინაო-საგზაო მშენებლობა, უმაღლესი სასწავლებლის დაარსება, ბატონყმობის ნაშთების მოსპობა, სოფლად გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეტანა და ისეთი ხელისუფლების დამყარება, რომ ხალხს მშვიდობიანად ცხოვრების საშუალება მიეცეს და თავისი ნაღვან-წამრომი მასვე რჩებოდეს. ვლ. მიქელაძის წერილებიდან ჩანს, რომ იგი ღრმად ერკვევა საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკასა და მის ურთულეს საკითხებში, იცის ხალხის სულიერი განწყობილება, იცის, რომ საბოლოოდ დაინგრევა ისეთი სახელმწიფოს წესწყობილება, რომელიც აგებულია ხალხის ჩაგვრასა და მის ექსპლოატაციადზე.

ეს ნამდვილი მოთხრობაა ვლ. მიქელაძის დაულალავი, გულწრფელი და გაბედული მოღვაწეობისა თავისი სამშობლოს, თავისი ხალხის წინაშე. მართალია, იგი ამ ბიოგრაფიული ხასიათის დიდებული მოთხრობაში არ ახსენებს ილია ჭავჭავაძის სახელს, მაგრამ




ჩვენთვის დღესაც ნათელია, თუ როგორ ედგა წლების განმავლობაში მხარში ილიას და როგორ იცავდა მას მთელ მშრომელ ხალხთან ერთად სხვადასხვა ჯურის ეგრეთ ნოდებული მოღვაწეებისაგან. ამიტომ ჩვენ ამ მორიდებულად და გულწრფელად დანერჩილი მოთხრობიდან ვრცლად მოვიყვანეთ ადგილები.

ახლა კი საჭიროდ მიმაჩნია, მივთხველს ფართოდ გავაცნო, თუ როგორ ჩამოაყალიბა და გააფართოვა ავტორმა თავისი აზრი და შეხედულება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხზე შემდეგი წლების წერილებსა და ნარკვევებში, რას ფიქრობდა და როგორ ესმოდა მას საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხი.

არც ერთი დიდი ისტორიული მოვლენა, რომელიც კი ქართველი ხალხის ცხოვრებაში მომხდარა და მის წარსულსა და მომავალს ეხება, ვლ. მიქელაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მის კალამს მხედველობიდან არ გამორჩენია. ის ყველაფერს მაღალი ერუდიციით, დიდი პატრიოტული სიყვარულით ეხმაურებოდა, ხან სიტყვით, ხან პუბლიცისტური წერილებით, ხან კი პრაქტიკული მოღვაწეობით. მისი ყველა წერილი, ყოველი გამოსვლა, იქნებოდა ეს ქართული ლიტერატურის, სოფლის მეურნეობის, ქალაქის მრეწველობისა თუ სასოფლო-სამეურნეო ბანკის, სამართლის ისტორიის, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ ღრმა და დამაჯერებელი. **ყოველი მკითხველი მის წერილებში დიდ განათლებას, ცოდნას, ლოგიკას, ნიჭსა და ანალიზის ღრმა უნარს ხედავდა.** ყველა მის წერილს ატყვია ჭეშმარიტი პუბლიცისტის, ჭეშმარიტი მოაზროვნის გამჭრიახი გონება.

„ახალი ხანა“

1899 წელს 26 ნოემბრის გაზეთში „ივერიაში“ (№255) აღნიშნა საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავი. გაზეთში დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის დიდი ფე-



„რუსის ჯარის მოსვლა, ნიშნავდა განსოცხილვას იმ სუკვილისა, რომლითაც დიდი ხნიდან იყო გამსჭვალული საქართველო და ეს სუკვილი იყო მფარველობა. მფარველობას სთხოვდა იგი რუსეთს, მფარველობას ელოდებოდა მისგან.“ („ახალი ხანა“)

ლეტონი „ასი წლის წინათ“ და ვლ. მიქელაძის მოწინავე წერილი „ახალი ხანა“. ილიას წერილს გაზეთში დათმობილი აქვს სარდაფი და გრძელდება გაზეთის პირველ, მეორე და მესამე გვერდზე.

თვით ის ფაქტი, რომ დიდმა ილიამ ჭავჭავაძემ ამ ფრიად დიდი ისტორიული მოვლენის შესახებ, როგორც იყო საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხი, გაზეთში მოწინავე წერილის დანერა ვლადიმერ მიქელაძის მიანდო, მატყველებს იმაზე, თუ რა დიდი განათლებისა და რა შემოქმედებითი პოტენციის ყოფილა ვლადიმერ მიქელაძე. ავტორს თავის მოწინავე წერილში სწორი ორიენტაცია აქვს ალებული და კარგად ესმის ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთებას ჰქონდა. „რუსის ჯარის მოსვლა, — წერს ავტორი, — ნიშნავდა განხორციელებას იმ სურვილისა, რომლითაც დიდი ხნიდან იყო გამსჭვალული საქართველო და ეს სურვილი იყო მფარველობა. მფარველობას სთხოვდა იგი რუსეთს, მფარველობას ელოდებოდა მისგან“. შემდეგ ავტორი თავის წერილში საქართველოს ისტორიის დიდ დიდ ცოდნით მიმოიხილავს, თუ რა დიდი გმირული ბრძოლები გადაიტანა ქართველმა ხალხმა ქრისტიანობის, სამშობლოსა და ენის დასაცავად, **„ცოტა ხანმა განვლო, — წერს ავტორი, — რაც მოწინავე რაზმი რუსის ჯარისა ქალაქში შემოვიდა და საქართველო რუსეთის მფარველობას მიეცა. მან ქრისტიან ჯვარიცა და ხმალიც ძმას ჩააბარა, ანი შენ იცი**

და შენმა სულბრძოლვამო“. ქართველმა ხალხმა მოისვენა, ქვეყნად მშვიდობიანობა დამყარდა. მას არც თათრისა ეშინოდა, არც სპარსისა და არც ლეკისა. თოთხმეტი საუკუნე იბრძოლა ქართველმა ხალხმა, რომ დაეხსნა სარწმუნოება, შეერჩინა ენა, ეროვნება. ამ სამსავე საუნიჯეს ძლევამოსილი მფარველი გაუჩნდა და ეს მფარველი დიდებული რუსეთია.

კვლავაც მრავალ კეთილს მოეწივს ერთგული საქართველო თავის გვირგვინოსან მფარველისაგან. აი როგორ ესმოდა და გაეგებოდა ვლ. მიქელაძეს საქართველოს რუსეთთან შეერთება, რუსეთთან დამეგობრება. წერილში ავტორი ეხება არა მარტო რუსეთთან საქართველოს შეერთების საკითხს, არამედ ისტორიულად მიმოიხილავს, თუ რა დიდი გმირული ბრძოლები გადაიტანა ქართველმა ხალხმა, რათა ქრისტიანული კულტურა ეხსნა თათრების, სპარსელებისა და სხვა ურდოებისაგან, რომლებიც ყველა საქართველოს ეხარბებოდნენ. დიახ, როგორც ვლ. მიქელაძე წერს, **საქართველოს, ქართველი ხალხის ისტორიაში რუსეთთან შეერთებით იწყებოდა ახალი ხანა ქართველი ხალხის ცხოვრებაში.**

თუ მწერლები, მხატვრული სიტყვის ოსტატები ლექსებსა და რომანებში, მოთხრობებსა და ნოველებში ალევორიულად, გადატანით გამოხატავდნენ, უჩვენებდნენ თავისი ერის, თავისი ხალხის ეროვნულ-ეკონომიკურ ნიადაგზე გამოწვეულ ტკივილებს, დარდებს, სევდასა და მწუხარებას, აღვივებენ ხალხში ბრძოლას მონური წესწყობილებისა და უსა-



მართლობის წინააღმდეგ, ვლ. მიქელაძემ უშიშრად, გაბედულად პირდაპირ თქვა ყველაფერი ის, რაც ხდებოდა საქართველოში და მეფის მინისტრს ერმოლოვს მეცნიერულად დასაბუთებული და გაანალიზებული მოხსენება წარუდგინა იმის შესახებ, რომ: „დაცული იქნეს ჩვენი სამშობლო ენა, ლიტერატურა და ხელოვნება. საქართველოში გავრცელდეს და გაიხსნას უმაღლესი სასწავლებლები და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური სასწავლებლები, ყურადღება მიექცეს მშრომელი ხალხისა და ინტელიგენციის ჯანმრთელობის საქმეს. ახლანდელი წყობილება ხალხისათვის არის უვარგისი, უხერხული და მავნებელი“. ცარიზმის დროს ასე გაბედულად ამ სიტყვის თქმა დიდი ვაჟკაცობა და თავგანწირვა იყო, მაგრამ ვლ. მიქელაძე არ შეუშინდა ამას და განაგრძო: **„ამ თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში ქართველ ერს ერთ ხალხში ჯვარი ეპყრა და ბიორაში ხმალნი. ჩვენ ვებრძოდით ჩინების ყანეს, თამურ ლენებს, თათარ-სალჯუქებს, ოსმალებსა და სპარსეთის ურდოებს და დაასკვნის: „რუსეთის ერთიანობა — ეს პირველი მუხლია ჩვენი პოლიტიკური სარწმუნოებისა“.**

ასეთი მეტადი და თავდადებული სული ჩანს ვლ. მიქელაძის არა მარტო პოლიტიკურ-პუბლიცისტურ წერილებსა და სიტყვებში, არამედ მის ლექსებსა და კრიტიკულ-ლიტერატურულ წერილებშიც. იგი თავის ლიტერატურულ საქმიანობაში განაგრძობს იმ რეალისტურ-პროგრესულ იდეებს, რასაც მისი დიდი წინაპრები გრიგოლ ორბელიანი, ილია, აკაკი, ვაჟა, ყაზბეგი, გიორგი წერეთელი და სხვები აკეთებდნენ. ისიც შეჰხაროდა თავისუფლების, ბედნიერებისა და ღვინის მომნიჭებელ გაზაფხულს. ისიც შეჰხაროდა მონარქიული რუსეთის დამსობას. მას ყურში მუდამ ჩაესმოდა გრიგოლ ორბელიანის სევდიანი, მაგრამ ვაჟკაცური ბრძოლით ანთებული სტრიქონები:

**„არ გამოვფხლდე,
რომ აღარ ვგრძნობდე
ჩემი სამშობლოს**

სულით დაცემას“.
მას მუდამ ყურში ჩაესმოდა დიდი ილიას სტრიქონები: **„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოს“.**

მას ყურში ჩაესმოდა აკაკის ლირიკული შედეგები:

**„შენი ტყვე ვარ,
მაგრამ ჩემს გულს
ანუგეშებს ის იმედი,
რომ ოდესმე შენს**

**ცხრაკლიტულს
მთლად დაღვენავს ჩემი ბედი“.**

1897 წელს ვლადიმერ მიქელაძემ გაზეთ „ივერიამი“ (№135) გამოაქვეყნა ლექსი „კულაშელის“ ფსევდონიმით, სადაც ვკითხულობთ:

**„მომერია ოხვრა, დარდი,
შევიქენი გიჟი, ხელი...
ველარ შევიქელ... ნამოვარდი,
ჩანგს დავავლე სწრაფად ხელი, —
მოვმართე და ავაჟღერე,
ზედ დავძახე კვლავინდურად,
მსმენელს გული ავუძგერე,
სანეტაროდ, საამურად.
მრწამს ჩემებრივ დაჩაგრულსა
გაულიმებს ერთხელ ბედი,
მტრის წინაშე ქედმოხრილსა
ჩაესახოს გულს იმედი.
წყვდიადში მყოფს დიდებული
ელოდება მომავალი“.**

ვლ. მიქელაძე ლექსებს ბეჭდავს, როგორც გაზეთ „ივერიამი“, ასევე „დროებაში“, „ცნობის ფურცელში“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში. ამ ლექსებში ისმოდა პოეტის ნაღვლიანი მოთქმა, კვნესა და გოდება, რომ ხალხი იჩაგრება, ხალხს არ აქვს საშუალება შექმნას თავისი ოჯახი, თავისი კერა. გლეხი თუ მუშა დარბის ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში, რათა ოჯახი, ცოლ-შვილი გამოკვებოს. მაგრამ, აი დადგა 1905 წელი, ცა მოიწმინდა, ხალხმა ხმა ამოიღო თავიანთი მჩაგრელების წინააღმდეგ, ამით გახარებული პოეტი 1905 წელს „ცნობის ფურცელში“ ათავსებს ლექსს „არ მჯერა!“:

**„გაზაფხულიო“,
მესმის ხმა ტკბილი,
„გაზაფხულიო“ ხარობს
ქვეყანა,**

**მაგრამ ხმა იგი გულს
გაცივებულს
გააცოცხლებს და...
გაათბობს განა?
არ მნამს... ნუ მეტყვიოთ:
გაიხარეო!**

**ამ ბედის პატრონს
რა გაახარებს?
აღშფოთებულს სულს,
დიდი ხნით ტანჯულს,
სუსტი იმედი ვერ დაანყნარებს.
არა! არ მჯერა, ჩემსა ქვეყანას
ელირსოს სხივი გაზაფხულისა,
შესწყდეს ოხვრა და...
მოისპოს კვნესა
ასე სასტიკად დაჩაგრულისა.**

ავტორი ისეა შენუხებული მშრომელი ხალხის უბედურებით, ტანჯვითა და მისი უსაზღვრო ექსპლოატაციით, რომ მას არ სჯერა რევოლუციის გრიგალის მოახლოებისა, მას არ სჯერა, რომ მის ქვეყანას ოდესმე „ელირსება სხივი გაზაფხულისა“, რომელმაც უნდა დალენოს და დაანგრეოს ძველი უკუღმართი ცხოვრების ცრემლიანი კერა. მაგრამ ავტორი თვით მოესწრო და თავის თვალთ ნახა, რომ მშრომელმა ხალხმა თავისი ხელით დაანგრია ხავსმოკიდებული ძველი ქვეყანა და „მეწყდა ოხვრა და მოისპო კვნესა ასე სასტიკად დაჩაგრულისა“. გამართლდა მისი სიტყვები, რომ „წყვდიადში მყოფს დიდებული ელოდება მომავალი“.

ვლადიმერ მიქელაძეს თავისი სამშობლოს ბედ-იღბალი თავისი ხალხის ინტერესები გულთან ახლოს მიაქვს, მას სურს დაჩაგრულ ხალხს შეუმსუბუქოს ტანჯვა, წამება და სიღატაკე. ამისთვის ინერებოდა მისი ლექსები და წერილები, ამისთვის აარსებდა კულაშში სკოლას, სადაც გლეხის შვილები სახელმწიფო ხარჯით სწავლობდნენ ხვნა-თესვას, სამეურნეო და საოჯახო საქმიანობას; ამიტომ მოგზაურობდა კახეთში, რომ ღვინით მოვაჭრე ჩარჩებისაგან ეხსნა კახელი მშრომელი ხალხი, კახელი მევენახე-მეღვინეები.

ვლ. მიქელაძის საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობა ძალიან მრავალმხრივია.

**ამაზე საუბარს შეიძებ
ნომერში გავაგრძელებთ.**

14 ივნისი იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების დღეა

ქართველი, როლის წინაშე თითოეული ჩვენგანი ვალშია

1861 წელს, როცა იაკობმა წარჩინებით დაამთავრა სემინარია და მოისურვა, სწავლა კიევის სასულიერო აკადემიაში განეგრძო, საჭირო გახდა, სემინარიის ადმინისტრაციისთვის ჯანმრთელობის ცნობა წარედგინა. ექიმს გაუსინჯავს და უთქვამს: ამჟამად სრულიად ჯანმრთელი ხარ, მაგრამ ფილტვები დაბადებიდანვე სუსტი აგებულებისა დაგყოლია, რუსეთის სიცივეს ვერ აიტან და შეიძლება დასნეულდეო. ცნობაშიც ასეც ჩაუნერია. სემინარიის ადმინისტრაციას არჩევანი იაკობისთვის მიუხდვია და ისიც უყოყმანოდ გამგზავრებულია კიევში.



დაიწყო სწავლა და დაიწყო იაკობის უძილო ღამეებიც. წლის ბოლოს უკვე მეორე სტუდენტი იყო აკადემიაში.

მაგრამ წლის დამლევს იაკობი ტვინის ანთებით გახდა ავად. იყო ყამიც, როცა მისი სიცოცხლე ბენვზე ეკიდა. რამდენიმე კვირაში თავი დააღწია ამ ავადმყოფობას, მაგრამ ახლა სხვა მტერი გამოუჩნდა: დაანყებინა ხველება, თანდათან უმატა, ზედ დაერთო გამუდმებული სიცხე... მესამე წელს უკვე სისხლს აღებინებდა. ჭლექის სხვა ნიშნებიც ცხადად გამოაჩნდა. იძულებული გახდა, სამშობლოში დაბრუნებულიყო.

მოაჩნდა, იაკობი სულმთლად შეიცვალა. თავიდან განდევილივით ცხოვრობდა, მაგრამ საზოგადოებრივმა საქმიანობამ ხალისი დაუბრუნა და მანაც თავისი „ჭლექი გაკირა“, თუმცა ეს მრავალი სურვილის შეზღუდვის ფასად დაუჯდა. ძალზე ეშინოდა ორპირი ქარის, დახუთული ჰაერის, უმნიშვნელო გაციებისაც კი. ხუმრობდნენ მასზე; ერთხელ იაკობმა თავის მოკვლა გადაწყვიტა, ფეხი

«ის იყო ქართველთა საესავი, მისგან მოელოდნენ გაჭირვებისგან ხსნას»
(თ. სანოქია).

მას შემდეგ, რაც ფილტვები დაუავადდა და ჭლექის ნიშნები გა-

თუ გაიგებდა, სადღე ვინმე ღარიბ ახალგაზრდას სწავლა უნდოო, თავისი საჩუქით მიაღებინებდა საშუალო და უმაღლეს განათლებას, ესემაკობდა ფულით, ნიგნებით, ტანსაცმლით; შეანოცდა ფულით სახალსო მასწავლებლებს, სხვადასხვა კერძო პირსა თუ საზოგადოებას. თან სთხოვდა, ეს ამბავი არავისთვის ეთქვათ. ჰყავდა საკუთარი სტიპენდიანტები, როგორც პალატად უგზავნიდა ფულს.

მტკვარში ჩაყო და უკანვე ამოვიდა — ფილტვები გამიცვიდებოო. ფილტვების ტუბერკულოზი იყო მიზეზი, რომ ცოლი არ მოუყვანია, თუმცა უნახესი გრძნობით უყვარდა იოსებ მამაცაშვილის ასული დარია. მიიჩნევდა, რომ ჭლექი მემკვიდრეობით გადაეცა და ამიტომ ცოლის შერთვის უფლება არ ჰქონდა: „მეც მინდოდა, ვყოფილიყავი ცოლ-შვილით ბედნიერი კაცი, მაგრამ, რომ დაფიქრდი, თუ რა მოვალეობას ვკიდებდი ხელს და როგორ დიდ ბოროტმოქმედებას ჩავიდენდი... ცოლის შერთვით, უკან დავიხიე. ის არ იყო საკმარისი, რომ მე, ავადმყოფ-



ფი, ფილტვებზეშინებული ადამიანი ვიყავი, რომ სხვა ავადმყოფი ხალხი არ გამეჩინა ქვეყანაზე“, — უთქვამს ერთხელ. ეს იყო მისი პირველი და უკანასკნელი სიყვარული. ბავშვები კი ძალიან უყვარდა. სხვანაირი ურთიერთობა იცოდა მათთან — თბილი, ალერსიანი. ბავშვების წრეში ყოფნა, თამაში, გართობა სიამოვნებას ჰგვრიდა, აცოცხლებდა. ბავშვებიც ასეთივე განწყობით პასუხობდნენ, მისდამი სიყვარულს დიდხანს ინახავდნენ.



ნიკოლოზ ლოლობიძე

მეტად ჰყვარებია იაკობს სიმღერა. ხმა კარგი ჰქონია და მუშაობასა და მუშაობას შუა, თავისუფალ დროს, მუდამ ლილინებდა თურმე. წარმოდგინეთ ასეთი სურათი: „ფილტვებზეშინებული“ იაკობი ილიასში თერმომეტრგაჩირილი ოთახში მიდი-მოდის და თან „ამირან გადინადირას“ მღერის... ძალიან ბევრს წერდა, მუშაობდა დღეში ათ საათზე მეტს. მუდამ სწავლობდა და სხვასაც ასწავლიდა. უყვარდა მშვიდი და წყნარი, ზომიერი ცხოვრება. შინ ზედმეტი არაფერი ჰქონდა, თვითლოგინიც კი, სტუმარი რომ დაეწინა. რაც სახელმწიფო სამსახურს თავი დაანება, თავისი გაყიდული წიგნების საფასურით ცხოვრობდა. შემოსავლის უმეტეს ნაწილს ქველმოქმედებას ახმარდა: შეენეოდა აკაკის, ეგნატე ნინოშვილს. თუ გაიგებდა, სადმე ვინმე ღარიბ ახალგაზრდას სწავლა უნდაო, თავისი ხარჯით მიაღებინებდა საშუალო და უმაღლეს განათლებას, ეხმარებოდა ფულით, წიგნ-

ბით, ტანსაცმლით; შეენეოდა ფულით სახალხო მასწავლებლებს, სხვადასხვა კერძო პირსა თუ საზოგადოებას. თან სთხოვდა, ეს ამბავი არავისთვის ეთქვათ. ჰყავდა საკუთარი სტიპენდიანტები, რომელთაც ძალუღად უგზავნიდა ფულს. ხშირად უნახავთ იაკობის სანერ მაგიდაზე გამზადებული ფულიანი კონვერტები, რომლის ფოსტაში ნაღებსაც მხოლოდ თავის მსახურს ანდობდა იმის შიშით, რომ მისი ქველმოქმედების ამბავი არ გამჟღავნებულიყო. ასე რომ, იაკობი დიდ ილიასთან ერთად იმდროინდელი ქართველი საზოგადოების ნამდვილი პატრონი, მოამბე და ჭირისუფალი იყო. თუ პოლიტიკის შესახებ ნამოიჭ-

რაზოდა საკითხი და მტრისთვის პასუხი იყო გასაცემი, ქართველები ჭავჭავაძეს მისცვივდავოდნენ, გვიშველო, ხოლო როცა სწავლალზრდის საკითხი ნამოიჭრაზოდა და ქართული ენის სწავლების აუცილებლობის საქმი იყო გასარჩევი, იაკობ გომბაზაშვილს დაუნწყებდნენ ცქერას. „ის იყო ქართველთა საესავი, მისგან მოელოდნენ გაჭირვებისგან ხსნას“ (თ. სახოკია).

ბევრი რამ შეიძლება ითქვას წმინდა ილია მართლისა და იაკობის ურთიერთობაზე. ჩვენ მხოლოდ ორ ეპიზოდს გავიხსენებთ.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრის — ალექსანდრე ფრონელის (ყიფშიძე) მოგონებებიდან: „...ილიასთან ვიყავით. შემოიტანეს იაკობ გოგებაშვილის სასწრაფო წერილი. სასწრაფო იმიტომ, რომ პასუხს ახლავე მოითხოვდა, წერილი მრისხანე იყო და უკმეხად დაწერილი. ილია თავის კაბინეტში შევიდა პასუხის დასაწერად, გაიარა ერთმა საათმა, გაიარა მეორემ, მაგრამ ილია არ გამოდიოდა. ჩვენ გაკვირვებაში ვიყავით, განა რას წერდა იმოდენას... ბოლოს, როგორც იყო გამოვიდა და წაგვიკითხა, რაც დაეწერა, სულ რამდენიმე სტრიქონი იყო, ხუთი თუ ექვსი. პასუხი მეტისმეტად თავაზიანი და მტკიცე იყო. როცა განცვიფრება გამოვხატეთ პასუხის მეტისმეტი თავაზიანი კილოს და პანია ბარათზე დახარჯული დიდი დროის გამო, ილიამ გვიპასუხა: იაკობ გოგებაშვილი პატარა კაცი კი არ არის, ბევრი რამ, რასაც ის მოიწერება, ან რასაც იმას მისწერენ, შეიძლება ისტორიის ხვედრი გახდეს... შემდეგ კაბინეტში რომ შევიხედე, მთელი იატაკი გადახეული ფოსტის ქაღალდებით იყო სავსე“.

ილიას მკვლელობა რომ შეიტყო, ბევრი უტირია იაკობს, მის ცხედართან კი მშვენიერი სიტყვა წარმოუთქვამს. რამდენიმე წლის შემდეგ ილიას მკვლელები დაიჭირეს. სასამართლომ მათ სიკვდი-

იაკობი დიდ ილიასთან ერთად იმდროინდელი ქართველი საზოგადოების ნამდვილი პატრონი, მოამბე და ჭირისუფალი იყო. თუ პოლიტიკის შესახებ ნამოიჭრაზოდა საკითხი და მტრისთვის პასუხი იყო გასაცემი, ქართველები ჭავჭავაძეს მისცვივდავოდნენ, გვიშველო.

**წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება**

ლი მიუსაჯა. ამან ძალზე შეაწუხა იაკობი: ილიამ ხომ დიდი ხნით ადრე ლექსში „მამაო ჩვენო“ მიუტევა თავის მკვლელებს, ეს ხომ ილიას ანდერძის დარღვევა იქნებაო, იმ ილიასი, რუსეთის სათათბიროში სიტყვა რომ წარმოთქვა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგო. იაკობმა და მისმა მეგობრებმა ითათბირეს და გადაწყვიტეს, ილიას მეუღლეს — ოლღას (თუ, რა თქმა უნდა, მოისურვებდა) ეშუამდგომლა მკვლელებისთვის. ოლღას იაკობი ეწვია. როგორც ბავშვს, ნელა, გარკვევით აუხსნა,

რისთვის იყო მისული. ოლღა ბეჯითად უსმენდა, ლოყებზე ცრემლი ჩამოსდიოდა და თანხმობის ნიშნად თავს აქნევდა. როდესაც იაკობმა შუამდგომლობა წაუკითხა, ტირილით თქვა: რასაკვირველია, მე თვითონაც ვფიქრობდი ამას, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ რა მექნაო, — და უყოყმანოდ მოაწერა ხელი შუამდგომლობას.

1911 წელს იაკობ გოგებაშვილის გულითადი მეგობარი ნიკო ლობჯინძე რომ გარდაიცვალა, იაკობს დიდუბის ეკლესიის უფ-

როსი მღვდლისთვის უთხოვია, ადგილი ნიკოს გვერდით შემინახეო.

ნიკო ლობჯინძე 1879 წლიდან „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი იყო. **მან 66 ათასი მანეთი ანდერძად დაუტოვა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას.**

1861 წელს, როცა ნიკო ლობჯინძემ პეტერბურგის უნივერსიტეტის საისტორიო-ფილოლოგიური ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრა, შესთავაზეს უნივერსიტეტში პრივატდოცენტად დარჩენა, მაგრამ მან სამშობლოში დაბრუნება არჩია და თბილისის პირველ გიმნაზიაში ლათინურის, გეოგრაფიისა და ისტორიის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა.

როცა სწავლა-აღზრდის საკითხი წამოიჭრა და ქართული ენის სწავლების აუცილებლობის საქმე იყო გასარჩევი, იაკობ გოგებაშვილს დაუწყებდნენ საქმას.

პედაგოგიური საქმიანობის გა-
რდა, ნიკო ლოლობერიძე ფართო
საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც
ენეოდა. ისტორიკოს დიმიტრი
ბაქრაძესთან ერთად დაინიშნა
კავკასიაში ქრისტიანობის აღმდ-
გენელი საზოგადოების სკოლებ-
ის ინსპექტორად. ამ ორმა მოღვა-
წემ, სტეფანე მელიქიშვილსა და
ვახტანგ თულაშვილთან ერთად,
თბილისში დააარსა ქართულ
სტამბა, შეადგინა ახალი მრგვალი
შრიფტი, რომელიც შეუკვეთეს
ვენაში, და რომელიც „ვენური
შრიფტის“ სახელითაა ცნობილი.
სტამბაში იბეჭდებოდა ქართული
ნიგნები და ჟურნალ-გაზეთები.
მათივე თაოსნობით დაარსდა
„დროება“. აქტიურად მონაწილე-
ობდა სასოფლო სკოლების მო-
წყობაში, ნიგნებითა და სასკოლო
სახელმძღვანელოებით მათ უზ-
რუნველყოფაში.



1868 ნიკო ლოლობერიძემ ასპა-
რეზი გამოიცვალა და მუშაობას
ინწყებს სასამართლო სისტემაში
ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ —
ქუთაისში. აქვე აირჩიეს საადგი-
ლმამულო ბანკის მმართველად.
ორი საარჩევნო ვადის შემდეგ ნი-
კომ დატოვა ბანკი და ჩაება მარ-
განეცის მოპოვება-დამუშავების
საქმეში. თერთმეტი წლის მანძი-
ლზე დააგროვა დიდძალი თანხა,
რასაც უანგაროდ ახმარდა ქართ-
ველი ერის სამსახურს.

სიცოცხლის ბოლო წლები ნიკ-
ომ ევროპაში გაატარა, მხოლოდ
ზაფხულობით ორიოდე თვით ჩა-
მოდოდა სამშობლოში. გარდა-
იცვალა 1911 წლის 27 დეკემბერს
და დიდუბის პანთეონში დაკრძა-
ლეს.

გაზაფხულზე, 1912 წლის 28 აპ-
რილს, იაკობი მოულოდნელად
ავად გახდა და ლოგინად ჩავარ-
და. **ცნობილი ექიმი ტიტე ძიძიძე***
ადგა თავს, მაგრამ მკურნა-
ლობამ შედეგი არ გამოიღო,
ავადმყოფობამ ძალზე დაასუსტა
(თურმე ნანღავის კიბოც ჰქო-
ნია)...

ივნისის ერთ საღამოს ახლობ-
ელს კიდევ ერთხელ წააკითხა თა-
ვისი ანდერძი, — მინდა შევამონ-
მო, ხომ არავინ გამომრჩა ან სა-

ზოგადოებას რამე ხომ არ დავა-
კელიო. ანდერძის წაკითხვის შემ-
დეგ უთქვამს: **„მოვრჩი ჩემი სამ-
სახური ხალხის საქმისთვის, მი-
სი სიკეთისთვის. რაც რჩება ჩე-
მი სიკვდილის შემდეგ, დიდი ნა-
წილი ისევ ხალხსვე მოხმარდე-
სო“.** ეს იყო მისი უკანასკნელი სი-
ტყვები. მიმწუხრის ჟამს სამუდა-
მოდ დახუჭა თვალები.

კვირას, 10 ივნისს, ქაშვეთის ეკ-
ლესიაში, სადაც დასვენებული
იყო იაკობის ცხედარი, დილის
რვა საათზე დაინყო წირვა. მწირ-
ველი გახლდათ გორის **ეპისკოპო-
სი ანტონი**. წირვაზე ოთხი გუნდი
გალობდა. წირვის შემდეგ სიტყვა
წარმოუთქვამს **დეკანოზ კალის-
ტრატე ცინცაძეს**. გაუხსენებია,
რა ხშირად მიდიოდა და უცქერდა
ქაშვეთის მშენებლობას იაკობი.
ერთხელ კი, როცა შეუტყვია, რომ
მისთვის ლოცულობდნენ: „იაკო-
ბი, ღმერთო, გამოაკეთეო“, —

უთქვამს: **„მადლობა ღმერთს,
ჩემთვის ლოცულობენ, ეს კარ-
გის ნიშანია, ვინაიდან სხვისთვის
ლოცვა მარტო ზნეობრივად გან-
ვითარებულ არსებათა კუთვნი-
ლებათაა“.**

დღის 11 საათზე სამგლოვიარო
პროცესია დაიძრა და მიაღწია დი-
დუბის ეკლესიამდე. უამრავი სი-
ტყვა წარმოითქვა. ყველას სურ-
და, უკანასკნელად მიჰფერებოდა
დიდ ადამიანს.

ნიკო ლოლობერიძის გვერდით
გათხრილ სამარეს მიაბარეს დი-
დი იაკობი. გავიდა ხანი. 1940
წელს მისი სხეულის ნაშთი დიდუ-
ბიდან მთანმინდის პანთეონში გა-
დაასვენეს. გადასვენების ერთ-
ერთი მონაწილის, პროფესორ
იოსებ ბოცვაძის ზეპირი გადმო-
ცემით, მიცვალებულს დაკერე-
ბული ფეხსაცმელი სცმია.

მოამზადა
ლარეჯან ანდრიაძემ

*** ტიტე ძიძიძე —** დამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცი-
ნო ფაკულტეტი; ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია პე-
ტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში. რუსეთში რვანლიანი
მოღვაწეობის შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდა და ოცდაერთი წლის
განმავლობაში იყო თბილისის გუბერნიის მთავარი ექიმი; საბჭოთა ხე-
ლისუფლების დამყარების შემდეგ — საქართველოს ჯანმრთელობის სა-
ხალხო კომისარიატის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური განყოფილების
უფროსი. ის 1939 წელს გარდაიცვალა, 80 წლისა. სიცოცხლის ბოლომდე
აქტიურად მოღვაწეობდა საქართველოს სამედიცინო საზოგადოებაში,
მისი ინიციატივით გაიხსნა არაერთი რაიონული საავადმყოფო.



პეტერბურელი ქართველის ლიტერატურული მოღვაწეობა

პეტერბურის ქართული კოლონიის მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა ძველმა და ახალმა თაობამ შექმნეს ბევრი ორიგინალური ნაწარმოები, გამოკვლევა, თარგმანი, რომელთაგან ზოგი დაიბეჭდა, ზოგიც ხელნაწერად დარჩა. მათი გამოყენებით იბეჭდებოდა წიგნები, ჟურნალები და გაზეთები ქართულ და რუსულ ენებზე; მათგან შეიკრიბა მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტები, აქტები, იშვიათი რელიქვიები ძველი ქართული კულტურისა. ეს მასალები ინახება პეტერბურის წიგნსაცავებსა და მუზეუმებში, ცენტრალურ ისტორიულ არქივში, მ.ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკაში და, რა თქმა უნდა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

პეტერბურში მცხოვრები ქართველები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, ძირითადად, ქალაქის ცენტრალურ რაიონებში ცხოვრობდნენ, უფრო მეტად — ვასილევსკის კუნძულზე (აქვე ცხოვრობდა თავის დროზე თეიმურაზ ბაგრატიონი, ნმ. ანდრიათაძის ეზოში კი ქართული ეკლესია იყო მოწყობილი).

პეტერბურელ ქართველთა უფროსმა თაობამ თავისი შრომების საკმაოდ ბევრი ხელნაწერი დატოვა, მაგრამ ყველამ როდი მოაღწია ჩვენამდე. ასე მაგ.: 1805 წელს პეტერბურში **გოდარძი ფირალიშვილმა (1768-1823)** შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მოტივებზე ქართულ ენაზე დაწერა ტრაგედია „**ინდოეთის მემკვიდრე, ანუ სამშობლოს სიყვარული**“. პიესის ხელნაწერი დაიკარგა, მაგრამ შემოგვრჩა მასზე დაწერილი გამოსმაურებები.

თეიმურაზ ბაგრატიონმა (1782-1846) 1808 წელს შეადგინა „**ბოტანიკური ლექსიკონი**“, რომელშიც ქართულად, ლათინურად, ფრანგულად და სხვა ენებზე განმარტებულია 338 ბოტანიკური ტერმინი. ლექსიკონში, ასევე, მთელ რიგ მინერალურ წყლებსა და მათ გამოყენებაზეა ცნობები.

იოანე რომანის ძე ბაზლიძემ 1817 წელს რუსულიდან გადმოთარგმნა „**ენციკლოპედია ახალ-**

გაზრდებისთვის“ — 438 ხელნაწერივერდიანი საკმაოდ ფართო სპექტრის სამეცნიერო ცნობარი.

ხელნაწერ შრომებს შორის აღსანიშნავია ქართულად თარგმნილი „**ნაპოლეონის ლაშქრობა რუსეთში და მისი გაქცევა**“ (ორ ნაწილად, 446 გვ.). თარგმანი შესრულებულია 1823 წელს პეტერბურში საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიის თარჯიმნის **იოანე რომანის ძე ბაზლიძის** მიერ ბატონიშვილ ბაგრატიონის ძის თხოვნით. საქმე ის არის, რომ უფლისწულმა ბაგრატიმ, რომელიც 1812 წელს მოსკოვში ცხოვრობდა, ქალაქის ევაკუაციის უკანასკნელ დღემდე თარგმანს, ბაზლიძის გარდა, 40 ქართველის გვარი მიანერა, რომლებიც მონაწილეობდნენ ბოროდინოს ბრძოლაში. ეს ფრიად ფასეული ინფორმაციაა, თუმცა სია სრულყოფილი არ არის. იქვე ბაგრატი ბატონიშვილი მიუთითებს, **რომ მან დატოვა მოსკოვი და გაემგზავრა ნიჟნი ნოვგოროდში კვირას, 1 სექტემბერს, ხოლო 2 სექტემბერს 1812 წლისა, შუადღის შემდეგ, მოსკოვი ფრანგებმა დაიკავეს.**

უაქლო თუ არა საქართველოს, პარსება და მოუკიდებლად?

ამ კითხვას **იონა ხელაშვილი**



თეიმურაზ ბაგრატიონი

ავტობიოგრაფიული ხასიათის თხზულება „რონინში“ სვამს, საკითხს იგი დიპლომატის თვალთუდგება და საქართველოს მიმართავს: **„არღუ მიღრკე მარჯვნივ და მარცხნით, რომელ მცირე ერი ხარ და არ ქალბის თავისა თვისისა დაცვა თვინიერ მფარველისა“.**

იონა ხელაშვილისა და სოლომონ დოდაშვილის მამაშვილურ სიყვარულს დიდი ჩრდილი მიაყენა იონა ხელაშვილის ლექსიკონის დაკარგვამ, რომელიც იონას თბილისში სოლომონისათვის გამოუგზავნია დასაბეჭდად. მიუხედავად ამ ლექსიკონის ისტორიისა, იონას გული არ შესცვლია საყვარელ გაზრდილზე და „რონინის“ ფურცლებზე ცრემლმორეული ასე იგონებს 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისთვის დატუსაღებულ ს. დოდაშვილს: „ესერა ჰვსტირ კაცსა მას ს... დ... რომელსა უკეთუ განუზრახავს ბოროტნი დიდნი, არა აღუარებეს სულიერისა მოძღვრისათვის და მიუღია საიდუმლო ორისა გული-სა მქონსა“... იონა თხზულების



მთელ რიგ საუკეთესო ადგილებს უძღვნის ამ ამბავს: „აჰა, ესერა ვნრტიალე და ვჭრტინავ თქუენთვის, დილეგსა შინა დამდნარნო, ვითარცა ცვილი და ბიციერი განმხმელი ჭაობი... სიზმართაცა მკვენესარე გხედავ თქვენ მგოდებელი წინაშე შესანირავსა და ვრონიებ აქა და იქა მუნ, რათამცა მისმინოს ღმერთმა ღმერთებთამან მადლით ღმრთისა ცხებულისა ჩვენისაგან განხსნა თქუენი“. როგორც ვთქვით, პყრობილთა შორის მას ეგულება მისი გაზრდილი ს. დოდაშვილი, რომელსაც თურმე „განუზრახავს ბოროტნი დიდნი და არა აღუარებიეს სულიერისა მოძღვრისათვის“.

როგორც ცნობილია, მთავრობის ხელში მოხვედრილმა შეთქმულების მონაწილეებმა თავიანთი ჩვენებებით ბევრ სრულიად უდანაშაულო ადამიანს მოახვიეს ბრალდება. იონას გულს უკლავს ის გარემოება, რომ „სასტიკთა ტანჯუათაგან ზარტეხილნი გონება შერევილ იქმნენ მრავალთა მიმართ ცილის წამებასა...“

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იონა ხელაშვილი არათუ არ ყოფილა ფარული საზოგადოების აქტიური წევრი, არამედ არაფერი არ უნდა სცოდნოდა ამ ფარული ორგანიზაციის შესახებ. რადგან მრავალრიცხოვან მიმოწერაში ი. ხელაშვილსა და ს. დოდაშვილს შორის არც ერთხელ არ იხსენიება, გადაკვრითაც კი, არც შეთქმულების რაიმე სამზადისი და არც რაიმე უკმაყოფილება პოლიტიკურ საკითხში; ს. დოდაშვილზე, როგორც შეთქმულების მონაწილეზე, იონა ლაპარაკობს, რომ მას „განუზრახავს ბოროტნი დიდნი და არა აღუარებიეს სულიერისა მოძღვრისათვის“, რომ (სოლომონმა) „მოძღვრებითა თვისითა ეშმაკისათა და გონებისა თვისითა ქარებისთა რჩევითა და ვერაგთა კაცთა შედგომითა მე დამიტევა და მისცა თავი თვისი საუკუნო დასჯასა და ჟამიერ დილეგსა... თვისიცა როჭიკი წარწყმიდა, მონარხისა წყალობა და ერთბამად ხორციელი ღირსება თვისი და ხარისხი მოძღვრობისა და იმკის წყვდიადსა შინა სატუსახელობასა“.

აქედან ჩანს, რომ **იონა ხელაშვილს არათუ არ მიუცია იდეა ს. დოდაშვილისათვის, როგორც ზ. ჭიჭინაძე წერს, არამედ მიუხედავად ასეთი ახლობლური დამოკიდებულებისა, ს. დოდაშვილს არ გაუშვლია მისთვის შეთქმულების მზადების ამბავი.**

ამასთანავე, ი. ხელაშვილი ფარული საზოგადოების წევრი არ ყოფილა, ამას ადასტურებს ის ჩვენებებიც, რომლებიც მიუციათ შეთქმულ ბრალდებულებს ს. დოდაშვილსა და გ. ერისთავს.

ახლა რაც შეეხება თვითონ იონას თვალსაზრისს 1832 წლის შეთქმულებაზე. პირველ ხანებში იონას საქართველოს მდგომარეობა სატირლად და სავაგლახოდ ეჩვენებოდა, მაგრამ შემდეგ ხანებში მისი პოლიტიკური თვალსაზრისი იცვლება და **იზი საძარტველოს რუსეთთან შიქარტეხას ისტორიულ აუცილებლობად თვლის, რუსეთთან საძარტველოს კავშირში ხედავს სამომავლოს ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული აღორძინების პერსპექტივებს:**

„აჰა აწინდელი ივერიო, გიხაროდენ, მრავალ ბევრეულისა მხიარულებითარე: 1. განმრავლებითა, 2. ეკლესიების აღყუავებითა, 3. განათლებითა, 4. სულიერისა მშვიდობითა, 5. განმდიდრებითა ცათა შინა, განძლომითა და შემოსვითა და სახლთა აღმართვითა, ვიდრე სამსა და ოთხ ძვიდედ და სართულებად, 6. უშიშროებითა სპარსთა, თურქთა და ლეკთაგან... ახლისა აღთქმითა, გიორგიად წოდებულ ივერიო, აჰა სათნოებითა ღვთისათა აღეშენები მრავალ ბევრეულ ერად, სოფლებად, დაბეზად, სანახებად და ქალაქებად, რომელი აღყუავდები სიბრძნითა, მეცნიერებითა განათლებული“.

საქართველოს დამოუკიდებლად არსებობის შეუძლებლობა, იონას აზრით, გამოიწვია იმან, რომ „ესერა თვითუე უწყი (გეორგიავ) არლა ხარ ყოვლადი, ვინათ-

გან სახლისაგან უგუნურისა განვიდა მეფობა ზეგარდმო, ვითარცა წერილ არს. ვინათგან მჭამელ იყავ კანახისა უუმეტეს სამასისა წლისა... ამისთვის კბილნი შვილთანი მომპალ არიან“...

საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით, იონა მსჯელობს იმაზე, თუ ვინ შეიძლებოდა საქართველოს თავის მფარველად ამოერჩია. თუ სპარსეთი გამოგინვდიდა სამეგობრო ხელს, — ამბობს იონა, — „გალანამცა არა მოგცემენ სიყვარულსა და გულსა, რამეთუ სულთა მათთა ბოროტხელოვანთა არა შევალს სიბრძნე საუკუნო ცხოვრებისა“, თურქეთი კი ვერ შეგინყალებს „თვითცა დამუსვრილი“ და უკეთუ კავკასიამან მოგცეს ხელი, აჰა თვითცა უხელო არს“, — ასეთია იონას აზრი.

უნდა ითქვას, რომ იონა საღ პოლიტიკურ თვალსაზრისზე დგას და მას მკვეთრად ჩამოყალიბებული პოლიტიკური თვალთახედვა აქვს.

პეტერბურგში მცხოვრებ ქართველთა რიცხვი თანდათან მცირდებოდა. იოანე ბატონიშვილის შემდეგ, 1831 წელს ბაგრატ ბატონიშვილის მეუღლე გარდაიცვალა ქოლერიით. 1833 წელს მიიცვალა „მეფის გიორგის ასულის, რიფსიმეს ძე ალექსანდრე, თავადი ჩოლოყაშვილი წლისა 29-ისა, სამღროთო-საერო სრული და განსწავლული ფრიად ევროპელთა ენათა და წერილთა სრულიად“. 1834 წელს პეტერბურგის მინას მიაბარეს „მეფის ირაკლის ძე მირიან წლისა 68-ისა, რუსეთის დეისტვიტელნი სოვეტნიკი სენატორი და კავალერი“. 1836 წელს ალ. ნეველის მონასტერში „ქმრისა თვისისა თანა დაიკრძალა მეფის რძალი ელენა“.

ასე თანდათანობით პეტერბურგის სხვადასხვა ნეკროპოლებს (ძირითადად კი ალ. ნეველის ნეკროპოლს) ემატებოდნენ პეტერბურგელები. იონა ხელაშვილი კი ერთხანს კიდევ მლოცველი და დამტირებელია პეტერბურგის ქართველთა მცირე ნაშთისა: „მცირედს და რიცხვნი დავშით



მწირობის მნიშვნელობაა შინა მგლოვარეს გულითა“, — გოდებს იონა ხელაშვილი. „და ვჭნები დღე და ასე მსგავსად თივა-ყვავილთა. რამეთუ განმიგრძა მწირობა ჩემი ნუთიერსა სოფელსა შინა, რომელი ვსურველობ მიწიერისა გუამისა ჩემისა აღსრულებასა მიწათა შინა გიორგისასა... ღმერთო, მომანიჭე აღსასრული“, — ლოცულობს იონა.

1837 წელს, ხელნაწერზე მუშაობისას, ცხვირიდან სისხლის დენით იონა ხელაშვილიც გარდაიცვალა.

წიგნები და სალონები პეტერბურგში

XIX საუკუნის პირველი ნახევრის პეტერბურგის საზოგადოება განსაკუთრებით გამოირჩევა ლიტერატურული ინტერესებით. საზოგადოებაში მრავლდება სხვადასხვა ლიტერატურული წრეები და სალონები, ამგვარი ლიტერატურული სალონები ხშირ შემთხვევაში აერთიანებენ რუსული მხატვრული სიტყვის ისეთ ოსტატებს, როგორც არიან პუშკინი, კრილოვი, ვიაზემსკი და სხვანი, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ამ სალონთა სტუმრები არიან არა პროფესიონალი პოეტები და მწერლები, არამედ ლიტერატურის მოყვარული ცალკეული პიროვნებები.

კერძო ხასიათის ლიტერატურულმა წრეებმა და სალონებმა XIX საუკუნის 20-იან წლებში დიდი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა მოიპოვეს, როდესაც სალონების წევრები ოფიც-

ერთა წარმომადგენლებიც გახდნენ. ოფიცერთა ამ წრიდან ოციან წლებში გამოვიდნენ მომავალი დეკაბრისტები. ამ საკითხთან დაკავშირებით მ. არონსონი წერს: „ღირს დაფიქრებად, ასე ჯიქურ რატომ ცდილობდნენ დეკაბრისტები ლიტერატურულ წრეებსა და სალონებში შეღწევას. ამ შემთხვევაში მათ ლიტერატურა კი არ იზიდავდა, არამედ ლიტერატურული წრეებისა და სალონების დიდი მნიშვნელობა“.

ჩანს, დეკაბრისტთაგან პეტერბურგელი ქართველებისათვის ყველაზე ნაცნობი რილევი იყო. ჯერ კიდევ 1825 წელს ს. დოდაშვილს პეტერბურგში გადაუწერია რილევის წერილი. 1831 წელს გრ. ორბელიანმა შექმნა რილევის „ნალივაიკოს“ ერთ-ერთი თავის მიბაძვა, ხოლო, როგორც რ. ორბელმა მიაქცია ყურადღება, თეიმურაზ ბატონიშვილის ერთ-ერთი კრიპტოგრამული ჩანაწერი იძლევა რილევის სიტყვებს: „რასაც დასთეს, იმას მოიმიკი“.

1832 წლის შეთქმულთა წრეში აღმოჩენილი მხატვრული ნაწარმოებებიც იმის მაჩვენებელია, რომ პეტერბურგის ქართველთა ლიტერატურულმა წრეებმა გარემოსა და დროის შესაფერად პოლიტიკური ელფერი მიიღო.

უნდა ვიფიქროთ, რომ ის უზარმაზარი ლიტერატურული პროდუქცია, რომელიც პეტერბურგის ქართველთა წრეებმა და სალონებმა მოიპოვეს, როდესაც სალონების წევრები ოფიც-

ინტარსებით შეაყრობილ ქართველთა სულიერი მოთხოვნილება უნდა ყოფილიყო. ერთი მხრივ, ერთმანეთთან ახლოს ყოფნა და ხშირი შეხვედრის სურვილი, რომელიც შეუძლებელია, არ ჰქონოდა სამომოხლოსა და თავისიანებს მოწყვტილ ქართველობას და, მეორე მხრივ, დიდი სწრაფვა მოწინავე კულტურისა და მწარლობის გასაცნობად, განაპირობებდა მათ ხშირ თავმოყრას ლიტერატურული სალონების სახით. იმ რამდენიმე ლიტერატურული სალონის კრებულში, რომელიც ჩვენ შემოგვინახა თეიმურაზ ბატონიშვილისგან, მკითხველი უთუოდ ამოიკითხავს ქართველთა ლიტერატურული წრის ისტორიას პეტერბურგში, ამ წრის მიზნებსა და ინტარსებს.

XIX საუკუნის ქართველთა ლიტერატურული სალონის წარმომადგენლები პეტერბურგში არიან დავით და იოანე ბატონიშვილები, მირიან, ფარნაოზ, ილია, ოქროპირ და თეიმურაზ ბატონიშვილები, გრ. ბატონიშვილი, ს. რაზმაძე, პ. ლარაძე, უფრო მოგვიანებით — გ. ამილახვარი, ა. გეგეჭკორი და სხვანი. საფიქრებელია, რომ ყველა მათგანი ეცნობა ერთმანეთის შემოქმედებას. ამ წრეში თარგმნის თეიმურაზი ვოლტერის ტრაგედიას „ალათოკლეს“, აქვე იწერება მისი ორიგინალური პიესა „სამსახეობა რაინდისა“ და ცნობილი ნაშრომი ქართული ვერსიფიკაციის საკითხებზე: „გვარნი,

«აჲს აწინდლო ივარიო, გინაროდან, მრავალ ბევრაულისა მხიარულაბითარა: 1. განმრავლავითა, 2. აქლანიების ალყუავებითა, 3. განათლავითა, 4. სულიარისა მშვიდობითა, 5. განმდიდრავითა ხათა შინა, განქლოვითა და შემოსვითა და სახლთა ალმართვითა, ვიდრე სამსა და ოთხ კვირად და სართულაგად, 6. უშიშროვითა სპარსთა, თუჩათა და ლაქთაგან... ახლისა ალთქითა, გიორგიად წოდებულო ივარიო, აჲს სთნოვითა ღვთისათა ალაშენაბი მრავალ ბევრაულ ერად, სოფლაგად, დაბაგად, სანახაგად და ქალაქაგად, რომელი ალყუავები სიბრძნითა, მხსნიარავითა განათლავული», — იონა ხელაშვილი



ანუ საზომი ქართულისა ენისა სტიხთა“. ამ წრეში ითარგმნება დერჟავინის პოეზია, აქ თარგმნის და კითხულობს ს. რაზმაძე პუშკინის პოეზიის ნიმუშებს, აქვე იქმნება ქართული ნაწარმოებები, რომლებშიც ასახულია რუსული თემატიკა (ამბავი სლავენის და სონიჩკასი). ამ ლიტერატურულ წრეში ვხედავთ მხიარულ გაპაექრებებს, შეჯიბრებსა და ექსპრომტებს, რომლებიც ავსებს და იუმორით აფერადებს ყოველდღიური ცხოვრების ეპიზოდებს.

მაგალითად: გრიგოლ ბატონიშვილი, მიხეილ, ილია და ოქროპირ ბატონიშვილებს სახუმარო ეპიგრამას უძღვნის იმასთან დაკავშირებით, რომ „ვასილის ოსტროვში იდგნენ და იქიდან აიყარნენ და მეშანცკში დადგნენ“ (ვასილის კუნძული არისტოკრატიული რაიონი იყო ქალაქისა, მეშჩანსკის საპირისპიროდ).

„მეფის ძეს, ბიძას მიხეილს ხელს ვკოცნი მოშიშებითა, ღმერთმან გცეს დღენი მრავალნი, სუფევდე განდიდებითა ოსტროვით გამობრძანება თქვენი დღეს ვსცანით შვებითა, ოსტროველთ მზენი სჭმუნვნიან თქვენითა დაშორებითა“.

ამ წრეში აქტიურად მონაწილეობს პოეტი პეტრი ლარაძე (1770-1837), რომელიც, თავის დაბალი წარმოშობის მიუხედავად, გამოირჩევა მართლის თქმითა და პირდაპირობით. იგი დაურიდებლად ურჩევს დავით ბატონიშვილს: „სჯობს მოიშალო, რაცა გჭირან საზრახავები“, ამავე დროს იგი არა ერთსა და ორ ლექსში იგონებს თეიმურაზ ბატონიშვილისადმი საკუთარ თავდადებას და დამსახურებას და აღნიშნავს მათ შორის მომხდარ უსიამოვნების ფაქტს:

გული შესცვალა, რომელი ტკბილად მწყალობდა მარადის, ეს მიკვირს, ცრემლი თვალთაგან ველს ნილოს მსგავსად არა დის,



ალატონ იოსელიანი

მე მისთვისა მკუდარს რაღა მკლა, სურვას ისწრაფდა მარადის ოდეს ეს უწყი, ერთგულსა ჩემებრ ვერ პოვებს მარად ის.
იგი სატირულ სტრიქონებს უძღვნის ზაზა ანდრონიკაშვილს, რომელსაც ვერ გაუმართლებია ქართველთა იმედი:
„რა იცოდა უგუნურმა საქმისა, რად გეგონათ მპოვნი თქვენის დრაქმისა, რაც აღვითქვათ, რა ჰქნა თვისის აღთქმისა“.

პ. ლარაძე თვით სამეგრელოს დედოფალ ნინოსაც არ ინდობს. როგორც ცნობილია, სანამ სამეგრელოს დედოფალი გახდებოდა, სხვა ბატონიშვილებთან ერთად პეტერბურგში ცხოვრობდა. ნინო ფრეილინათა რიცხვში მოექცა და ყოველდღიურმა ფუფუნებამ და დროსტარებამ მასში ნაშალა წარსულის მოგონება. პ. ლარაძის ლექსს დედოფლისადმი ეწოდება **„მხილება ნინო დედოფლისა“.**

„თუცა იხილავ მრავალთა სხვადასხვა შემკულობათა, სხვა საჭვრეტელად ტურფათა, სხვა ტკბილ ხმა-მუსიკობათა, ქალთა და ყმათა შემკულთა შვენებით ტანცაობათა,

მაგრამ ჩვენ მკვიდრთა

ნუ გავცვლი, ნუ ცუდ გვიქმ მუდარობათა“.

პეტრე ლარაძე 20-იან წლებში საქართველოში¹ დაბრუნდა და განაგებდა თბილისის სამეფო ნიგნსაცავს. მან დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

როგორც ცნობილია, ოცდაათიან წლებში პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში სასწავლებლად გაემგზავრა **პლატონ იოსელიანი**. ბუნებრივია, პეტერბურგში პლ. იოსელიანს ახლო ურთიერთობა უნდა დაემყარებინა იქ მცხოვრებ ქართველებთან. პლ. იოსელიანი მალე ჩაება ქართველთა ლიტერატურულ ცხოვრებაში და ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში რამდენიმე თხზულება თარგმნა.

აკადემიაში სწავლისას პლ. იოსელიანმა თავიდანვე მიიპყრო ყურადღება, როგორც მონდომებულმა და მომზადებულმა პირმა და მიიღო ღვთისმეტყველების მაგისტრის ხარისხი.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია იმ სტუდენტების სია, რომლებთანაც ერთად დაამთავრა კურსი პლატონ იოსელიანმა.

პეტერბურგს მყოფი პლ. იოსელიანი, შვილი გიორგი მეცამეტის სასახლესთან დაახლოებული ეგნატე იოსელიანისა, ბუნებრივია, ახლო ურთიერთობაში უნდა აღმოჩენილიყო ერეკლე მეფის შთამომავლებთან. პლ. იოსელიანი პეტერბურგში ხშირად არის მირიან, ფარნაოზ, ბაგრატი, თეიმურაზ და მიხეილ ბატონიშვილებთან.

„გიორგი მეცამეტის ცხოვრებაში“ პლ. იოსელიანი გადმოგვცემს პეტერბურგში მცხოვრები ბატონიშვილების ცალკეულ ყოფით დეტალებს. თუმცა აღ. ორბელიანი თავის პოლემიკურ ნერილში „პლატონ იოსელიანს“, „ცხოვრებაში“ მოტანილ რიგ ეპიზოდებს საეჭვოდ სახავს. მაგრამ მთელი ის მასალა, რომელიც კი პეტერბურგში დაცულ თეიმურაზისა და იოანე ბატონიშვილების ფონდებს შემოუნახავს, აგრეთვე, პლ.



იოსელიანის ადრეული ნაშრომები იმის მაჩვენებელია, რომ პლ. იოსელიანი ამ წრეში იყო და ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბატონიშვილებთან ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა.

პლ. იოსელიანს „ცხოვრებაში“ მოთხრობილი აქვს, რომ მეფის ძე თეიმურაზს ჰქონდა კარის ეკლესია, სადაც დასვენებული იყო საქართველოდან წამოღებული ღვთისმშობლის ხატი. ეს ხატიო, — ამბობს პლ. იოსელიანი, „შემდგომად გარდაცვალებისა მისისა აქვნდა კვალად მეუღლესა მისსა მეფის რძალს ელენეს“.

ამ ხატთან დაკავშირებით პლ. იოსელიანი იგონებს თავის საუბარს თეიმურაზთან: „**ბატონიშვილო! ხატი ეგე ტაძრისა სწუხს ტყვეობასა თვისსა, ტაძრისაგან თვისისა დაშორებასა და უცხოებასა შინა მწირობასა.**

— ამის მადლი, — მეტყოდა, — შემეწიოს მე, როგორ მოვიშორებ მას, მანამ ცოცხალ ვარ.

ჩემი რჩევაა, ბატონიშვილო, ნარგზავნოთ თელავსა. არ დაუკარგოთ საუნჯე ქვეყანასა და თვისსა ალაგსა“.

მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ **საქართველოდან წამოღებული ღვთისმშობლის ხატის საკარო ეკლესიაში დასვენება დიდი ხნის ნატვრა იყო პეტრე ბუჩუკის ჩასული ბატონიშვილებისა. ჯერ კიდევ დავით ბატონიშვილი ოცნებობდა კარის ეკლესიის აგებაზე, რომელშიც იგი ამ ხატს დაასვენებდა, მაგრამ, როგორც ი. ხელაშვილი გადმოგვცემს, დავითის ამ განზრახვისათვის ხელი შეუშლია ნაპოლეონის შემოჭრას რუსეთში.**

შემდეგ, უფრო მოგვიანებით, თეიმურაზმა ააგო თავისი საკარო ეკლესია, სადაც დაადგინა ქართველი მღვდელი და წირვა-ლოცვას ისმენდა ქართული მრაველი ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილი.

პეტერბურგში დაცული ხელნაწერიდან ჩანს, რომ თეიმურაზმა ზემოხსენებული ხატი და საკარო ეკლესია საგანგებო ანდერძით თავის საყვარელ მეუღლეს ჩააბარა: „ჩემს მეუღლეს მეფის რძალს უნდა მარადის განუშორებლად თვისთან და ჩვენს სახლის საყდარში ესვენოს და ჩემი საყდარი, როგორც ჩემს დროს იყო მოუშლელი, ჩემს მეუღლესაც ისე უნდა ჰქონდეს მარად მოუშლელი“.

როგორც ვხედავთ, პლ. იოსელიანის მიერ მოთხრობილი თეიმურაზის დამოკიდებულება ამ ხატისადმი სრულიად დასტურდება ზემომოყვანილი არდენდით. ასევე არავითარი უფლება არ გვაქვს, ეჭვი შეიტანოთ იმ პატარა-პატარა ამბებში, რომლებსაც მოგვითხრობს პლ. იოსელიანი ბატონიშვილთა ყოფიდან პეტერბურგში.

სხვა საკითხია ის, რომ პლ. იოსელიანი, როგორც ისტორიკოსი, ბატონიშვილთა ნდობას ვერ იმსახურებს. ამ მხრივ საინტერესოა თეიმურაზის კრებულები, რომლებშიც პლ. იოსელიანი არაერთხელ არის გაბიაბრუებული, როგორც ისტორიკოსი. ერთ-ერთ ლექსში თეიმურაზი წერს, რომ საქართველოში გამოჩნდა ისტორიკოსი, რომელიც ტყუილების გუდას ბერავს. თეიმურაზის ეს ლექსი სრულ თანხმობაშია ალ. ორბელიანის პოზიციასთან. ალ. ორბელიანის ამ თვალსაზრისთან და-

კავშირებით სრულიად მართებული შეხედულება აქვს გამოთქმული ა. განერელიას:

„ალ. ორბელიანის მსოფლმხედველობა პოლიტიკური რომანტიზმის ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულება იყო მე-19 ს. I ნახევარში. ის ბოლომდე დარჩა ბაგრატიონთა დინასტიის წარსულ დიდებაზე მეოცნებე არისტოკრატად, პლ. იოსელიანს კი არაერთხელ შეუსხამს ხოტბა რუსეთის მმართველობისადმი. **პოლიტიკური მსოფლმხედველობის მხრით პლ. იოსელიანი ეკუთვნოდა იმ ჯგუფს, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის საქართველოსათვის ერთადერთ გამოსავლად რუსეთთან შეერთებას სთვლიდა.**


ბუნებრივია, პეტერბურგში მცხოვრები ბატონიშვილებისათვის, თუმცა რუსეთი იყო „ახალი ათინა“, მაგრამ ამავე რუსეთთან იყო დაკავშირებული მათი პირადი პრივილეგიების დაკარგვაც. ამიტომ პლ. იოსელიანი, როგორც ისტორიკოსი, მათი შეხედულებით ვერ ამალდა იქამდე, რომ მას გარკვევით დაენახა ქართული სამეფო სახლის ეს „დანგრევა და აოხრება“.

პეტერბურგიდან საქართველოში კარგა ხნის დაბრუნებული პლ. იოსელიანი ყოველთვის სიამოვნებით იხსენებდა პეტერბურგში გატარებულ დღეებს.

მთელი სიცოცხლის მანძილზე პლ. იოსელიანს კავშირი არ გაუწყვეტია პეტერბურგსა და მის ქართველ მობინადრეებთან, **უშუალოდ პეტერბურგთანაა დაკავშირებული პლ. იოსელიანის და მარი ბროსეს მეცნიერული თანამშრომლობაც.**

მარი ბროსემ შთააგონა პლ. იოსელიანი, რომ ყოველივე, რასაც ის საქართველოს შესახებ დანერდა თუ გამოცემდა, წარმოდგენილი ყოფილიყო ისე, რომ კულტურულ კაცობრიობას მისი გაცნობის საშუალება მისცემოდა.

ნ. მანათიას წიგნიდან „ქართული კულტურის კერა XVIII-XIX საუკუნეების პეტერბურგში, თბ., 1967 წ.“





სტუდენტური სსოვრება პეტერბურგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

წლითინლობით იზრდებოდა პეტერბურგის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, სამხედრო სასწავლებლებსა და საშუალო სკოლებში სწავლის მისაღებად ჩამსვლელი ქართველი ახალგაზრდების რაოდენობა. 1896 წელს გაზეთ „კვალში“ დაიბეჭდა, რომ რუსული ქალაქების ცხრავე უნივერსიტეტში 201 ქართველი სწავლობდა, მათ შორის პეტერბურგში — 64. 1914-1917 წლებში კი მხოლოდ პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართველ სტუდენტთა რაოდენობამ 190-ს მიაღწია, სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში — 100-ს გადააჭარბა, ხოლო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაახლოებით 30 ქართველი იყო, ქალთა უმაღლეს კურსებზე — 25, ფსიქონევროლოგიურ ინსტიტუტში — 20; ქალთა პოლიტექნიკურ კურსებსა და ქალთა სამედიცინო ინსტიტუტში დაახლოებით — 10; რამდენიმე ქართველი სწავლობდა სამხატვრო აკადემიაში, პედაგოგიურ კურსებზე, სასულიერო აკადემიაში, უცხო ენათა კურსებზე, კბილის საექიმო, საბეზიაქალო, საფინანსო, საბუღალტრო და სხვა კურსებზე, ასევე, ზოგიერთ საშუალო სასწავლო დაწესებულებაში. პეტერბურგის ქართულ კოლონიაში იყვნენ პერიოდული ბეჭდვითი ორგანოს წარმომადგენლებიც, რომლებიც უშვებდნენ და რედაქტორობდნენ რუსულ ჟურნალ-გაზეთებს. ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ პეტერბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა ხელნაწერ ლიტერატურულ ჟურნალზე „ქართველი პოლიტიკოსი“.

ბის განმავლობაში დებატები მიმდინარეობდა თბილისის საზოგადოებაში და ბევრს მიაჩნდა, რომ უფრო რეალური იყო პოლიტიქნიკური ინსტიტუტის გახსნა, ვიდრე უნივერსიტეტის. ჟურნალში სხვა საინტერესო სტატიებიც იყო ლიტერატურაზე, ეკონომიკასა და სოციალურ საკითხებზე. მის ფურცლებზე მოთხრობილი იყო, ასევე, სტუდენტურ ყოფაზე. ამ განყოფილებაში მოთავსებული იყო **გიორგი დოლიძის** მეგობრული შარჟები და კარიკატურები და მწვავე ეპიგრამები, რედკოლეგიის მიერ შედგენილი, რომლებშიც შეუფერებელი საქციელისთვის ზოგიერთ სტუდენტს ან „მუდმივ სტუდენტებს“, რომლებიც მაინცდამაინც არ ინტერესდებოდნენ მეცნიერებით, კილავდნენ.

ქართული ჟურნალი პეტერბურგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

ქართული ხელნაწერი ჟურნალი „ქართველი პოლიტიკოსის“ მხოლოდ 2 ნომერი გამოვიდა. რედკოლეგიაში შედიოდნენ სტუდენტები: პოეტი მიქელ პატარიძე, მხატვარი გიორგი დოლიძე და პუბლიცისტი მიხეილ გორგიძე. ერთერთ ნომერში გამოქვეყნდა **მიძელ პატარიძის** ლექსი და სხვა ქართველი პოეტი სიმბოლისტების მოწინავე სტატია **ლიტერატურასა და ხელოვნებაში ფუტურიზმისა და სიმბოლიზმის როლებზე**. იქვე იყო დამამთავრებელი კურსის სტუდენტის — **ანანია ბრიგოლინის** სტატია **საქართველოს სამრეწველო და სასოფლო-**

სამეურნეო განვითარების მიმართულებებზე. **აკაკი ბაბუნაშვილმა** დანერა ანგარიში პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს კულტურულ და სამეურნეო საქმიანობაზე. **მიხეილ ბაბაშვილმა** (საქართველოში დაბრუნების შემდეგ ის გახლდათ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ნამდვილი წევრი) აღწერა არხანგელსკის გუბერნიაში ორწლიან გადასახლებაში ყოფნის ზოგიერთი ეპიზოდი, შეხვედრები ცნობილ რევოლუციონერებთან, რომლებთან ერთადაც მან „უმაღლესი პოლიტიკური სკოლა“ გაიარა. გაზეთში ასევე მოთავსებული იყო სტატია თბილისში უმაღლესი სასწავლო დაწესებულების გახსნის თაობაზე. ამ საკითხზე ათწლეულ-

ქუთაისური მასპინძლობა, ანუ კაკლის მურაბა - ქართული უოკოლადი

1913 წლის ზამთარში, ნოემბრის ბოლოსა და დეკემბრის დასაწყისში, ერთ მზიან კვირა დღეს პეტერბურგის მახლობლად, ლესნოიში (პოლიტექნიკური ინსტიტუტის მახლობლად) ვლადიმერ მაიაკოვსკი თავის ქუთაისელ მეგობრებსა და გიმნაზიისდროინდელ ნაცნობებს ეწვია. ახალგაზრდებმა თხილამურებით ისრიალეს, ერთად ისადილეს სტუდენტთა სასადილოში და შემდეგ პოეტ მიქელა პატარიძესთან გაემშურნენ, რომელმაც ისინი თავისთან მიიწვია. იმ დროს მიქელასთან ერთად ცხოვრობდა სტუდენტი ელექტრომექანიკოსი შურა (ალექსანდრე) სუდაკოვი, მაია-



კოვსკის მეგობარი ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდში, პოეზიის დიდი მოყვარული. შურა ქუთაისში დაიბადა და ისევე, როგორც ვალოდია, ქართული კარგად იცოდა, მაგრამ შურას აქცენტი მაინც დაჰკრავდა.

„ჩვენ ხან რუსულად ვსაუბრობდით, ხან ქართულად, ხან კი — ორივე ენაზე ერთდროულად. ვიგონებდით 1905-1906 წლების რევოლუციური მოვლენებს: მოსწავლეთა დემონსტრაციებს „მარსელიოზას“ სიმღერით, როგორ ვშოულობდით, ვკითხულობდით და ვავრცელებდით პროკლამაციებს, როგორ იდგა ზარბაზნები მოსწავლეთა დასაშინებლად რეალური სასწავლებლის ეზოში და გიმნაზიის პირდაპირ. მოსწავლენი ისროდნენ ასაფეთქებელ პეტარდებს, გაკვეთილების დროს მათ პირდაპირ ფეხებში უყრიდნენ რეაქციონერ პედაგოგებს და მოსწავლე მახარაძეს, რომელიც პოლიციის ბოქაულის შვილი იყო, მამამისი რევოლუციონერებს აპატიმრებდა და ამიტომ ვალიზიანებით შვილს. ჩვენ მიერ სასწავლებელში შეტანილი დეზორგანიზაცია, მღელვარება, პეტარდების გრიალი კარგად ესაჩყვისებოდა რევოლუციური ბრძოლების მაშინდელ დაუოკებელ სულისკვეთებას. გიმნაზიის მეშვიდეკლასელი მოწაფე პ. დ. საყვარელიძე, რომელსაც პროკლამაციების შედგენა და ვავრცელება ბრალდებოდა, არხანგელსკში გადაასახლეს“ (მიხეილ გორგიძე, „მაიაკოვსკის „კოფტა ფატა“ და შეხვედრები პოეტთან“, ჟურნალი „მნათობი“ №8, 1973 წ.).

ნაცნობ-მეგობრებმა თბილად გაიხსენეს ქუთაისი, საუბრობდნენ ქართულად და რუსულად. მოიგონეს, ზაფხულის არდადეგებზე როგორ გადაცურეს ერთად რიონი, როგორ ხტებოდნენ თეთრი ხიდიდან. მაიაკოვსკიმ გაიხსენა, ერთხელ ჩხუბი რომ მოუვიდა რიონის პირას და ქვით თავი რომ გაუტეხეს, რის გამოც გამოცდაზე ვერ გამოცხადდა, მაგრამ შეიბრალებს და მაინც გადაიყვანეს მომდევნო კლასში.



მიქელ ხაჭარიძე

მაგრამ ახალგაზრდების საუბრის მთავარი თემა ქართული და რუსული ლიტერატურის თანამედროვე მიმართულებები იყო: სიმბოლიზმი, ფუტურიზმი. გაიმართა დებატები, რამდენადაც სუდაკოვი, კლასიკის ერთგული მკითხველი, მკვეთრად აკრიტიკებდა სიმბოლიზმსა და ფუტურიზმს.

ბოლოს მიქელმა საწერი მაგიდიდან ხელნაწერი ჟურნალი „ქართველი პოლიტიკოსი“ ამოიღო და პოეტს გადასცა სიტყვებით: „ნახე, ვალოდია! ეს ჩვენი კოლექტიური შედეგია“. მაიაკოვსკი დაინტერესდა, პატარა მაგიდასთან განმარტოვდა და ყურადღებით წაკითხა თითქმის მთელი ჟურნალი, შემდეგ კი მასპინძლები შეაქო — უთხრა, რომ ჟურნალი შესანიშნავია, მრავალმხრივი და საინტერესო საკითხავი.

მეგობრული შეხვედრის სიტბო, მხურვალე ლიტერატურული კამათი, სიყმანვილის მოგონებები, და ბოლოს, ეს ჟურნალი თავისი საინტერესო სტატიებითა და ლექსებით გახდა მთავონების წყარო პოეტისათვის და ამ დღის სამახსოვროდ იქვე ექსპრომტად

დანერილი ლექსი სტუდენტური ჟურნალის მორიგ ნომერში გამოჩნდა.

„ჩვენ მადლობა გადავუხადეთ პოეტს ლექსისათვის, რომელიც მან ჩვენ და ჩვენს ჟურნალს მოგვიძღვნა. თხოვნის შემდეგ მაიაკოვსკიმ, თუმცა უხალისოდ და ძუნწად, ზოგიერთი განმარტება მაინც მოგვცა ლექსის ცალკეულ გამოთქმებსა და სიტყვებზე, ჩაფიქრება, მიხვედრაა საჭირო, სწორედ ამაშია სიახლეო. ბი-ბა-ბოზე კი გვითხრა — ხელზე ჩამოსაცმელი თოჯინა არისო“ (მიხეილ გორგიძე).

ის საღამო ჩაითა და კაკლის მურაბით დასრულდა, რომელიც შინიდან მიქელს გამოუგზავნეს. „გმადლობთ, მიქელ, ძალიან გულკეთილი ხარ, მიყვარს ნიგვზის მურაბა. ეს ქართული შოკოლადია, დედა ყოველთვის აკეთებდა ბალდასა და ქუთაისში“.

ღამის პირველ საათზე სტუმარი უკანასკნელ მატარებელზე გააცილეს, რომელიც მაშინ ლესნოიდან პეტერბურგში დადიოდა.

ლესნოიში შეხვედრიდან რამდენიმე თვის შემდეგ, 1913 წლის ივნისის შუა რიცხვებში, მაიაკოვსკიმ გამოსცა ლექსების პირველი წიგნი. იმავე წლის 2 და 4 დეკემბერს პეტერბურგში, „ლუნა-პარკში“ მისი ტრაგედიის „ვლადიმერ მაიაკოვსკის“ დადგმის შემდეგ, რომელშიც თვითონვე ასრულებდა მთავარ როლს, ცნობილი გახდა, როგორც ნიჭიერი, განსაკუთრებული პოეტი ფუტურისტ შემოქმედთა შორის.

1913 წელს, როცა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ქართველ სტუდენტთა რიცხვმა ოცდაათს გადააჭარბა, პეტერბურგის უნივერსიტეტის მსგავსად, აქაც შეიქმნა ქართველთა სათვისტომოსო. მის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მოწინავე ძველი სტუდენტი აკაკი ბაბუნაშვილი, მდივნად — პოეტი მიქელ ხაჭარიძე, სათვისტომო იწერდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებს, ატარებდა ლექციებსა და მოხსენებებს აქტუალურ საკითხებზე.

1914 წელს სათვისტომოს თაოს-



ნობით ინსტიტუტის დარბაზში მოეწყო საღამო. საღამოს პასუხისმგებლობა, სათვისტომოს თხოვნით, იკისრა ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ს.ი. დრუჟინინმა, რომელიც საქართველოსთან დაკავშირებული იყო სიჭაბუკისდროინდელი სასიამოვნო მოგონებებით, როცა ინჟინრად მუშაობდა ჭიათურის რკინიგზის ხაზის მშენებლობაზე.

საღამოზე მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი იყვნენ ქართველი და რუსი მუსიკოსები, მომღერლები და დეკლამატორები — პიანისტი და კომპოზიტორი კ. მელვინეთუხუცესი, მომღერალი ქალი ტარასოვა, მოცეკვავე ნინო ციციშვილი და სხვ. მიქელ პატაროიძე და მიხეილ გორგაძე სკოლისდროინდელ ამხანაგს, პოეტ მაიაკოვსკის ეწვივნენ თხოვნით — საღამოზე თავისი ლექსები წაკითხა.

„კვირა იყო. მასთან დაგვხვდნენ მისი მეგობარი პოეტები ვასილ კამენსკი და დავით ბურლიუკი, რომლებთან ერთად მან სამთვიანი ფუტურისტული ტურნე მოაწყო რუსეთისა და საქართველოს ქალაქებში — გამოდიოდნენ მოხსენებებით, ლექციებით, კითხულობდნენ საკუთარ ლექსებს. კამენსკის მეზობელიდან ვიცნობდით, სადაც ის სამ კვირას ისვენებდა წინა ზაფხულს. პოეტი იმ დროის შეხედულებათა კვალობაზე ერთობ ორიგინალობდა — მხოლოდ ის, ერთადერთი, დადიოდა პარკში თავშიშველი, გრუზა თმით, რაც მაშინ დიდ ქარაფშუტობად ითვლებოდა. ზოგიერთი მას მხოლოდ ამისათვის ცოტა შექანებულადაც კი თვლიდა. კურორტზე კამენსკი ახალგაზრდობის სულიდა გული იყო“ (მიხეილ გორგიძე).

მაიაკოვსკის ძალიან გახარებია მეგობრების სტუმრობა და სიამოვნებით დათანხმდა საღამოში მონაწილეობაზე. პოეტები კარგ ხასიათზე იყვნენ, იგრძნობოდა, რომ კმაყოფილნი იყვნენ მოგზაურობის ლიტერატურული და მატერიალური წარმატებებით. ისინი გაცხოველებულ აზრთა გაცვ-



ვლადიმერ მაიაკოვსკი

ლა-გამოცვლას და ამხანაგურ კამათს ეწეოდნენ სხვადასხვა საკითხებზე.

კამათის დროს მაიაკოვსკიმ დიდი ნაკითხობა და მრავალმხრივი ერუდიცია გამოამჟღავნა, აღმოჩნდა, რომ მან საქართველოს ისტორია და ლიტერატურაც კარგად იცოდა, განმარტა „ვეფხისტყაოსნის“ მაღალი და დაბალი შარის ლექსთანყობა. ჩანდა, ბურლიუკი და კამენსკი ანგარიშს უწევდნენ მის აზრს, აღიარებდნენ მის ავტორიტეტს. ის ხომ ამ დროს მხოლოდ 21 წლისა იყო. ტალანტი ამჟღავნებდა თავის თავს.

ბოლოს, კამენსკიმ საქართველოში მათი ტურნეს ამბავი გაიხსენა. „თბილისის შემდეგ, სადაც მოხსენებით გამოსვლის დროს პოეტს ხილი, კანფეტები, ჩურჩხულები და ერთი ტიკი ღვინო მიართვეს, მაიაკოვსკის გულმა მშობლიურ ქუთაისისკენ გაუწია. იგი გრძნობით უყვებოდა კამენსკის იქ გატარებული ბავშვობის და ყრმობის წლებზე. 20 მარტს მათ ერთი დღით შეიარეს ქუთაისში. ქუთაისის ქუჩებში, — ყვებოდა კამენსკი, — მაიაკოვსკი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდებოდა ბავშვობის მეგობრებს, ეხვეოდა მათ და სულმოუთქმელად ელაპარაკებოდა ქართულად, იხსენებდა ბავშვობის წლებს, თამაშობებს, თავგადასავლებს, ნაცნობებს.

გიმნაზიის ფანჯრებიდან, სადაც ვალოდიას უსწავლია, თეთრი ცხვირსახოცების ფრიალით მოგვესალმნენ. ქუთაისელმა მეგობრებმა გულითადი შეხვედრა მოგვიწყეს — მხიარული ქეიფით, მუსიკით, ცეკვებით და ჭერში ტყვიის სროლით“. პოეტი კამენსკი ქუთაისში გატარებულ დღეზე უფრო დანვრილებით მოგვითხრობს ჩვიდმეტი წლის შემდეგ თავის მოგონებებში „მაიაკოვსკის სიჭაბუკე“ (1931 წ.).

შემდეგ მაიაკოვსკიმ სტუმრები გემრიელი საჭმელ-სასმელით განყობილ სუფრასთან მიიწვია, სუფრას თურმე საქართველოდან ჩამოტანილი ღვინოც ამშვენებდა. ეტყობოდა, წინასწარ მომზადებულია თავისი მეგობრების — ბურლიუკისა და კამენსკის დასახვედრად. სუფრასთან საუბარს დროდადრო ამშვენებდა ორიგინალური სადღეგრძელოები, რაშიც პოეტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. მაიაკოვსკიმ წარმოთქვა მგრძნობიარე სადღეგრძელო უცნობი ჯარისკაცისა, რომელმაც მას სიცოცხლე შეუნარჩუნა. თურმე იგი ზაფხულში, რიონში ბანაობისას იხრჩობოდა. კარგა ბლომა წყალი ეყლაპა. ბედად, იქ შემთხვევით მყოფი ვიღაც ჯარისკაცი მიშველებია, ზურგით გამოუყვანია ცოცხალ-მკვდარი ვალოდია ნაპირზე და მოუბრუნე-



ბია. პოეტი ძალიან წუხდა, რომ ვერ გაიგო მაშინ მისი გადამრჩენელის ვინაობა, რათა მადლობა გადაეხადა.

საერთო განწყობა თანდათან მალღებოდა. პოეტებმა თავიანთი ყველაზე საყვარელი ლექსების სიმღერა დაიწყეს. ერთად დააგუგუნეს „მრავალჟამიერი“. შემდეგ კამენსკიმ და ბურლიუკმა ტკბილხმოვანი რუსული ხალხური სიმღერები წამოიწყეს. დანარჩენები ბანს აძლევდნენ. მაიაკოვსკი მათ არ ჩამორჩა და თავისი მძლავრი ხმით ქართულად დასჭეკა:

მხოლოდ შენ ერთს, რაც რომ ჩემთვის

მოუცია მალიდან ღმერთს,
სიყვარული, სიხარული,
მხოლოდ შენ ერთს, მხოლოდ შენ ერთს,

სიცოცხლეშიც, საფლავშიაც,
ყოფილიყავ ჩემთან ერთად...

ამ სიმღერის ქართული სტრიქონები პოეტმა შემდგომში ჩართო ლექსში „ვლადიკავკაზ — ტიფლის“. ვ. პერცოვი წერს, რომ „ეს სიმღერა, რომელიც მიმართულია საყვარელი ქალისადმი, მაიაკოვსკის თავისებურად აქვს გააზრებული, როგორც მიმართვა საყვარელი საქართველოსადმი“ („მაიაკოვსკი, ცხოვრება და შემოქმედება“, მ., 1957, გვ. 72).

ცოტა ხნის შემდეგ პოეტმა ინტონაციებით შემოსძახა მაშინ იმერეთში ძალზე გავრცელებული მხიარული სიმღერა: „ნიკო, ნიკო რაზბონიკო, შენ გენაცვალე; ჭირიმე, ჭირიმე, გულში ჭირიმე, სულში ჭირიმე, შენ გენაცვალე“. სიმღერაში გამოხატულია უსაზღვრო სიმპათია ყაჩაღ ნიკოსადმი, რომელიც ხალხს ესარჩლებოდა. ა. კრუჩინონიხი გვამცნობს („ცოცხალი მაიაკოვსკი“, I გამოც., მ., 1930, გვ. 12), რომ პოეტი თურმე ხშირად ღლინებდა ხოლმე ამ სიმღერას.

საღამოს შვიდ საათზე დაიშალნენ.

ერთი კვირის შემდეგ ვ. მაიაკოვსკიმ სკოლის მეგობრებს პატივი დასდო და უსასყიდლოდ გამოვიდა ესტრადაზე. ხალხი დიდი ინტერესით უსმენდა პოეტის



მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი ბაღდადში

ლექსებს. მაიაკოვსკი მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს. თავისი გამოსვლით მაიაკოვსკიმ უცებ გამოაცოცხლა მონოტონურად მიმდინარე კონცერტი, რაზეც ბევრი ითქვა შემდეგ დღეებში.

მაიაკოვსკი ჯერ კიდევ პირველი შეხვედრისას, ლესნოიში, დაჰპირდა პატარიძესა და მის მეგობრებს, შევეცდები, თქვენი ჟურნალისთვის ლექსები დაწერო საქართველოზე მოგონებებით. პატარიძემ, უთხრა, რომ მის ლექსებს თარგმნიდა, მაგრამ მალე პირველი მსოფლიო ომის ქარიშხალი ამოვარდა. ამასთან დაკავშირებით პირველი სამი კურსის სტუდენტები სამხედრო სამსახურში გაიწვიეს და ლიტერატურულ-ჟურნალისტური მოღვაწეობა ამით დასრულდა.

მომდევნო წლის მარტში მაიაკოვსკიმ თავის მეგობარ მიქელ პატარიძეს მოსკოვში დაბეჭდილი საკმაოდ დიდი მოცულობის ილუსტრირებული გამოცემა „**რუსი ფუტურისტების პირველი ჟურნალი**“ გამოუგზავნა (№1, 1914 წ.). მასში ის უსათაურო ლექსი იყო დაბეჭდილი, რომელიც ლესნოიში დაწერა პოეტმა, მოგვიანებით ლექსი პოპულარული გახდა და მას სათაურიც გაუწინდა „**ყოფტა ფატა**“ (ე. ი. დონჟუანის კოპნია კოფტა).

მაიაკოვსკი ძველ მეგობრებს

კიდევ 1916 წელს, ბალმონტის საღამოზე შეხვდა, როცა მან მოხსენება გააკეთა რუსთაველის თარგმანის თაობაზე; მორიგი შეხვედრები კი რევოლუციურ პეტროგრადში თებერვლისა და ოქტომბრის ბობოქარ დღეებს უკავშირდება.

რევოლუციის შემდეგ მაიაკოვსკი სამჯერ ესტუმრა საქართველოს — 1924 წლის აგვისტოში, 1926 წლის თებერვალსა და 1927 წლის დეკემბერში. მან ლექსებში ასახა თავისი მჭიდრო კავშირი მშობლიურ საქართველოსთან.

მაჟულის სამსახურში

ახლა რამდენიმე სიტყვა პეტერბურგელი სტუდენტების საქმიანობაზე შინდაბრუნების შემდეგ.

სამშობლოში დაბრუნებული **ანანია გრიგოლია** იყო თბილისის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველი; **მიხეილ გავაშელი** განაგებდა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებას, ხოლო **გიორგი დოლიძე** მისი მოადგილე იყო; **აკაკი ბაბუნაშვილი** ქუთაისის კომუნალური ბანკის დირექტორი გახლდათ; ცნობილი პოეტი და მთარგმნელი მიქელ პატარიძე კი მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული, სიცოცხლის



ბოლო წუთამდე ერთგულად, უანგაროდ ემსახურა ქართული მწერლობის, კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეს.

თუკი ქართულ საზოგადოებაში რაიმე მნიშვნელოვანი ხდებოდა, მიქელ პატარიძე მუდამ წამომწყებთა შორის იყო. იგი ყოველთვის იქ ტრიალებდა, სადაც იქმნებოდა ახალი, იყო ეს ლიტერატურული წამომწყება თუ სპორტული ცხოვრება; იგი ერთ-ერთი მთავარი იყო მათ შორის, ვინც პირველად ეზიარა ევროპულ მოდერნისტულ მიმდინარეობას, ვინც პირველად მიიტანა იერიში კავკასიონის მწვერვალებზე.

ნატიფი, დახვეწილი ინტელიგენტი, ღირსებით აღსავსე მოქალაქე, განათლებული, გულისხმიერი ადამიანი შნოსა და ლაზათს მატებდა ყოველგვარ საქმიანობას. ის უხდებოდა 20-იანი წლების თბილისს, როცა მეოცნებე ქართველი ახალგაზრდები ფრანგულ პოეზიას ეტანებოდნენ.

მომდევნო წლებში იგი მხარს უმშვენივრებდა სპორტში ახალ წამომწყებათა მესვეურებს და წერაყინით ხელში მიაბიჯებდა კავკასიონის მწვერვალების კენ; მიქელ პატარიძე უყვარდათ და მას პატივს სცემდნენ საქართველოს ყველა კუთხეში, როცა შთაგონებული სახით და ხავერდოვანი ხმით კითხულობდა თავის თარგმანებს თუ საკუთარ ლექსებს. ლამაზი, ტანადი ქართველი ოფიცერი ადრეულ წლებშიც გამოირჩეოდა პეტერბურგის ლეიბ-გვარდიის ჰუსართა პოლკში (პეტერბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1916 წელს, მიქელ პატარიძე სამხედრო სასწავლებელში ჩაირიცხა, მაგრამ რევოლუციის გამო ვედარ დაამთავრა და დაბრუნდა საქართველოში, სადაც წლების განმავლობაში მისი ცხოვრება სპორტთან იყო დაკავშირებული).

თავად შესანიშნავი ათლეტი, ტანმოვარჯიშე, მთელი არსებით ჩაება ახალ სპორტულ წამომწყებაში, რომელიც ეროვნული საქმიანობის რანგში იყო აყვანილი. 1919 წელს, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, შეიქმნა პირ-

ველი ქართული სპორტული საზოგადოება „შევარდენი“, რომელიც 1922 წელს გააუქმეს ბოლშევიკებმა, როგორც ნაციონალისტური ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი იდეოლოგი მიქელ პატარიძე გახლდათ.

საზოგადოება „შევარდენში“ თავი მოიყარეს არა მხოლოდ სპორტული მონაცემების მქონე ადამიანებმა, არამედ ქართული კულტურისა და მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწეებმა, რომელთაც იტვირთეს ქართული სამეცნიერო, ტექნიკური თუ სპორტული ტერმინოლოგიის შექმნა. მიქელ პატარიძემ უდიდესი როლი შეასრულა ამ უმნიშვნელოვანეს ეროვნულ საქმეში.

მიქელ პატარიძეს და მის თაობას ის გარემოებაც სამარცხვინოდ მიაჩნდათ, რომ კავკასიონზე ევროპელ მთამსვლელებს ჰქონდათ ჰეგემონია, ქართველთათვის კი მიუწვდომელი იყო მისი მწვერვალები.

1924 წელს დაარსებულ საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში ჩამოყალიბდა მთასვლამგზავროსნობის განყოფილება, რომლის თავმჯდომარედ გიორგი ნიკოლაძე აირჩიეს, თავმჯდომარის მოადგილედ — იოსებ ასლანიშვილი, სწავლულ მდივანად კი — მიქელ პატარიძე, რომელიც მუდამ სიამოვნებით მონაწილეობდა ალპინისტურ ექსპედიციებში. ამ მხრივ გამორჩეული იყო უშბის პირველი ექსპედიცია 1934 წელს, რომელიც ქართველ მთამსვლელთა უდიდესი გამარჯვებით დაგვირგვინდა. მართალია, მიქელ პატარიძე მწვერვალზე არ ასულა, მაგრამ ასვლის წარმატებით დასრულებაში დიდი იყო მისი წვლილი. უშბის ექსპედიციის ხელმძღვანელი ალიოშა ჯაფარიძე „მთამსვლელობის მეჭირისუფლესა და ენთუზიასტს“ უწოდებდა მიქელ პატარიძეს და ეს სიტყვები ზუსტად და მჭევრმეტყველურად გამოხატავენ მისი საქმიანობის ხასიათს, მის შინაგან ბუნებას და განუზომელ ღვაწლს მთამსვლელობაში.

მიქელ პატარიძის მთამსვლე-

ლობით გატაცება შესანიშნავადა აღწერილი მის ნარკვევებსა თუ საგაზეთო წერილებში, რადგან წლების განმავლობაში იგი აქტიურ ჟურნალისტურ საქმიანობას ეწეოდა და შესაძლოა, ეს საქმიანობა მის ძირითად პროფესიადაც ჩავვეთვალა, რომ ამ ყოველმხრივ საინტერესო პიროვნებას უკვე მოხვეჭილი არ ჰქონოდა პოეტისა და მთარგმნელის სახელი.

სწორედ ბ-ნი მიქელის თარგმანების მეშვეობით დამკვიდრდა და ქართული პოეზიის საკუთრებად იქცა შესანიშნავი ფრანგი პოეტის, პარნასელთა სკოლის თვალსაჩინო ხოსე მარია დე ჰერედისა „ტროფეები“, რონსარის, ჰიუგოს, ბოდლერის, ვერლენის, როლანის, პოლ ვალერის ცალკეული ლექსები. განსაკუთრებით საყურადღებოა არტურ რემბოს „მთვრალი ხომალდისა“ და ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედების თარგმანები.

მიქელ პატარიძე მაიაკოვსკის შემოქმედების არა მხოლოდ მთარგმნელი, არამედ მისი მემორიალური სახლ-მუზეუმის დირექტორი იყო.

მიქელ პატარიძე დიდი შრომა და ენერგია შეაღია საქართველოში, სოფელ გალდადში შმაბი მდინარის — ხანისწყლისპირას აგებულ სახლში, სადაც დაიბადა და გავშვობის წლები გაატარა პოეტმა, 1941 წელს ვ. მაიაკოვსკის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის ბასენის საქმეს. იგი 20 წლის განმავლობაში, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, ხელმძღვანელობდა მუზეუმს, მისი გულმოდგინების შედეგად მუზეუმში თავმოყრილია მრავალრიცხოვანი ექსპონატი, საარქივო და ლიტერატურული მასალა, რომელიც ზუსტად აღადგენს მაიაკოვსკების ოჯახის ყოფას, თვით პოეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობას დაბადებიდან სიკვდილამდე.

სამწუხაროდ, 1959 წელს, 65 წლის ასაკში განერიდა იგი ამ წუთისოფელს და მრავალი კეთილი საქმე დარჩა განუხორციელებელი.



მოგონებებიდან:

„ერთხელ, მიქელ პატარიძეს მეგობარი — გიგლა ჩიქოვანი სწვევია და ნიკოლოზ კუჭუხიძისათვის უთხოვია სუფრის გაშლაზე მიხმარება. ბ-ნი ნიკოლოზი ამ ამბავს ასე იგონებდა: „გავანწყეთ სუფრა. დავსხედით. ერთი პეტერბურგში აღზრდილი არისტოკრატი იყო, მეორე — თბილისში აღზრდილი ინტელიგენტი. მათი საუბრის მოსმენას არაფერი სჯობდა. შემდეგ ჩემი ბედით დაინტერესდნენ. სკოლა დავამთავრე და ახალი აღებულები მაქვს სიმწიფის ატესტატი. დაინტერესდნენ ჩემი ატესტატით. ორივემ ნახა, რომ ფრიადები მქონდა, მხოლოდ ორ მეორეხარისხოვან საგანში მენერა ოთხი. იმ წელიწადს შემოიღეს მედლები და, თუ ყველა საგანში ფრიადი გექნებოდა, ოქროს მე-

დალს მიიღებდი. მიქელმა მისაყვედურა — შეგეძლო ოქროს მედლის აღება, ეს არ უნდა მოგსვლოდა და სკოლასაც ასეთი რამ არ უნდა გაეკეთებინაო, თან ლექსად მიაყოლა:

„ნიკოლოზ, რად ვერ მიიღე მედალი? განა ურალში ცოტაა მეტალი? მიტომ ვერ მიიღე მედალი, რომ შენ ხარ დედალი“.

გიგილომ ბევრი იცინა და მე განვაცხადე, რომ ინსტიტუტს დავამთავრებ წითელ დიპლომზემეთქი. არავითარ შემთხვევაში არ ვიზრუნებდი წითელი დიპლომის აღებისათვის, რომ იუმორში გატარებული დიდაქტიკით ის სიტყვები არ ეთქვა ჩემთვის მიქელ პატარიძეს. მართლაც, ავიღე პირველი ხარისხის დიპლომი და ვაჩვენე მიქელს, მან კი დაურეკა გი-

გილო ჩიქოვანს:

„ნიკოლოზს მიუღია მედალი, აღარ არის დედალი. აქ ჩამოდი სასწრაფოდ, დაკლულია დედალი, შენი ძმა და მეგობარი მიქაელი მხნედ არის, საცა არის გაფრინდება ცაში ჩემი მხედარი“.

მოვიდა გიგლა ჩიქოვანი, შეიჭამა დედალი და ჩემი დიპლომის აღება პურ-მარილით აღინიშნა.

17 წელი ვმუშაობდი მიქელ პატარიძესთან და ეს 17 წელი ჩემთვის მეორე უმაღლეს სასწავლებელს უდრიდა. იგი უნიჭიერესი, ენციკლოპედიური განათლების მქონე ადამიანი იყო. ნაადრევად გარდაიცვალა“...

მოამზადა
ლარეჯან ანდრიაძე

მიქელ პატარიძის წერილი ჯამბურის მთიანეთის მფობრების დასალაშქრად წასულ მეგობრებს - ალიოზა ჯაფარიძესა და დავით წერეთელს

ეს წერილი იმითაა საინტერესო, რომ მასში კარგად ჩანს მიქელ პატარიძის პიროვნული თვისებები — მეგობრების გამხნევების საოცარი უნარი, საკუთარი სამშობლოს სიყვარულის განცდა და მისი ხასიათისგან განუყოფელი იუმორის გრძნობა.

ჩემო ძვირფასო ძმებო — ალიოზა და დავითო! თქვენმა ბარათმა, რომელიც მე ცოტა დაგვიანებით მივიღე, უსაზღვროთ გამახარა. ბიჭებო, დღე არ გაივლის, რომ თქვენზე არ გავიფიქრო, ხან სიხარულით და სიამაყით, ხან შიშით. გვიხარია, რომ საქართველოს სახელს არ შეარცხვენთ და ვშიშობთ, რომ ასე შორს ხართ და ჩვენ ვერაფერში დაგვხმარებით გაჭირვების დროს. გაზეთებში გაიელვა ცნობებმა თქვენ შესახებ, მაგრამ ჯერ კიდევ კარგად არ ვიცით თქვენი მიღწევები, რომელიც თქვენ უსათუოდ გექნებათ. ჩვენ აქ წელს მეტად მოდუნებულნი ვართ. ჯერ კიდევ არ გაფორმებულა ალპინისტური კლუბი თუ საზოგადოება, მაგრამ იმედია, ბოლოს არ დაგვივინწყებენ. გული მიკვდება, რადგან ვხედავ, რომ აქ ჩვენი ჯგუფი თანდათან იქსაქსება და საქმეს წყდება. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავეუთმოთ კავკასიონის სხვეებს, ის ჩვენია. ჯერ კიდევ ვახტანგ მეფემ შედგა იალბუზზე ფეხი და „დიდმა მთებმა დრეკა შეჰქენეს“. ჩვენ ხომ მისი ბარტყები ვართ. ასე რომ,

თავი არავის დააჩაგვრინოთ; მანდ თქვენ საქართველოს ხალხის წარმომადგენელი ხართ და ეს სახუმრო საქმე არ არის.

...აქ მრავალი ახალი ამბებია, კარგი ამბები, რომ ჩამოხვალთ, სიურპრიზი დაგხვდებათ.

დათიკო სოფლელი კაცია და გადაეცი, რომ წელს მოსავალი დასავლეთ საქართველოში ცუდია. ეს ცოტა მალონებს მე და სანდროს კი ფეხებზე ჰკიდია. ამბობს: ეს მე არ მხეხბაო. თქვენი ნაცნობი გოგოები სალამს გითვლიან, ზოგი თქვენი ერთგულია, ზოგმაც გილალატათ და ნურც თქვენ დააკლვთ ხელს, თუ მანდ რაიმე შესაფერისი ობიექტები იპოვოთ. საერთოდ ტფილისში იმდენი ლამაზი ქართველი გოგონაა, რომ მე გარეთ აღარ გამოვდივარ მათი შიშით... ყველა მოუთმენლად მოელის ალიოზას ჩამოსვლას. ღმერთო, მომასწარი მისი გაბედნიერება. ბიჭებო, კარგად იყავით. გახსოვდეთ რომ თქვენთან არის ჩვენი საუკეთესო გრძნობები.

თქვენი მიქელი
1936 წ. 1 სექტემბერი

«დაჩაბრული» საქართველო

1965 წელი. გაზეთი „თბილისი“. სამოცი წლის წინანდელი გაზეთის გაყვითლებულ ფურცლებზე ვკითხულობთ, რომ შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი მარტო ქართველების ზეიმი არ იყო; რომ მოსკოველები კარგად იცნობენ ქართული ესტრადის ოსტატებს და დიდ პატივს სცემენ ჩვენს ხელოვნებას; რომ სწორედ მოსკოვის კინოფესტივალმა გაუხსნა გზა წარმატებებისკენ „ჯარისკაცის მამას“... ერთი სიტყვით, აი ასეთი „დაჩაბრული“ იყო საქართველო.



საიუბილეო დღეებში ბევრ ქალაქში მოენწყობა ქართული კინოფილმების ფესტივალი, გაიხსნება ქართული კულტურისადმი მიძღვნილი გამოფენები.

საინტერესო ღონისძიებები დასახეს შოთა რუსთაველის იუბილისათვის სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ, საკავშირო პროფსაბჭომ, საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, საზოგადოება „ზნანიემ“ და სხვა ცენტრალურმა ორგანიზაციებმა. სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს გადანყვეტილებით, კრემლის ყრილობათა სასახლის სცენაზე აჩვენებენ დიმიტრი არაყიშვილის ოპერას „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და შალვა მშველიძის ოპერას „ამბავი ტარიელი-სა“, ალექსი მაჭავარიანის ახალ ბალეტს „ოტელოს“.

შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს მიეძღვნა პრესკონფერენცია, რომელიც გამართა საკავშირო საიუბილეო კომიტეტმა. საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტების წინაშე ინფორმაციით გამოვიდა საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი კ. ვორონკოვი.

ს. რიჟინაშვილი

შოთა რუსთაველის იუბილისათვის

მოსკოვი (ჩვენი კორ.). მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება გენიალური ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის. მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში ეს დიდმნიშვნელოვანი კულტურული თარიღი აღინიშნება, როგორც მთელი მრავალეროვნანი საბჭოთა კულტურის ნათელი დღესასწაული (ხაზგასმა ყველგან ჩვენია — რედ.).

იუბილესათვის მზადების ნამდვილი შტაბი გახდა საკავშირო საიუბილეო კომიტეტი, რომელსაც სათავეში უდგას გამოჩენილი საბჭოთა მწერალი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ ტიხონოვი.

ამ დღეებში საიუბილეო კომიტეტში ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოდის ცნობები იუბილისათვის მზადების საკითხზე. საიუბილეო პროგრამა უაღრესად მრავალფეროვანია. „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემასთან ერთად, რაც თითქმის ყველა რესპუბლიკაში განხორციელდა, გამოვა რუსთაველის ეპოქის დროინდელი საქართველოსადმი, მისი კულტურისადმი მიძღვნილი მონობრაფიები, იუბილეს დღეებში გაიმართება ლიტერატურული საღამოები, სამეცნიერო სესიები, მკითხველთა კონფერენციები.

დიდი სამზადისი გაჩაღდა ლენინის ქალაქში. სხვა ღონისძიებებთან ერთად განხორციელდა დიდგვანამის რუსთაველის ძეგლი-პიუსტი, დიდი პოეტის სახელი მიეკუთვნება ლენინგრადის ერთ-ერთ ქუჩას.

უკრაინაში შეიქმნა რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტი გამოჩენილი პოეტის, აკადემიკოს პავლო ტიჩინას თავმჯდომარეობით. იუბილისათვის კიევში გამოვა რუსთაველის პოემის ორი გამოცემა. რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ ლექცია-საუბრებს წაიკითხავენ ცნობილი უკრაინელი ლიტერატორები. პოეტის სახელი მიეკუთვნება სკოლებსა და ქუჩებს. იუბილეს დღეებში უკრაინაში გაიმართება ქართული კულტურის კვირეული საქართველოს სსრ კულტურის მოღვაწეთა მონაწილეობით.





**„რერო“
მოსკოველები
მოსიბლა**

წერილი დედაქალაქიდან

ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში მოსკოვში გამოდიოდა საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრი „რერო“ კომპოზიტორ კ. პევეზერის მხატვრული ხელმძღვანელობით. კონცერტები მრავალჯერ მოეწყო ჯერ ერთ-ერთი თეატრში, ხოლო შემდეგ — დედაქალაქის სხვა დიდ დარბაზებში. **მოსკოველები კარგად იცნობენ ქართული ესტრადის ოსტატებს, დიდ პატივს სცემენ ჩვენს ხელოვნებას და ამიტომ გუნდის წევრებს და ამიტომ გუნდის წევრებს და ამიტომ გუნდის წევრებს** ის დიდი ინტერესი, რაც „რეროს“ გასტროლებმა გამოიწვიო. ყოველი კონცერტი, ყოველი ნომერი ხალხით გაჭედული დარბაზის მქუხარე ტაშით მიმდინარეობდა, ბევრი სიმღერა, ცეკვა გაამეორებინეს.

თავისთავად მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ მხატვრული კოლექტივი ასე დიდხანს იმყოფებოდა მოსკოვში, ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია და მონაწილეს ქართველ შემსრულებელთა საერთო მონაწილეს. მართლაც, კოლექტივი ამჟამად შესანიშნავ ფორმაშია. კ. პევეზერი ჩვეულებრივ ენერგიით, დიდი სიყვარულითა და გემოვნებით ხელმძღვანელობს მას. საუცხოოა ორკესტრის უღერადობა, ინტონაციური სინამინდე ტემბრული ფერადოვნება, მუსიკოსები მოხდენილად უწევენ აკომპანიმენტს მომღერლებს.

მეტად საყურადღებო და მიმზიდველია რეპერტუარი, რომლის ყოველი ნომერი მოფიქრებით, აზრიანად არის შერჩეული. პროგრამაში შედის როგორც ქართველ, ისე რუს და საზღვარგარეთელ ხალხთა სიმღერები, მუსიკა, ცეკვა.

ორკესტრს ჰყავს საუცხოო სოლისტები, რომლებსაც მსმენელები დიდი მონაწილეს ხვდებოდნენ. ესენი არიან ს. კოროშინაძე, ლ. ზვავური, ნ. დუმბაძე, ვ. ხომიანიცი, კალუგიშვილი, მოცეკვავეები ცი-



ციშვილი, ბერულავა, ბუჯიაშვილი, მარღანი. მოხდენილად, ხალხით მიჰყავს პროგრამა ნიჭიერ კონფერანსს გ. ჭირაქაძეს, რომელმაც საერთო სიმპათია და სიყვარული დაიმსახურა. მისი ფელეტონები „რეროს“ იუბილე და „მხეცების სიმღერა“ გონება-მახვილური იყო და გაამეორებინეს. გ. ჭირაქაძის იუმორი არ არის დაშტამპული და იაფფასიანი.

განსაკუთრებით მინდა ვილაპარაკო კონცერტების სულ პატარა მონაწილეზე. ეს არის 9 წლის გოგონა ირმა სოხაძე. პირდაპირ მინდა ვთქვა: თუ ადრე ხალხი რობერტინოთი იყო აღფრთოვანებული, ჩემი აზრით, ი. სოხაძე უფრო დიდი მოვლენაა. მთელ დარბაზთან ერთად ვუსმენდი გოგონას სულგანაბული და სიხარულის ცრემლებს ძლივს ვიკავებდი. ასეთი მგრძობიარება, სიტკბო ბევრი მოზრდილი მომღერლის შესრულებაშიც არ მიგრძნია! გასაოცარია ნაწარმოებთა სწორი გაგება, ხმის ტემბრული მრავალფეროვნება და ხმის მოძრაობის რაღაც

ახალი ხერხები, მიმიკა, პლასტიკურობა... ძნელი გადმოსაცემია, რა ხდებოდა დარბაზში, როცა ირმა მღეროდა. ყველა მაყურებელი მქუხარე ტაშით, შეძახილებით მოითხოვდა გაამეორებას. მინდა, ამ მშვენიერ გოგონას ვუსურვო შემდგომი შემოქმედებითი წარმატებები. მას ნამდვილად დიდი მომავალი აქვს, მაგრამ საჭიროა სიფრთხილე, ფაქიზი მიდგომა, რადგან ამ ასაკში სახიფათოა ბავშვის გადატვირთვა, რომ ამან დამლუპველად არ იმოქმედოს.

საერთოდ კი „რეროს“ კონცერტები, რითაც დედაქალაქში საესტრადო საზაფხულო სეზონი დამთავრდა, მონაწილეს ქართული შემსრულებლო ძალების შემოქმედებითს ზრდას. ეს აღნიშნა ცენტრალურმა პრესამაც.

დასასრულ უნდა ვთქვა, რომ ჩვენს ფილარმონიას ბავრი საუცხოო შემსრულებელი ჰყავს და მოსკოვში მათი ყოველი სტუმრობა საერთო ყურადღებას იმცავს. ისინი აღნიარებული არიან პირველხა-



**რისსოვან საისტრადო სო-
ლისტობად, რომლებიც უცხ-
ოეთხიც დიდი წარმატებით
ბამოდიან.** ეს ერთხელ კიდევ
გვიჩვენა „რეროს“ გამოსვლებმა.

**დ. ბამრიაქალი,
რესპუბლიკის სახალხო
არტისტი, სახელმწიფო
პრემიის ლაურეატი.**

ორი ხალხის კულტურული ურთიერთობა

ესტონეთისა და საქართველოს კულტურული ურთიერთობა პირველად დაწვრილებით გამოიკვლია ლიტერატურათმცოდნემ ს. ისაკოვმა. ტარტუს სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელმა. ამ უძველესი უმაღლესი სასწავლებლის არქივებში დაცულია ცნობები დაახლოებით ოთხასი ქართველის შესახებ, რომლებსაც აქ განათლება მიუღიათ გასული საუკუნის ბოლოსა და მიმდინარე საუკუნის დამდეგს. მათ შორის არიან საქართველოს კულტურისა და მეცნიერების ისეთი თვალსაჩინო მოღვაწენი როგორცაა მედიკი კ. ერისთავი, კომპოზიტორი კ. ფოცხვერაშვილი, მოქანდაკე და ხელოვნებათმცოდნე ვ. კოტეტიშვილი და ბევრი სხვა.

**ტარტუსი დიდი წარმატებით მიმდინარეობდა „ქართული სა-
ლამოები“, რომლებზეც ასრუ-
ლებდნენ ქართულ სიმღერებსა
და ცეკვებს.** პირველ ასეთ სალა-
მოზე ქართულ გუნდს დირიჟო-
რობდა ცნობილი კომპოზიტორი
მ. ბალანჩივაძე, ხოლო 1911 წელს
აქ გამოსულა „საქართველოს
ბულბული“ ვანო სარაჯიშვილი.

ტარტუს უნივერსიტეტში გამო-
დიოდა ხელნაწერი სტუდენტური
ჟურნალი „კოხო“, მუშაობდა ქარ-
თული სათვისტომო და კავკასი-
ელ სტუდენტთა საზოგადოება.
ქართველი სტუდენტები აქტიუ-
რად მონაწილეობდნენ ესტონე-
თის რევოლუციურ მოძრაობაში.

ესა და სხვა საინტერესო ცნობე-
ბია მოყვანილი ს. ისაკოვის ნაშ-
რომში, რომელიც ესტონეთის

სსრ მეცნიერებათა აკადემიის მო-
ამბეშია გამოქვეყნებული. ავტო-
რი, აგრეთვე, აშუქებს იმ ურთი-
ერთობას, რაც ესტონელ კულტუ-
რის მოღვაწეებს ჰქონდათ დამყა-
რებული საქართველოს საზოგა-
დოებრიობასთან. **ჯერ კიდევ გა-
სული საუკუნის სამოცდაათიან
წლებში თბილისში ყოფილა ეს-
ტონელი მასწავლებელი ი. რე-
ცოლდი, რომელიც ესტონეთის
პრესისათვის სისტემატურად ამ-
ზადებდა მასალებს კავკასიის
ცხოვრების შესახებ. საქართვე-
ლოში იყვნენ თვალსაჩინო ესტო-
ნელი მწერლები ე. ბორნხეე, ე.
ვილდე, ა. ტამსაარე. გასული სა-
უკუნის მიწურულს მიეკუთვნება
ქართული კლასიკური ლიტერა-
ტურის პირველი ესტონური თა-
რგმანებიც.**

(საპდესი).

„ჯარისკაცის მამა“ მოსკოვის კინოფესტივალის უედეგ

**მასხარაშვილი მსოფლიოში
მომზაურობს...**

**საბჭოთა კავშირის სახალხო
არტისტი სერგო ზაქარიაძე**
თექვსმეტი კინოფილმის მთავარი
გმირია. ყველა როლი, რასაკვირ-
ველია, მისთვის საინტერესო და
შთამაგონებელი იყო. მაგრამ, ალ-
ბათ, არასოდეს შეხვედრია სულის
სილამაზით ისეთ ძლიერს, მამაც-
სა და სახიერ გმირს, როგორც
გიორგი მასხარაშვილია. თავიდან-
ვე ძველი ნაცნობივით შეეგება,
მის მიერ განცდილ-გადატანილი
საკუთარ სიხარულად თუ მწუხა-
რებად გაიხადა და შეისისხლხორ-
ცა თვისტომი მასხარაშვილი.

„ჯარისკაცის მამას“ გოლიათუ-
რი გამოსმაურება იმიტომ აქვს,
რომ მსახიობი ზაქარიაძე და გმი-
რი მასხარაშვილი ეკრანზე ერთ
მთლიანობაში მოგვევლინაო, —
ასე დაახასიათა ძველმა კინომოყ-
ვარულმა ამ კინოსურათის დიდი
წარმატების ერთ-ერთი პირობა.
სწორედ გიორგი მასხარაშვილის

**სახის შთაგონებითა და ოსტატუ-
რად გამოკვეთისათვის დაიმსა-
ხურა მოსკოვის მეოთხე საარ-
თაშორისო კინოფესტივა-
ლის პრიზი.** საკმაოდ გავრცე-
ლებული აზრი, მაგალითად, ლა-
კონიურად ჩამოაყალიბა კუბელ-
მა დეიზი გრანადოსმა: მე მგონია,
— თქვა მან, — შეუძლებელია
უკეთ ითამაშო ჯარისკაცის მამა,
ვიდრე ზაქარიაძე თამაშობსო.

თბილისში დაბრუნების შემდეგ
მსახიობი განაგრძობს შემოქმე-
დებითს შრომას. ეუფლება ახალ
როლს, აქანდაკებს ახალ სახეს.
ახალი, რასაკვირველია, მხატვ-
რისათვის ფრიად საგულისხმოა,
მაგრამ სასიხარულოა ისიც, რომ
ცხოვრება არ ივიწყებს უკვე შექ-
მნილს. სწორედ ამიტომ არ ამოშ-
ლილა მეხსიერებიდან ამ ფილმის
მთავარი გმირი. გიორგი მასხარაშ-
ვილი ცოცხლობს და დღეგრძე-
ლობს არა მარტო თავისი განმსა-
ხიერებლის გონებაში, არამედ მა-
ყურებლებისა და შემოქმედი კი-
ნომუშაკების გულშიც.

სერგო ზაქარიაძესა და ფილმის
დამდგმელს დაუფინყარი შეხვედ-
რები მოუწყეს სოხუმში, ბათუმში,
მასხარაძეში, თბილისში, მაგრამ
შთაბეჭდილების განსაკუთრებუ-
ლი კვალი მაინც ამიერკავკასიის
სამხედრო ოლქის მეომრებთან
შეყრამ დაამჩნია. აი, საბრძოლო
დიდების გზაგავლილმა, საბჭოთა
კავშირის 24 გმირის გამომზრ-
დელმა გვარდიულმა ნაწილმა სა-
პატიო ჯარისკაცის წოდება მიანი-
ჭა მას. მსახიობის ვაჟკაცური ბე-
ჭები მეომრებმა შეამკეს ლაბადა-
კარავით და თავზე დაახურეს ვარ-
სკვლავიანი პილოტურა. **„ჩვენ
ვამაყობთ, — მიმართა სერგო
ზაქარიაძეს კაპიტანმა ლ.
იაროშვილსკიმ, — რომ ვცხოვ-
რობთ და ვმსახურობთ ერთ
ქალაქში თქვენთან, დიდ
მხატვართან და შესანიშნავ
აღამიანთან ერთად“.**

ამიტომ ატარებს იგი ამიერიდან
„გვარდიელისა“ და „საბჭოთა არ-
მიის წარჩინებულის“ ნიშნებს,
რომლებიც მეომრებმა გადასცეს.

„ჯარისკაცის მამამ“ ასიათასო-



ბით მაყურებლის გული მოინადი-რა. ბევრს თავისი თავი და მამაცი მეგობარი გაახსენა. ახლა ეს ფილმი ამაყად დააბიჯებს უცხოეთში. გადადის ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან — სოფელში და მოუთხრობს კახელი მეომრის მამის ფრონტული შემართების ამბავს. ფესტივალის შემდეგ. ს. ზაქარიადისა და რ. ჩხეიძის სახელს გულთბილად იხსენებენ არა მარტო კინოვარსკვლავები სოფილორენი და ლუჩია ბოსე, კიეხიკო უსინხარა თუ რაჯ კაპუჩი, რომლებმაც პირადად გაიცნეს ისინი მოსკოვში, არამედ ბევრი ქვეყნის ასობით კინომუშაკი და ათასობით კინომაყურებელი.

ფაქტები? რამდენიც გნებავთ! ბევრი მაგალითი ჩვენთვის ცნობილი არ არის, მაგრამ ჯარისკაცის მამის პოპულარობის დასადასტურებლად რამდენიმეს ჩამოთვლაც საკმარისია. **აზვისტოში ფილმმა კონაუსბარაჟე მონანილოვა მიიღო ბალკანეთის ქვაყნავის კინოფესტივალზე.** მის რეჟისორს დიდხანს ესაუბრნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ახალგაზრდა კინემატოგრაფის ნარმომადგენლები. ნამუშევარი მოუნონეს, შემოქმედებითი გეგმები გაიზიარეს. სთხოვეს, ჩვენი სალამი გადაეცითო საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს სერგო ზაქარიადეს. ამ დღეებში რ. ჩხეიძის ოჯახის სამახსოვრო ნივთებს მიემატა ირლანდიიდან მიღებული ორიგინალური მოხატულობის ვერცხლისფერი **მედალი.** ეს იმ აღფრთოვანების ხარკია, რომელიც კორკის საერთაშორისო კინოფესტივალის ჟიურიმ „ჯარისკაცის მამის“ ნახვით განცდილი აღფრთოვანების ფასად გადაიხადა.

„ჯარისკაცის მამამ“, — ეს სიტყვები ამოუტვიფრავთ მედალზე, — განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა.


ფოსტალიონმა მორიგი ფოსტა მოიტანა. გზავნილთა შორის ყურადღება მიიპყრო დეპეშამ ბეირუთიდან. 20-დან 27 ოქტომბრამდე არაბი კინემატოგრაფისტები



და ტელევიზიის მუშაკები იკრიბებიან. კინოსა და ტელევიზიის არაბთაშორისო ცენტრს სურს, როგორც ტექსტშია ნათქვამი, რ. ჩხეიძემ „მონანილოვა მიიღოს არაბი კინემატოგრაფისტებისა და კულტურის მუშაკთა მრგვალი მაგიდის სხდომებში“. მათ იცინან, რომ არაბ კინომოღვაწეებს სარგებლობას მოუტანს ქართველი რეჟისორის ნაამბობი, თუ როგორ იქმნებოდა „ჯარისკაცის მამა“.

მასპინძლობას სხვებიც ჰპირდებიან. ს. ზაქარიადე და რ. ჩხეიძე მიიწვიეს ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთსა და სხვა ქვეყნებში, მაგრამ განა დრო ეყოფათ, რომ მასპინძლობის ყველა მსურველი დააკმაყოფილონ?

ფილმის რეჟისორი მალე გაემ-



გზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში და მონანილოვას მიიღებს **სან-ფრანცისკოს საერთაშორისო კინოფესტივალში.** იქ გათვალისწინებულია „ჯარისკაცის მამის“ ჩვენებაც. თბილისში დაბრუნების შემდეგ კი იგი ს. ზაქარიადესთან ერთად **უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიას** ესტუმრება. ჯარისკაცის მამის როლის შემსრულებელი მიიწვიეს, აგრეთვე, **საფრანგეთსა და იაპონიაში. ტოკიოში** გაიმართება საბჭოთა ფილმების კვირეული. იაპონელი მაყურებლები ნახავენ არა მარტო გიორგი მახარაშვილს, არამედ სერგო ზაქარიადესაც...

ასევე მოხდება **საბერძნეთშიც.** გუშინ სერგო ზაქარიადე მოსკოვს გაფრინდა. მოსკოვიდან ათენს გაემგზავრება. იქ ყველაფერი მზად არის სახელოვან თბილისელთან შესახვედრად. ათენელები ელოდებიან გახმაურებულ ფილმსა და ს. ზაქარიადეს, ელოდებიან ოიდიპოსის როლის ბრწყინვალე შემსრულებელს.

საფრანგეთის კინომუშაკებს სურთ „ჯარისკაცის მამა“ თავიანთ დედაენაზე გაახმიანონ. ფილმის ფრანგული ტექსტი იქმნება თბილისში. ამჟამად ს. ზაქარიადე სწავლობს ფრანგულს, რომ პარიზსა და ლიონშიც ისევე უღერდეს გიორგი მახარაშვილის სიტყვა, როგორც დამაჯერებლად ხმიანობს თბილისსა და ქუთაისში!

ასე შეაბიჯა გიორგი მახარაშვილმა კინოსამყაროს საგანძურში, იგი ამაყად მოგზაურობს მსოფლიოს ეკრანებზე...

ი. ჯავახიშვილი

30 ივნისი შალვა ახალციხელის ხსენების დღეა

«ორასი თურქის მოკვლელი უოპრობასა სრიოდა...»

საქართველოს ძლიერების ხანაში, ღვთაებრივი თამარის მეფობის უამს, ვის გაუკვირდებოდა გმირობა და თავდადება, მაგრამ ქართულმა მიწამ მაინც შვა სწორუპოვარი მეომარი, რომლის სიმამაცის ამბავი იმდროინდელ აზიასა და აღმოსავლეთში კიდითკიდემდე იყო განფენილი. ქართველთა მეწინავე ლაშქრის სარდლად გამწესებული გახლდათ შალვა ახალციხელი, რომლის ბადალი მხედართმთავარი ძნელად მოიძებნებოდა დედამიწაზე.



ჯერაც ჭაბუკმა შალვამ პირველად შამქორის ბრძოლაში ისახელა თავი. 1195 წელს ერაყ-ირანის უპირველესი მბრძანებელი, სულთან აბუბაქარი საქართველოს ყმადნაფიც ქვეყანას — შირვანს შეესია აურაცხელი ლაშქრით და სასტიკად ააოხრა. შირვანშაჰი თამარს ენათესავებოდა და დახმარება სთხოვა ქართველთა მეფეს. მსწრაფლ ქუდზე კაცი აწვია თამარმა, შეკრიბა იმერ-ამიერ ქართველთა ლაშქარი, უსარდლა მეუღლე თვისი — დავით სოსლანი და აბუბაქარის დასასჯელად აღკაზმა. დაიძრა მტრის ბანაკისკენ ჯარი. წინასწარ დაგზავნილი მზვერავნი შემოეგებნენ სოსლანს და ამბავი მოუტანეს: „მტერნი ვიხილეთ ათასნი ათასთანი და ბევრი ბევრთაგანი, უმრავლესნი რიცხვისანი, ვითარცა მკალნი და ვითარცა ქვიშა ზღვისა“...

ცა მისმა სიმამაცემ. ელვასავით ტრიალებდა მტერთა შუა ახალციხელი, ვისაც მოუქნია ხმალი, ყველას სიკვდილი შეჰყარა. თავზე ხელაღებული იერიშით გაარღვია აბუბაქარის ამაღა, ყველაზე მჭიდროდ შეკრული ჯგუფისკენ გაემართა ფიცხლად, იქ, სადაც ფრიალებდა აუარება დროშა და მათ შორის ყველაზე მაღლა, გამორჩეულად ლივლივებდა ხალიფის ალაში. დაერია მედროშეებს ახალციხელი, უმეტესობა დაასიკვდილა, აღმები თავზე გადააფხრინა, რისხვა ღვთისა დასცა და ხალიფის დროშას წაეტანა. გადაუდგენენ მცველნი აბუბაქარისანი, მაგრამ მაინც იმარჯვა, დაითრია ხალიფის აქამდე ძლევამოსილებით განთქმული დროშა. იმწამსვე გასაქცევად აიშალა აბუბაქარის ჯარი და უგზო-უკვლო ლტოლვას მისცა თავი. მიმწუხრამდე სდიეს ქართველებმა და თითქმის ყველანი გაანადგურეს. გამობრუნდა გამარჯვებული დავით სოსლანი. ტაბახმელას ამოვიდნენ და თამარს მიეახლნენ ბრწყინვალე ძლევის ამბით. შალვა ახალციხელმა ფერხით დაუფინა დიდებულ მეფეს ხალიფის საბრძოლო დროშა...

რად ახალი მთავარსარდალი ჩაუდგა თურქ-სელჯუკთა კოალიციას საქართველოს წინააღმდეგ — იკონიის სულთანი რუქნ ადდინი. მემატინის ცნობით, რუქნ ადდინმა „არა დაუტევა თვინიერ დედაკაცისა სოფელსა შინა, არამედ ყოველნი აამხედრა“. 400 ათასი მეომარი შემოიყარა იკონიის სულთანმა და დაიძრა ქართველთა გასანადგურებლად. ისევ შეიყარა იმერ-ამიერ საქართველოს ჯარი. ვარძიაში მოუყარა თავი თამარმა ლაშქარს, დიდხანს ილოცა ხატებთან, მერე გამობრძანდა, სეფედროშა დავით სოსლანს გადასცა, ყველა მეომარი დალოცა და მტერთან შესარკინებლად გაუშვა. ბასიანთან დაიბანაკა ქართველთა ლაშქარმა. სოსლანმა საბრძოლო წყობით დაალაგა ქართველობა. მეწინავედ კი შალვა და ივანე ახალციხელები დააყენა.

შამქორთან გაეშალა ბანაკი აბუბაქარს. გაეშურა ქართველთა ლაშქარი და მტრის პირისპირ დაიბანაკა. 16 ივნისს, 1195 წელს, დაეძგერა დავით სოსლანი მოწინააღმდეგის ათჯერ უმეტეს ჯარს. უმძიმესი შეტაკება თითქმის მთელი დღე გაგრძელდა. მთელი ძალები ჩააბა იერიშებში სულთანმა და სწორედ ომის გადამწყვეტ წუთებში შემოვლითი მანევრით ზურგიდან დაესხა აბუბაქარს დავით სოსლანი. მეფის მხედრობის გამორჩეული გმირი იყო ჭაბუკი შალვა ახალციხელი. ყველა გააო-

რას დადგებოდა მუსლიმანობა შურის უძიებლად. რამდენიმე წელიწადი ითმინეს და ახალი, იმდროისთვის არნახული მასშტაბების საომარი მზადება დაიწყო ქართველთა წინააღმდეგ. ამჯე-

1204 წელი. ბასიანის ველი. საქართველო ებრძვის ნახევარ მილიონამდე თურქ-სელჯუკთა კოალიციურ არმიას. ბრძოლას ხსნის შალვა ახალციხელი.



ზვავივით დაეცა მტრის რიგებს შალვა. მიჰყვა თორჯავახთან რაზმი. ლომივით შევარდა შუაგულში ახალციხელი. გაეძვინა მდინარეში. რუქნ ად-დინმა სიღრმიდან გადააწყო და შემოუსია ახალ-ახალი ჯარი ახალციხელს. ბრძოლა მთელი ქალაქით გაიშალა. ვერ იქნა და უკან ვერ დაახვიინა სულთანმა შალვას ქართველობას. ცხენები დაუსოცეს მდინარეში სარდლებს — შალვას და ივანეს, მაგრამ ძვირითად შეუტინს გავეშებულეზმა. ამასობაში დავით სოსლანმა გაშალა ფლანგები და რკალი მოუზღუდა რუქნ ად-დინს. გატყდა თურქობა და ისევ აიშალა გასაძცევად. მათ შემოსაბრუნებლად აღარ ეცალა რუქნ ად-დინს. საკუთარი ტყავი ჰქონდა გადასარჩენი, რადგან უკვე ზედ მისი ქარვების სიახლოვეს მოარღვევდა დაცვის რჩეულ ნაწილებს უმამაცისი მხედარი. მოახსენეს კიდევ სულთანს — ქართველთა რჩეული ვაჟკაცი შალვა ახალციხელი გვიახლოვდებაო. მიასია რუქნ ად-დინმა ყველა გარშემომყოფი ქართველ მენინავეთა სარდალს. ყველა მიღწა და მიასიკვდილა შალვამ, მერე ელვასავით სწყვიტა ხმალი და სულთანს თავზე დაამხო საჩრდილობელი. ახლა რუქნ ად-დინმაც იკადრა გაქცევა. მაინც მოასწრო შალვამ და სასულთნო დროშა დაითრია ცხენდაცხენ...

ბასიანის ომი ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. თურქთა 400 ათასი მეომრიდან მცირეოდენმაღა გაასწრო სიკვდილს...

დიდგორის შემდეგ არავის გადაუხდია ესოდან განსაკვირვებელი ბრძოლა. ისევ ეთაყვანნენ საქართველოს დიდნი და მცირე ძველები — სასულთნოები, საამიროები, საფაშოები, სახალიფოები...

ამ გამარჯვებიდან მალევე მიიცივალა სახელოვანი და ღირსეული თანამეცხედრე თამარისა — დავით სოსლანი. მის შემდგომ ქართველთა ჯარის მთავარსარდლობა მეფემ ივანე ათაბაგს უბოძა, სავარაუდოდ, ადრინდელ ბრძოლებში გამოჩენილი თავდადების გამო, თორემ იმ დროისთვის უკვე ასაკოვანი იყო ივანე და ნურც ის დაგვაყინებდა, რომ ყველაზე მძლავრად მაშინ კაშკაშებდა შალვა ახალციხელის ვარსკვლავი. ამასობაში, ღვთაებრივი თამარიც აღესრულა. მისი ტახტი ლაშა-გიორგიმ დაიჭირა — ძემ მისმა.

ისევ პირველობდა საქართველო, რადგან ლაშაც მამაცი და სწორუბოვარი მეომარი იყო, მაგრამ მონღოლთა წინააღმდეგ გამართულ შეტაკებაში მიღებულ ჭრილობას ემსხვერპლა და ქვეყანას თამარის ქალიშვილი, რუსუდანი, ჩაუდგა სათავეში. პირველი რღვევის საფრთხეც მაშინ შეეპარა ნიკოფსიიდან დარუბანდამდის გადაჭიმულ ივერიას. მოუხშირდა მარცხიანი ბრძოლები ივანე ათაბაგს. ერთ-ერთი ასეთი შეტაკება შირვანთან გადახდა ქართველთა ჯარს, როცა ყივჩაღებს შეებრძოლა ივანე. ვერ წარმართა რიგიანად ბრძოლა ათაბაგმა, დამარცხდა და ზურგი აჩვენა მომთაბარე ველურებს. მერე ისევ წამოემართნენ ყივჩაღები საქართველოსკენ. ამჯერად შალვა ახალციხელი მიეგება მტერს. მიეგება

და ისე ამოწყვიტა, საქართველოსკენ წამოსვლის მადა სამუდამოდ დაუკარგა მათ მოდგმას.

მცირე დრო გამოხდა და ამჯერად სარმარის ამირა შემოესია საქართველოს სამხრეთ სამანებს, ააოხრა და გაატიალა იქაურობა. ისევ გავიდა ბრძოლად ივანე ათაბაგი, მაგრამ ორჯერ დამარცხდა და მეორე შეტაკებისას ტყვედაც ჩავარდა. იმუამად რუსუდანმა გამოახსენებინა მთავარსარდალი, მაგრამ მაინც შეუწარჩუნა მთავარსარდლობა, რაც მომავალში შემზარავ ბედისწერად ექცა საქართველოს. წესით და რიგით, ქართული ჯარის მთავარსარდლობა შალვა ახალციხელს ეკუთვნოდა, რადგან მტერი თუ მოყვარე მხოლოდ მას მიიჩნევდა იმდროინდელი აღმოსავლეთის უპირველეს გმირად....

ამასობაში, საქართველოს ჯალალ ად-დინი მოადგა 200-ათასიანი ლაშქრით. გარნისთან დაბანაკდა ჯალალი — ხვარაზმშაჰ მუჰამედის ძე. აღიმართა მის წინააღმდეგ ქართველთა 60-ათასიანი მხედრობა. მთავარსარდლად ისევ ივანე ათაბაგი იდგა.

1225 წელი, აგვისტოს თვე. გარნისი. საბედისწერო ბრძოლა ქართველთა. მენინავე რაზმს სათავეში უდგას შალვა ახალციხელი. ბრძანა ივანე ათაბაგმა და შალვა 4 ათასი მეომრით ეკვეთა ჯალალის ურიცხვ ათასეულებს. ბრძოლის დაწყებისთანავე მიხვდა შალვა, რომ მთელი ძალებით შეტევა იყო საჭირო მტრის წინააღმდეგ და წამსვე შიკრიკი აფრინა ივანესთან, მოგვეშველეთ დარჩენილი ლაშქრითო და განაგრძო თავგანწირვით შეტევა. არ იქნა და არ დაძრა მაშველი ჯარი ათაბაგმა. ისევ გამოგზავნა შალვამ შიკრიკი... მერე კიდევ დაანია ახალი მაცნე... არავინ იცის, შურით თუ სხვა რაიმე უგუნური მოსაზრებით, მაგრამ ივანე ათაბაგმა ხმლის მოუქნევლად განირა საქართველოს უპირველესი გმირი, 56 ათასი საომრად აღჭურვილი ქართველი მეომარი შემოაბრუნა და ბიჯნისისკენ დაიხია...

დარჩა მარტო შალვა ახალციხე-

ისევ ნამოქმარტნენ ყივჩაღები საქართველოსკენ. ავჯარად შალვა ახალციხელი მიეგება მტერს. მიეგება და ისე ამოწყვიტა, საქართველოსკენ წამოსვლის მადა საუდაოდ დაუკარგა მათ მოდგმას.



ლი აურაცხელი მტრის წინააღმდეგ. შეათხელა ჯალალმა მესხების რიგები. უკან დახევა შეეძლო შალვას, მაგრამ არც კი უფიქრია მტრისთვის ზურგის ჩვენება. იბრძოდა, სანამ შეეძლო, ვიდრე მართო არ დარჩა და გარშემო არ შემოადგნენ ჯალალის მეომრები. გაოცებულნი შეჰყურებდნენ ახალციხელს — როგორი მხნეობითა და რაინდობით იბრძოდა მტრის ალყაში მოქცეული მარტოკაცი...

ხმლის ვადალა შერჩენოდა ხელში შალვას, მოვარდნილ მუსლიმანს შეაღწა მკერდზე, გადახსნილი მკერდიდან სისხლი პემვით აართვა და სახეზე შეიქცია, რათა გაფითრებული არ ენახათ მტრებს უგუნური ათაბაგის ლალატის წყალობით ტყვედ ჩავარდნილი გმირი. მხარ-მკლავის გათოკვაც ვერ გაუბედეს უმამაცეს რაინდს მუსლიმანებმა. გვერდით ამოუდგნენ მხოლოდ და ჯალალ ადდინს წარუდგინეს. მოახსენეს კიდევ: **ასეთი გმირობა არ მოსწრება არავის, რაც ამ გიაურმა დღეს ჩაიდინაო.** საოცარი კი იყო, მაგრამ ქართველთა სისხლისმსმელ ჯალალს არ უცდია მისი მოკვლა. ყველა გააოგნა მისმა განჩინებამ: **ეცით პატივი შალვა ახალციხელს და სამმართველოდ გადაეცით ადარბადაგანის ქალაქიო...**

დეკემბრამდე ირანის შიდა საქმეები მოაგვარა ჯალალ ადდინმა, მერე ისევ შემოიკრიბა ძალები და საქართველოს საბოლოოდ მოსათხრელად წამოემართა. თან ახლდა შალვა ახალციხელიც და მოულოდნელად ჯალალის მსტოვრებმა შალვას წერილები ჩაიგდეს ხელში. ქართველი გმირი მტრის სამოძრაო მანევრებს ატყობინებდა თავისიანებს...

დაიბარეს შალვა ახალციხელი ჯალალ ადდინთან და წინ დაუყარეს წერილები. ღირსეული ღიმილით შეხვდა განწირული გმირი ჯალალის კითხვებს. ან კი რაღა იყო საპასუხო, ყველაფერი ისედაც ნათელი იყო ყველასთვის. ჯალალმა მზაკვრული ღიმილით შესთავაზა: თუ გინდა, სიკვდილს გადაურჩე, ქრისტიანობა უნდა დააგდო და მაჰმადს ეთაყვანო.

ღიმილითვე გასცა პასუხი შალვამ: „ჭეშმარიტისა ღმრთისა უარყოფაი შეუძლებელ არს ჩემგან, დააცხრე ჩემდა აღთქმანი ეგე არად სახმარნი ჩემნი, რამეთუ სურვილმან საღმრთომან განმანესა მე მხედრად ქრისტესა!“

რა აღარ სცადა ჯალალმა, რა აღარ აღუთქვა, მაგრამ ვერ იქნა და ვერც აზრი შეაცვლევინა შალვა ახალციხელს და ვერც ღიმილი მოაშლევინა. მერე წამება დაუნყეს, გვემეს და ტანჯეს განწირული. არც ერთი სიტყვა მუდარისა, სიცოცხლის ჩუქებისა და შეკრთომისა არ დასცდენია ბაგეთაგან, მხოლოდ თავის თავს შესძახოდა გასამხნეველად: „იხარებდე, ჰოი, შალვა, რამეთუ სამოსელსა თანა ხორცთასა ძველსა კაცსა აღიძარცვი და ხრწნადთაგან სიმარჯუეთა განთავისუფლები... დაითმინე, სულო ჩემო, სიკვდილი ქრისტესთვის, რომელიცა „ერთგზის წინაუძს ყოველსა კაცსა“...“

ვერ ბატახეს, ვერ დაამცირეს, ვერ მოდრიკეს შალვა ახალციხელი...

მერე მღინარა არაქსის პირას ბაიყვანას...

აღმართა მახვილი ჯალათმა და დაიქნია ორივე ხელით, ლოცვა შეეყინა მოღიმარ ბაგეზე საქართველოსთვის თავშენირობას. შეუერთდა მრავალრიცხოვან წმინდანთა კოჰორტას ღირსეული მამულიშვილის სული!..

შალვა ახალციხელთან ერთად დასრულდა საქართველოს 120-წლიანი ძლიერების ხანა. ბევრი ღირსეული გმირი იყო მაშინ ქართველთა შორის, მაგრამ მიხედვით ვაჟა-ფშაველას, მამაცი და მხედართმთავრული ნიჭით დაჯილდოებული — არც ვინ.

აკი დამტკიცდა კიდევ, დამტკიცდა ჩვენდა საუბედუროდ. ისე მოვიდა თბილისის ციხე-ბურჯებთან ჯალალ ადდინი, ვერსად გადაუდგა წინ ივანე ათაბაგი. მალე სიკვდილიც ეწვია საქართველოს მთავარსარდლად აღზევებულ ივანეს, რომელმაც შური და

ბოლმით დალუბა სამშობლოს უებრო გმირიც და მასთან ერთად საქართველოც.

შემოესია ჯალალი თბილისს.

იქაურ მუსლიმანთა ლალატმა დასცა ორ დღეში საქართველოს სატახტო ქალაქი. საუკუნეზე მეტი არ დამდგარიყო გადამთიელის სამტრო ფეხი თბილისში და აჰა, დაუდგა ცრემლიანი ბედისწერა საქართველოს დედაქალაქს. გაჟლიტეს და დაასამარეს დიდი და პატარა, სისხლის ნაკადულეებით აავსეს თბილისის ქუჩაბანდები...

მაგრამ ღირსეულად შეაწყდნენ მომხდურებს ქართველები. ჯერ კიდევ ყველას პირზე ეკერა შალვა ახალციხელის გმირობა და მარტვილობა, როგორც მაგალითი ერისა და რჯულის მსახურებისა, როგორც „გოდოლი კეთილი, მხედარი ქრისტესი, გვირგვინოსანი სიმართლისა...“

ამ მაგალითით გამხნეებული დაუხვდნენ სისხლისმსმელ ჯალალს. ერთ დღეს 100 ათასი თბილისელი შეაკვდა მტერს თავისი ნებით, როცა არ ინებეს ღვთისმშობლის ხატის შეურაცხყოფა და უარყოფა...

100 ათასი წმინდანი ერთ დღეს!.. ვის უხილავს... ვის მოსწრება!

მიიყამა საუკუნეები, მაგრამ შალვა ახალციხელისა და მისებრ უმაგალითო მამულიშვილთა მარტვილობა შემორჩა საქართველოს ზეცას, როგორც მანათობელი ვარსკვლავთკრებული მამულის სულის უკვდავებისა!..

ერმა კი ლექსად უმღერა შალვა ახალციხელს:

თავის თავს არა სჯავრობდა, / თავის სწორებსა სჩიოდა, / ორასი თურქის მომკვლელი / უომრობასა სჩიოდა...

საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა უებრო მამულიშვილი და ქრისტეს მეომარი. **30 ივნისი შალვა ახალციხელის ხსენების დღეა.**

ისტორიული მასალების მიხედვით მოამზადა ზვიად სენიანაშვილმა



გარეგანი ფაქტორებისა და ბუნებატსარგებლობის ეკონომიკური რეგულირება

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო გლობალიზაციის საერთო სისტემაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ეკოლოგიური წონასწორობის ეკონომიკური ასპექტები, რადგან, თუ ბუნებაში შენარჩუნებული არ იქნება ეკოლოგიურ ელემენტთა პოპულაციის სიხშირე და ხარისხი, გავრცელების მასშტაბები და არეალი, ურთიერთ და შიგა წონასწორობის ფარგლები და ზღვრები, ბუნებატსარგებლობის სავალდებულო და სამართლებრივად დაკანონებული მოთხოვნები, ისე დარღვეული იქნება სიმეტრია და ჰარმონიულობა ბუნებაში და ამდენად, ვერც ბუნებატსარგებლობის საერთო სისტემა და წესი იქნება დაცული, რაც ყველაზე ნიშანდობლივად სოფლის მეურნეობაში ვლინდება.

სოფლის მეურნეობაში საერთოდ შეუძლებელია სანარმოო სტრუქტურების ფუნქციონირება, თუ

1. გამოყენებული არ იქნება მიწის რესურსები; ნიადაგურ-კლიმატური პირობები; ფლორისა და ფაუნის შესაბამისი სპექტრი — სასოფლო-სამეურნეო კულტურები და პირუტყვი, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე გამოყვანილი, ბუნებრივი გარემოსადმი მორგებული ჯიშებითა და ჰიბრიდებით; წყლის რესურსები; ჭაობი ადგილები; გრუნტის წყლები; მიწის თერმული რესურსები და სხვ.;

2. არ გატარდა მცენარეთა და ცხოველთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები, სარეველა მცენარეების, ფიტოფლორის, ენტოფაუნისა და სხვა მავნე ორგანიზმების სიხშირის დასაშვებ ზღვრების გათვალისწინებით.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა, ფართო გაგებით კი სწორი ბუნებატსარგებლობა ეკონომიკის განვითარების განმსაზღვრელია. თუ დაცული არ იქნება ბუნებატსარგებლობის დაკანონებული წესები და პირობები და შენარჩუნებული არ იქნება ბუნების დაცვის საერთო ფონი, ისე მიუწვდომელი დარჩება ეკონომიკის გარანტირებული და მყარი განვითარების საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანა.

ეკოლოგიურ წონასწორობაზე მსჯელობისას უნდა ითქვას, რომ

რეალურად, ბუნებაში, ორი კლასიკური შემთხვევა გვხვდება:

ერთია ის, რომ ეკოლოგიურ სისტემას თვითრეგულირების მექანიზმი გააჩნია, რომლის ძალითაც და ბუნების კანონებისა და წესების შესაბამისად თავისთავად მყარდება ეკოლოგიური წონასწორობა, და ადამიანის ჩარევა ხელისშემშლელი და ზედმეტი ხდება;

მეორეა ის, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენითა და ბიოლოგიურ, ქიმიურ, ფიზიკურ და სხვა პროცესებში ადამიანის ჩარევის შედეგად ხდება ზოგიერთ პოპულაციათა სიხშირისა და მოქმედების ინტენსივობის ხარისხის, ბუნების საერთო ნესრიგიდან არასასურველი გადახრა, რაც არღვევს ეკოლოგიურ წონასწორობას და მის აღსადგენად თხოულობს ადამიანის ხელმეორედ ჩარევას (დახმარებას).

ასეთ შემთხვევებს ადგილი აქვს სოფლის მეურნეობაში. მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ მცენარეთა მავნე ორგანიზმების (მღრღნელები, კალიები, ტკიპები, სოკოები და სხვ.) არასასურველად ინტენსიური გამრავლება და ფართო არეალზე მოდება, ეროზიული და დაჭაობების პროცესები, მენყერები, ღვარცოფები, წყლისა და ჰაერის დაბინძურება, ნიადაგის ფიზიკო-ქიმიური თვისებების გაუარესება და სხვ.

ამჟამად საბაზრო ურთიერთობა-

თა მოთხოვნებიდან გამომდინარე, ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა გაძნელებულია ბუნებატსარგებლობის მარეგულირებელი და მიკროზონალური პირობების შესაბამისი, დიფერენცირებული ღონისძიებების, ერთიანი, ინტეგრირებული სისტემის სახით რეალიზაციის გარეშე, ამასთან, ასევე არარეალურია ბუნებატსარგებლობისა და ბუნების დაცვის პრობლემების გადაწყვეტა შესაბამისი ეკონომიკური მექანიზმისა და სტიმულირების მომარჯვების გარეშე.

ლოგიკურია, რომ ბუნებრივი გარემო ქმნის საერთო ფონს ეკონომიკის განვითარებისათვის, ვთქვათ, კონკრეტულად, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, მაგრამ ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების ოპტიმიზაციის თანამედროვე შესაძლებლობებმა რეალური პირობები შექმნა, რათა ბუნებატსარგებლობის სისტემა ეკონომიკის მარეგულირებელ მექანიზმს დაყრდნობოდა.

ეს იმას ნიშნავს, რომ მეცნიერების მიღწევები საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ: **ბუნებრივი რესურსების თითოეული ელემენტის ამა თუ იმ დასაშვები ინტენსივობით გამოყენების არეალი და დონე; მცენარეთა მავნე ორგანიზმების მავნეობის ეკონომიკური ზღვრები და მათთან ბრძოლის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები; სხვადასხვა სპეციფიკის ეკოლოგიური წონასწორობის მოდელები, შეზღუდვები, გამართლებული ვარიაციები, პროგნოზული პარამეტრები და სხვ.**

ამ მონაცემებისა და მეცნიერული მასალის სისტემატიზებასა და განზოგადებას, მათ საფუძველზე ეკოლოგიურ-ეკონომიკური სქემების, ბადეების, ზღვრებისა და ნორმატივების დადგენას უდიდესი მეცნიერული და გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს.



სოფლის მეურნეობაში ეკოლოგიური წონასწორობის დაცვის მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებას, რომელიც უკავშირდება მცენარეთა მავნე ორგანიზმების მავნეობის ეკონომიკური ზღვრებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრების დადგენას. ეს ნიშნავს იმის გარკვევას, თუ როდის ექნება ეკონომიკური თვალსაზრისით გამართლება მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლას მათი გავრცელების კონკრეტული ხარისხის პირობებში ისე, რომ იგი მიზანშეწონილი იყოს, როგორც ბიოლოგიური, ისე აგრონომიული თვალსაზრისითაც.

მცენარული მიღწევების თანამედროვე ეტაპზე, მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის დროს პრიორიტატი ენიჭება ინტეგრირებულ მეთოდებს, თუმცა ქიმიური და ბიოლოგიური მეთოდების ურთიერთშეთანხმებული გამოყენებაც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და იგი უნდა ეყრდნობოდეს ყოველნაირად დასაბუთებულ გათვლებსა და აპრობირებულ რეკომენდაციებს.

ეკოლოგიური წონასწორობის ეკონომიკური ასპექტების გაშუქებისას წამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, რომ **მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების არასწორი გამოყენებით შეიძლება მოხდეს გუნების დაზიანება და ამით ზიანი მიადგას მას.**

მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ ქიმიური საშუალებების გამოყენების ნეგატიური ეკოლოგიური შედეგები, უწინარეს ყოვლისა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულეებში, წყალსა და ჰაერში ნიტრატებისა და ნიტრიტების, ფტორის, რადიოაქტიური ელემენტების, მძიმე მეტალებისა და სხვა ტოქსიკური ნივთიერებების დაგროვებაში, პერსისტენტული პესტიციდების გლობალურ მიგრაციასა და ეკოლოგიურ სისტემებში აკუმულაციაში ვლინდება, რაც ადამიანსა და ცხოველებში ტოქსიკურ მოქმედებას იწვევს, რაც უდავოდ გონივრულ ჩარევასა და რეაგირებას საჭიროებს.

თუმცა კარგი და ჭკვიანი მეურნის ხელში ქიმიური საშუალებები

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის შეუცვლელი ფაქტორია და მისი, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების საფუძველზე გამოყენებით ბუნებაში რეგულირდება მცენარეთა მავნე ორგანიზმები, ნიადაგსა და მცენარეში — ბიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური პროცესები და იგი მთელ ეკოლოგიურ სიტუაციაზე უაღრესად დადებით გავლენას ახდენს, ამასთან, მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის მთლიან სისტემაში ქიმიური საშუალებების გამოყენება წარმოების ტექნოლოგიის დანარჩენ ელემენტებთან ურთიერთკავშირში უნდა რეგულირდებოდეს.

ქიმიის გარეშე როგორც თანამედროვე, ისე მომავალი მინათმოქმედება წარმოედგინება. მთავარია, მისი პოტენციალის გამოყენება წარვმართოთ ისე, როგორც აუცილებელია ჩვენთვის, ანუ რომლის დროსაც დაცული იქნება, როგორც ეკოლოგიის, ასევე ეკონომიკის სტრატეგიული მოთხოვნები და ინტერესები.

აღნიშნულის გარდა, ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური პრობლემების საერთო სისტემაში დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ისეთი საკითხების კვლევასა და გადანყვევას, როგორც:

1. მიწის რესურსების ეკონომიკური შეფასება და რაციონალური გამოყენება ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოვლამოყვანის პირობებში;
2. სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაციონალური, ბუნებისდაცვითი როლის სპეციალიზაცია და შეთანხმება და მისი საკურორტო და ტურისტულ მეურნეობასთან ინტეგრირებული ოპტიმიზაცია;
3. სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის წყლის რესურსების გამოყენების რაციონალიზაცია;
4. აგრარულ სექტორში, ბუნებისდაცვითი როლის ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების გამოყენების რეგულირება;
5. ეროზირებული და რეკულტივირებული მიწების აღდგენისა და გამოყენების ეკოლოგიურ-ეკონომიკური მექანიზმის შემუშავება;
6. დაჭაობებული მიწების ათვისებისა და მიზნობრივი დანიშნულე-

ბით გამოყენების, ბუნებისდაცვითი როლის ეკონომიკური ღონისძიებების შემუშავება;

7. ზონალური და მიკროზონალური კლიმატური პოტენციალის გამოყენების ეკონომიკური პარამეტრებისა და შესაბამისი რეკომენდაციების დამუშავება, სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით;

8. ბიოტექნოლოგიის დანერგვის მასშტაბებისა და ეკონომიკური დასაბუთებულობის დიფერენცირებული დონეებისა და ზღვრების დადგენა და სხვ.

ყველა ამ პრობლემის შესწავლა და გადაწყვეტა უშუალოდ უკავშირდება ეკოლოგიური წონასწორობის დაცვისა და შენარჩუნების მსოფლიო გლობალურ ამოცანას.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დღევანდელმა ეტაპმა, შექმნა იმის შესაძლებლობა და აუცილებლობა, რომ საფუძველი ჩაყრულა და ახალ მეცნიერულ მიმართულებას, ეკოლოგიური წონასწორობის ეკონომიკის შესახებ, რომელიც ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოპტიმიზაციის ამოცანების რეალიზაციას ეფუძნება.

აღნიშნული პრობლემების მოგვარება გარდაუვალად უკავშირდება ისეთ მნიშვნელოვან სფეროს, როგორცაა **ეკოლოგიური სამართალი.** სწორედ ამ უკანასკნელმა უნდა შექმნას ის მყარი სამართლებრივი ბაზა, რომელმაც უნდა შეასრულოს ერთი მხრის გარანტიის როლი და მეორეს მხრივ იურიდიულად არეგულიროს ქვეყნის ეკონომიკურად დასაბუთებული ეკოლოგიური სტრატეგია, პასუხისმგებლობის შესაბამისი ნორმების გამოყენებით.

როგორც ჩანს, ბუნებათსარგებლობისა და ეკოლოგიური წონასწორობის პრობლემა მსოფლიო გლობალურ პრობლემას წარმოადგენს და იგი ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად და მისივე მოთხოვნებით გადაჯაჭვულია ეკონომიკის პრობლემებთან, რაც ურთიერთინტეგრირებული გადანყვევითების მიღებასა და კომპლექსური ღონისძიებების გატარებას მოითხოვს, რომელსაც ერთიანი, პროგრესულ ტექნოლოგიებზე აგებულ-დაფუძნებული მენეჯმენტიც სჭირდება.

ოპარ ქაუელაშვილი,
აკადემიკოსი




ქველი ქართული ხუროთმოძღვრება

საქართველოს მიწა-წყალზე, მგონი, არ მოიძებნება არც ერთი კუთხე, არც ერთი ხეობა და სოფელი, რომ წარსულის რაიმე ნაშთი არ იყოს დარჩენილი — ან ძველი ეკლესია და სამრეკლო, ან ციხის ნანგრევი, ან სადარაჯო კოშკი, ან ნასახლარი. ჩვენი ქვეყნის მძიმე ისტორიული ხვედრის მონმეებია ნასოფლარები და ნაქალაქარები, რომლებიც უმეტესად სამხრეთის რაიონებშია, იმ კუთხეებში, რომელთაც პირველად უხდებოდათ მტრის შეხვედრა და გამკლავება. ქართველი მეცნიერის, ხელოვნების ისტორიკოსის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორის, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის დირექტორის (1973-1988წ.) — ვახტანგ ბერიძის ნაშრომებში განხილულია ქართული ხელოვნების ისტორიის საკითხები ადრინდელი ფეოდალური ხანიდან. „მეცნიერებამ უკვე ჩააღწია ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე ათასწლეულამდე, როდესაც ჩვენი შორეული წინაპრები სრულიად პრიმიტიულ საცხოვრებლებს ქმნიდნენ და, ამგვარად, პირველ ნაბიჯებს დგამდნენ სამშენებლო ხელოვნების დარგში. ეს ყველაფერი მოწმობს, რომ მრავალი ათეული საუკუნის მანძილზე ჩვენი ხალხის შემოქმედება უწყვეტი და უშრეტი იყო“ (ვ. ბერიძე).

ქართული კულტურა IV-VII საუკუნეები

IV-VII საუკუნეები დიდად მნიშვნელოვანია არა მარტო ქართული ხუროთმოძღვრების, არამედ საერთოდ ქართული კულტურის განვითარებაში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა საბოლოოდ ეროვნული კულტურის სახე. V საუკუნეს მიეკუთვნება, როგორც ცნობილია, დღემდე გადარჩენილი უძველესი ნიმუშები ქართული დამწერლობისა, თუმცა ქართული ანბანი, უეჭველია, უფრო ადრე უნდა შემუშავებულიყო. V ს-ში უკვე ნათარგმნი იყო ბიბლია, მაშინ შეიქმნა ჩვენთვის ცნობილი უადრესი ნაწარმოები ქართული ლიტერატურისა — იაკობ ცურტაველის „შუშანიკის მარტვილობა“. ქრისტიანობის მიღების შემდეგ საქართველოს, რა თქმა უნდა. არ შეუწყვეტია კავშირი წინა აზიასთან, რომელსაც იგი თავისი ფეს-

ვებით ეკუთვნის, მაგრამ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა დასავლურ კულტურას. მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კონტაქტებს ბიზანტიურ სამყაროსთან. გაქრისტიანებულ სირიასა და პალესტინასთან, მეზობელ სომხეთთან, მცირე აზიასთან. უკვე V ს-ში დაარსდა ქართული მონასტრები სირიასა და პალესტინაში, უფრო გვიან კი საბერძნეთსა და სინას მთაზე. ეს მეცნიერული აზროვნების ცენტრები იყო: ქართველი ბერები, ბერძნებთან და სხვა ერების წარმომადგენლებთან ხელიხელჩაკიდებულნი, იქ ინტენსიურ სამწერლო და მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდნენ, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კულტურული ურთიერთობისა და ურთიერთგავლენისთვის. ქართულმა თარგმანებმა შემოგვინახა ქრისტიანული სასულიერო მწერლობის მდიდარი საგანძური, შემოგვინახა ზოგი ისეთი ნაწარმოებიც, რომელთა დედნებს დღემ-



ვახტანგ ბერიძე

დე არ მოუღწევია. მეცნიერებამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ იცის უცხოეთის ქართული მონასტრების შესახებ. ამ მხრივ ახალი კვლევა-ძიება, ახალი გათხრები ჩვენ თვალწინ უცნობ ფურცლებს შლის: ანტიოქიის მახლობლად აღმოჩნდა ბევრი ეკლესია და მონასტერი, რომლებიც ქართველებს ეკუთვნოდა; ეგვიპტეშიაც გამოვლენილი იქნა ეკლესია, რომელიც, მკვლევართა აზრით, ქართულ სასულიერო მოღვაწეებს უნდა აეშენებინათ V ს-ში. არც ისე დიდი ხნის წინათ იტალიელმა მეცნიერებმა გათხარეს უძველესი ქართული მონასტერი იუდას უდაბნოში, პალესტინაში (ამ მონასტრის იატაკის შესანიშნავ მოზაიკაში ჩართულია ყველაზე ძველი ქართული წარწერა — V ს-ის შუა წლებისა).

ეჭვი არ არის, რომ მიწის ნიაღვი ჯერ კიდევ გვირ საიდუმლოს ინახავს წინა აღმოსავლეთის ქველი ქართული მონასტრების შესახებ. იმდროინდელი ქართული ნივთიერი კულტურის მაღალი დონის ყველაზე თვალსაჩინო მაჩვენებელი სწორედ ხუროთმოძღვრებაა — არა მარტო გადარჩენილ ნაწარმოებთა სიმრავლის, არამედ მათი განსაკუთრებული მხატვრული ღირებულების გამოც; ქართული ხუროთმოძღვრება უკვე მაშინ სახავს რთულ მხატვრულ პრობლემებს

და ახერხებს მიზანდასახულად და თანმიმდევრობით მათს ამოხსნას. **მჭიდროდაა დაკავშირებული არქიტექტურასთან დეკორაციული ქანდაკებაც** — ტაძრების ფასადთა რელიეფები (ქვისა), საკულტო სტელები. გადარჩა, აგრეთვე, მოზაიკური შემკულობის რამდენიმე ნიმუშიც, მაგრამ მონუმენტური მხატვრობის აყვავების ხანა უფრო გვიან დადგება — X საუკუნიდან.

ქრისტიანულმა ეკლესიამ ხუროთმოძღვართ სრულიად გარკვეული ამოცანა დაუსახა. უნდა შექმნილიყო საგანგებო შენობა, რომელიც ბევრ მლოცველს დაიტევდა და სარწმუნოებრივი რიტუალის ჩასატრელებლად გამოდგებოდა. ახალი ამოცანის ამოხსნა, ცხადია, ერთბაშად ვერ მოხერხდებოდა. როგორც წერილობითი წყაროები, ისე უძველესი გადარჩენილი ნიმუშების დაკვირვება მოწმობს, რომ **თავდაპირველად მლოცველები მაინც ეკლესიის გარეთ იდგნენ, ადვილი კი არ იყო ამ ახალ, ჯერ კიდევ უცხო და უცნობ ღმერთთან შეგუება: „მისგან შიში დიდი დაცემული იყო ყოველსა კაცსა ზედა“**. ეკლესიაში მხოლოდ მღვდელი შედიოდა, ამიტომ გასაგებია, რომ სულ პირველი ეკლესიები ძალიან მცირე ზომისაა. სინამდვილეში ეს მხოლოდ მინიატურული სამლოცველოებია, რომლებიც მხოლოდ თანდათან იქცა მეტ-ნაკლებად ტევად ეკლესიებად, V სის ბოლოს კი უკვე საკმაოდ დიდი ტაძრების შენებაც დაიწყო.

როგორც ცნობილია, ევროპასა და წინა აღმოსავლეთში ძველ ქრისტიანულ ხანაში გავრცელებული იყო საეკლესიო ნაგებობათა ორი უმთავრესი სახეობა:

ა) **ნაგრძელებული უგუმბათო შენობა, ე.წ. ბაზილიკა**, რომლის წარმოშობის შესახებაც სხვადასხვა თეორია არსებობს;

ბ) **ცენტრული მრგვალი, მრავალნახნაგა (ჩვეულებრივ, რვა-ნახნაგა), ჯვარისებრი შენობა**, რომელიც ყოველთვის გუმბათით არ იხურებოდა. გამოთქმულია მოსაზრება (ლასიუსი, გრაბარი), რომ



უჯარმა IV-VI საუკუნეებში, თბილისსა და მცხეთასთან ერთად, უმთავრესი ცენტრთაგანია ქართლისა

ეს ორი სახეობა შენობათა ორ განსხვავებულ ფუნქციას შეესაბამებოდა: ცენტრული შენობები მართრიუმები, ე.ი. წმინდანის საფლავთან დაკავშირებული მემორიული სამლოცველოები იყო, ხოლო ბაზილიკები — ჩვეულებრივი ეკლესიები, რომლებშიაც რეგულარული ყოველდღიური წირვა-ლოცვა წარმოებდა. საქართველოშიც, ქრისტიანულ საკულტო არქიტექტურაში, აგრეთვე, ვხვდებით ამ ორ სახეობას — ნაგრძელებულ უგუმბათო შენობებსა და ცენტრულ შენობებს, მაგრამ:

ა) მათ შორის არ არსებობს ზემოთ ხსენებული ფუნქციური სხვაობა, ე.ი. გეგმის ცენტრულობა სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ეკლესია წამებულის კულტთან, წმინდანის ნაწილებთანაა დაკავშირებული;

ბ) საქართველოში უცნობი იყო ისეთი მრგვალი ან მრავალნახნაგა გეგმა, როგორც დასავლეთში და წინა აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში მემკვიდრეობით მიიღეს წინაქრისტიანული რომაული არქიტექტურისაგან;

გ) ქართული ცენტრული ტაძრების ბირთვის (სულ მცირე გამონაკლისით) შეადგენს კვადრატი, რო-

მელზედაც აღმართულია გუმბათი და რომლის გარშემოც ვითარდება ჯვარისებრი გეგმა (სხვა ტიპები გამოწკნისია, ან გარდამავალ საფეხურს შეადგენს). კვადრატზე დამყარებული გუმბათის თემა გენეტიკურად უკავშირდება, ერთი მხრივ, ანალოგიურ კომპოზიციას წინა აღმოსავლეთის ქვეყნების ძველ ხუროთმოძღვრებაში (მაგ. სასანურ სასახლეებს ირანში), მეორე მხრივ, ეს ძალიან არსებითია — ქართული ხალხური არქიტექტურის ტრადიციებს, კერძოდ, გლეხური „დარბაზის“ ტიპს (როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ეს ტიპი ქრისტიანობის გავრცელებამდე ბევრად ადრე შემუშავდა). ამგვარად, კვადრატზე დასმული გუმბათის თემა, რომელმაც, არსებითად, **გადამწყვეტი როლი შეასრულა მთელი აღმოსავლურ-ქრისტიანული საკულტო არქიტექტურის განვითარებაში, საქართველოსთვის ღვიძლი და ტრადიციული იყო**. ეს გარემოება მკაფიოდ იჩინს თავს საქართველოში სარწმუნოებრივი არქიტექტურის ჩასახვისთანავე.

დ) პირიქით, ბაზილიკის ტიპი, ე.ი. ხაზგასმით გამომჟღავნებული სიგრძივი ღერძის მქონე შენობა,



რომელიც აგებულია გარკვეული ელემენტების რიტმული განმეორებით, ქართველი ხუროთმოძღვრებისათვის უცხო იყო: მაგრამ ამ ტიპს ნერგავდა ოფიციალური ეკლესია, რადგანაც ქრისტიანულ ეკლესიას დასაწყისში ესაჭიროებოდა უკვე აღიარებული, სარწმუნოების მიერ ნაკურთხი ნიმუშები. ბუნებრივია, რომ ასეთ ნიმუშებად მიჩრეულ იქნა პალესტინის უძველესი ბაზილიკები, რაკი პალესტინა, საღმრთო წერილის თანახმად, ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ასპარეზი იყო.

ე) საქართველოში შემუშავდა ბაზილიკის თავისებური ვარიანტი, რომელსაც ქართველმა მეცნიერებმა „სამეკლესიოანი ბაზილიკა“ უწოდეს: გარედან იგი არ განსხვავდება ჩვეულებრივი სამნავიანი ბაზილიკისაგან, მაგრამ შიგნით ნავეები ერთმანეთისაგან ბოძებით კი არ არის გაყოფილი, არამედ კედლებითაა გათიშული. ე.ი., არსებითად, აქ ერთ შენობაში გაერთიანებული სამი დამოუკიდებელი სამლოცველოა. ეს თემა, რომელიც საქართველოს გარეთ უცნობია, VII საუკუნიდან მოყოლებული გარკვეულ ევოლუციას განიცდის და იარსებებს, ისევე, როგორც ბაზილიკა, X ს-მდე.

ვ) სამნავიანი და სამეკლესიოანი ბაზილიკის გვერდით, საქართველოში იმთავითვე შემუშავდა უგუმბათო ნაგებობათა კიდევ ერთი, უმარტივესი სახე: ერთნავიანი (ანუ ცალნავიანი) ეკლესია, რომელიც იარსებებს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების მთელ მანძილზე. სოფლის მცირე სამლოცველოთა უმეტესობა ამ ტიპს მიეკუთვნება, თუმცა არსებობს საკმაოდ მოზრდილი ერთნავიანი ეკლესიებიც.

თავისი „შინაარსით“ მისი ხუროთმოძღვრების საფუძვლად დადებული ძირითადი იდეით, უმთავრესი შემადგენელი ნაწილების განლაგების მხრივაც, ქართული ეკლესია, რა თქმა უნდა, მთლიანად და სავსებით ემხრობა მთელ ქრისტიანულ სამყაროში მიღებულ ნორმებს; ფუნქციური თვალსაზრისით, იგი ემთხვევა სხვა



ნაქრისის მცირე ეკლესია, რომელიც IV საუკუნეში ააგო იზაირის მეფემ თრდატმამ

ქრისტიანული (უპირველეს ყოვლისა, მართლმადიდებელი) ქვეყნების ეკლესიას. აღმოსავლეთისკენ მიმართული, ნახევრწრიულ აფსიდიანი საკურთხეველი, სადიაკვნე და სამკვეთლო მის ორსავე მხარეს (გარდა უძველესი ეკლესიებისა, სადაც ეს სადგომები ჯერ კიდევ არ არის), მლოცველთა დარბაზი (განსხვავებული სახისა ზემოთ ჩამოთვლილი ტიპების მიხედვით) — ესაა ძირითადი შემადგენელი ნაწილები ყოველი ქართული ეკლესიისა. მაგრამ ქართული ეკლესიები იმთავითვე ატრიუმების გარეშე შენდებოდა, მათ არ გააჩნდათ არც ნართექსები დასავლეთის მხარეს (გამონაკლისი იშვიათია), არც ცალკე აშენებული სანათლავეები (ბაპტისტერიუმები), დასავლური ეკლესიებისა, ხოლო სამრეკლოები შედარებით გვიან გაჩნდა — დღემდე არსებულთაგან უძველესი XIII ს-ისაა. მაგრამ, ცხადია, ხუროთმოძღვრების ცოცხალ თავისებურებას, მხატვრულსა და ეროვნულს, მარტო გეგმა ან შენობის ტიპი არ ქმნის. ყოველი ერი თავისებურ სულს შთაბერავდა ამ საყოველთაოდ გავრცელებულ სქემებს. სწორედ ამიტომაც საინტერესო სხვადასხ-

ვა ქვეყნის ხუროთმოძღვრული შემოქმედების გაცნობა. ზემოთქმული მხოლოდ სარწმუნოებრივ არქიტექტურას ეხებოდა.

თავისთავად იგულისხმება, რომ შუა საუკუნეების მანძილზე საქართველოში განაგრძობდა არსებობას ხუროთმოძღვრების ყველა სხვა სახეობაც — სამოქალაქო, უტილიტარული, სათავდაცვო შენობები. სამწუხაროდ, ეს ძეგლები ბევრად უფრო უარესადაა დაცული, ვიდრე საკულტო შენობები. მართალია, საქართველოს მთებსა და ხეობებში ციხე-კოშკები ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, მაგრამ თითქმის ყველა დანგრეულია ან დაზიანებული მაინც, ყოველ შემთხვევაში, არ მოიძებნება არც ერთი ციხე, თავდაპირველი სახე რომ ჰქონდეს შენარჩუნებული. სასახლეებისა და ციხე-დარბაზების მდგომარეობა კიდევ უფრო უარესია: თუ დასავლეთ ევროპაში ძველი ფეოდალური ციხე-დარბაზები და ბევრი სამეფო რეზიდენცია თითქმის ხელშეუხებლად დგას, საქართველოში კვლავ მხოლოდ ნანგრევები გვაქვს. თბილისის, ქუთაისის, თელავის, სიღნაღის ძველ უბნებში ჯერ კიდევ არსებობს ქუჩების ძველი ქსელი,



მაგრამ ძველი (XIX ს.-ზე ადრინდელი) საცხოვრებელი სახლები აღარ არის (მხოლოდ ზოგი ნაქალაქარის გათხრისას აღმოჩნდა თითო-ოროლა ნიმუში). ამის ახსნა ძნელი არ არის. საკმარისია, გავიხსენოთ სისხლისმღვრელი გამანადგურებელი შემოსევები, დასახლებულ ადგილთა აოხრება და მოსახლეობის ჟლეტა არაბ-თურქ-სპარსელთა და სხვა მტერთაგან. მაგრამ სამოქალაქო და სათავდაცვო არქიტექტურა უკეთადაც რომ გადარჩენილიყო, თავისი მნიშვნელობით იგი მაინც ვერ შეედრებოდა საეკლესიოს. ამ მხრივ საქართველო გამოჩინდა არ წარმოადგენს: ცნობილია, რომ შუა საუკუნეთა ეპოქაში უმთავრეს როლს საეკლესიო არქიტექტურა (მონასტრები, ეკლესიები) თამაშობდა, რომ არქიტექტურის მხატვრულ-სტილისტიკურ თავისებურებათა შესახებ ყველაზე უკეთ სწორედ საეკლესიო შენობების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. სამშენებლო ტრადიციების სიძველემ და სიმტკიცემ იმაშია იჩინა თავი, რომ IV-V საუკუნეებში, როდესაც ქართული ხუროთმოძღვრება ახალი იდეური და მხატვრული ამოცანების წინაშე დადგა, მას უკვე სავსებით შემუშავებული ჰქონდა ტექნიკური ხერხების არსენალი — ეს ეხება საშენ მასალათა გამოყენებასა და დამუშავებას, ეხება კონსტრუქციებსაც. ყველა მონუმენტური შენობა ქვით შენდება, კირის ხსნარის გამოყენებით. ეკლესიების კედლები, ფასადის მხრიდანაც და შიგნიდანაც, ნაშენია კარგად გათლილი წესიერი ფორმის კვადრებით, რომლებიც წესიერ ჰორიზონტალურ რიგებს ქმნის (გამონაკლისია მხოლოდ კახეთი, სადაც რიყის ქვას იყენებდნენ); ამოვსება ქვა-ყორე-ბეტონისაა, მცირე სიგანისა. კედლის მასალის შერხვევისას ხუროთმოძღვრები მარტო პრაქტიკული მოსაზრებით კი არ ხელმძღვანელობდნენ, არამედ ესთეტიკური თაც; ისინი გულგრილად კი არ ეკიდებოდნენ ქვის ფერსა და ფაქტურას, არამედ საგანგებოდ არჩევდნენ მას, ზოგჯერ უფრო ადვილად მი-

სანვლომ ქვას თმობდნენ და მას შორიდან ეზიდებოდნენ, თუკი ამ მხრივ უფრო შესაფერისად მიაჩნდათ. აგურს, როგორც საშენ მასალას, კარგა ხანს მეორეხარისხოვანი ადგილი ეჭირა, მხოლოდ ბევრად უფრო გვიან, XVI-XVIII საუკუნეებში დაიმკვიდრა მან საქართველოს ზოგიერთ ნაწილში მთავარი ადგილი. **ბიზანტიისთვის დამახასიათებელი მონაცვლეობა ქვისა და აგურისა, ქართულ ეკლესიებში გვიან ხანამდე უცნობია. სახურვის მასალად იხმარება ქვის ფილები და კრამიტი. სადგომთა გადასახურავად საეკლესიო შენობებში მიღებულია კამარები და გუმბათები, მალის გადასახურავად — უმეტესად თალები; ცალკე მდგომი საყრდენი, ჩვეულებრივ, ქვით ნაწყობი ბოძია (მონოლითური სვეტები იშვიათია და მათ უმნიშვნელო ადგილი უჭირავს, ორიოდე გამონაკლისის გარდა). საკმაოდ ადრე ვრცელდება კამარის სხვადასხვა სახე: შეკრული კამარა, რომელიც ზოგჯერ სფერული გუმბათის მაგივრობას ნევს, ნახევარწრიული და ჯვაროვანი კამარები; ამგვარად, **საქართველოში V-VII საუკუნეებში უკვე გავრცელებულია კონსტრუქციები, რომლებშიც შუა საუკუნეთა ევროპაში მხოლოდ რომანულ აპოქაში მოიპოვებდნენ.****

IV-VII საუკუნეთა ხუროთმოძღვრების ისტორიული მიმოხილვა

პირველი ქართული ეკლესია, რომელიც IV ს-ის 30-იან წლებში ააშენა მირიან მეფემ საქართვე-

ლოს განმანათლებლის, წმ. ნინოს მითითებით, აღარ გადარჩენილა. მეორე ეკლესიისაგან, რომელიც იქვე ააგო ვახტანგ გორგასალმა (V ს-ის მეორე ნახევარში), გადარჩა ცალკეული ნაწილები, ამჟამად ჩართული სვეტიცხოველის დღევანდელ კორპუსში (1970-71 წლებში ჩატარებულმა მუშაობამ გამოავლინა, ცალკულ ფრაგმენტებთან ერთად, გორგასალისეული ეკლესიის მთელი მოხაზულობა და მირიანისეული სამლოცველოს კვალიც). ქართველი მათიანეები იმ ადრინდელ ხანაში ყოველთვის აღნიშნავდნენ ეკლესიის აშენების ფაქტს, რადგანაც მაშინ ეს ახალი ამბავი იყო და ახალი იდეოლოგიის დანერგვას ემსახურებოდა. მათიანეების ცნობით, **პირველი ქართველი ქრისტიანი მეფის — მირიანისა და მისი მემკვიდრეების ბაკურის, მირდატისა და სხვათა დროს, მცხეთის გარდა, ეკლესიები აუშენებიათ ურუშეთში, მანგლისში, ბოდბეში, წილკანში, ნეკრესში, რუსთავში, წუნდასა და თუხარისის ციხეში, ე.ი. ისტორიულ პროვინციებში ქართლში, კახეთსა და მესხეთში.** თითქმის ყველა ამ ჩამოთვლილ პუნქტში ეკლესია დღესაც არსებობს, მაგრამ ყველა უფრო გვიანდელია, თუმცა ზოგი კი მაინც ადრინდელ ხანას მიეკუთვნება. მხოლოდ **ნეკრესის მონასტრის** (კახეთშია) სხვადასხვა დროინდელ ნაგებობათა შორის დგას ერთი სულ პატარა ეკლესია, რომელსაც მკვლევარნი IV საუკუნეს მიაკუთვნებენ და მათიანეთა ცნობებს უკავშირებენ. ეს ნატეხი ქვით ნაშენი სამნავიანი ეკლესიაა (ჩვენ უკვე ვთქვით, რომ კახეთი საქართველოს ერთადერთი კუთხეა, სადაც თლილ ქვას არ ხმარობდნენ). იგი აღმართულია საგანგებო სუბსტრუქციაზე, რომელშიაც კრიპტა (სამარხი) არის მოთავსებული. შენობის თავისებურებას ის შეადგენს, რომ მას სიგანე მეტი აქვს სიგრძეზე, და არა პირიქით, როგორც ნამდვილ ბაზილიკაში უნდა იყოს, შიგნით მას არა აქვს ბოძები, რომელთა მწკრივი, აგრეთვე, დამახასიათებელია ბაზილიკისათვის, მისი ნა-



ვეები ფართოდ გახსნილი თითო თალით უკავშირდება ერთმანეთს. გვერდის ნავეებსაც ღია თაღები ჰქონდა გარეთკენ, ასე რომ, მთელი შენობა გამჭოლი ფანჯატურით იყო. ეს საშუალებას აძლევდა მლოცველთ წირვის დროს გარეთ დარჩენილიყვნენ. დღეს ძნელია **ნეკრესის სამლოცველოს** თავდაპირველი სახის წარმოდგენა — დროთა განმავლობაში იგი დაზიანდა, გადარჩა მხოლოდ შუა და ჩრდილოეთის ნავეები. აქ ჯერ კიდევ ნაადრევია რაიმე მკაფიოდ დასახული მხატვრული ამოცანის შესახებ ლაპარაკი. ეს მხოლოდ მიახლოებაა ახალი ამოცანების ამოხსნასთან. მაგრამ დამახასიათებელია, რომ ნეკრესის მშენებელმა თავისი სამლოცველო მხოლოდ გარეგნულად დაამსგავსა ბაზილიკას (სამი ნავი, რომელთაგან შუა ძლიერ ამოზიდულია ორ დანარჩენთან შედარებით), მაგრამ უგულვებლყო ბაზილიკის ისეთი არსებითი მხარეები, როგორიცაა ხაზგასმული სიგრძივი ღერძი და სივრცის დამანაწილებელი ბოძების მწკრივი. V საუკუნის პატარა ეკლესია კახეთის მეორე მონასტერია — ძველი შუამთის — ანსამბლში თითქოს ბაზილიკური თემის განვითარების შემდეგ საფეხურს გვიჩვენებს. აქ უკვე საგრძნობია სივრცის დაგრძელება აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძის გასწვრივ, ნავეები ერთმანეთისგან გაყოფილია ბოძებზე დაბჯენილი ორ-ორი თალით; მაგრამ თაღოვანი მალეების სიგანე უბრალო კარის სიგანეს არ აღემატება. გვერდის ნავეები ვიწრო და გრძელი კორიდორებია, საკუთარი საკურთხევის აფსიდების გარეშე. დასავლეთით ეს ორი განაპირა ნავი განივი ნავით უკავშირდება ერთმანეთს. ამის გამო, შუა ნავის გარშემო სამხრეთი გარშემოსავლელი იქმნება, ხოლო გვერდის ნავეებს უბრალო დერეფნების მნიშვნელობა-ლა რჩებათ.

ეს თავისებურებები შეიძლება საგანგებოდ არც აღვნიშნა, რომ მათ აქ შემთხვევით ვხვდებოდეთ; იგივე მეორდება V ს-ის კიდევ ერთ ძეგლში, **მატანის ე.წ. ცხრაკარის**



ცხრაკარის მონასტრის მთავარი ნაგებობა ბაზილიკა, აშენებულია V საუკუნის შუა წლებში

მონასტრის ბაზილიკაში (ესეც კახეთშია — ამ კუთხემ შემოგვინახა ქრისტიანობის პირველი ხანების ხუროთმოძღვრების ყველაზე მეტი ნიმუში). შემდეგში ეს მოტივი ადგილს დაიმკვიდრებს ზემოთ უკვე მოხსენებული ორიგინალური ტიპის — სამეკლესიანი ბაზილიკის ნიმუშებში.

სამეკლესიანი ბაზილიკის ტიპის პირველი ნიმუშები VI ს-ის შუა წლებს მიეკუთვნება. მათი წარმოშობის მიზეზი, როგორც ჩანს, ის იყო, რომ სურდათ, დღის განმავლობაში რამდენიმეჯერ გადაეხადათ წირვა და ყოველი წირვისთვის ცალკე საკურთხეველი ჰქონოდათ. უძველესი ნიმუშების აღნაგობა ელემენტარულია. სამი ნაგრძელებული სადგომი ერთიმეორის გვერდით, ერთმანეთთან დაკავშირებული კარით; შუა სადგომი დანარჩენ ორზე რამდენადმე უფრო მაღალი და ფართოა, რის გამოც გარედან შენობას ნამდვილი ბაზილიკის იერი აქვს. შემდეგში, ახალ პრაქტიკულ მოთხოვნილებათა გაჩენასთან ერთად (მაგ. როცა რიტუალისათვის საჭირო სადიაკვნე და სამკვეთლო გამოჰყვეს), მხატვრულ ამოცანათა უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბების შემდეგ, ტიპი თანდათან რთულდება, კომპოზიციურად უფრო მთლიანი და შეკრული ხდება. გვერდის ნავეები ერთმანეთს უკავშირდება დასავლეთის შემაერთებელი გალერიით (ამ მოტივის ადრინდელი ნიმუში

ჩვენ უკვე ძველ შუამთაში ვნახეთ); ამ გალერიიდანაა შესასვლელი შუა ეკლესიაში (ნავში), რომელიც დომინანტის მნიშვნელობას იძენს; ჩნდება ახალი, დიდად მეტყველი, მოტივი — ორ ან სამთალიანი ღია შესასვლელები გვერდის ეკლესიებისა, მრგვალ ბოძებზე დაყრდნობილი თაღებით. სამეკლესიანი ბაზილიკის ნიმუშებია VI-VII საუკუნეების ეკლესიები ზეგანში, ზემოთ უკვე მოხსენებულ **ნეკრესის მონასტერში** (ორივე კახეთშია); ქვემო ბოლნისი (1,5 კმ-ით დაშორებული ჩვენთვის უკვე ნაცნობ ბოლნისის სიონს); გვიან ხანებში ძლიერ გადაკეთებული ეკლესია შუა საუკუნეების ქალაქ (ან ნაქალაქარ) დმანისში (ქვემო ქართლში, თბილისიდან დაახლოებით 100 კმ. მანძილზე სამხრეთ-დასავლეთით). ცალნავიანი ეკლესია საკულტო ნაგებობის უმარტივესი ტიპია. ეს არის ნაგრძელებული სწორკუთხედი, რომელიც შიგნით, აღმოსავლეთის მხარეს ნახევარწრიული აფსიდით მთავრდება. იშვიათ გამონაკლისს გარდა, აფსიდი გარეთ გამოშვერილი არ კეთდება, არამედ სწორკუთხედის ფარგლებშივე რჩება (საქართველოში არსებობს სწორკუთხა საკურთხევიანი ცალნავიანი ეკლესიებიც, მაგრამ ეს ტიპი ფართოდ არ გავრცელებულა). სახურავი ორფერადაა, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადებზე ფრონტონებს ქმნის. შესასვლელი, ჩვე-

ულებრივ, სამხრეთით ან დასავლეთითაა, მოზრდილ ეკლესიებში — ორივე მხარეს. სწორედ გეგმისა და კონსტრუქციის სიმარტივეს მიეწერება, რომ ცალნავიანი შენობის ტიპი დიდად გავრცელდა სოფლის ეკლესია-სამლოცველოების მშენებლობაში. უფრო გვიან, როდესაც უგუმბათო ეკლესიების ყველა სხვა ტიპი წყვეტს არსებობას, ცალნავიანი ეკლესია სულ ბოლომდე რჩება გუმრათიანი ტაძრების „თანამგზავრად“. ხუროთმოძღვრული მასის სიმარტივე ცალნავიანი ეკლესიის მშენებელს თითქოს რამდენადმე ზღუდავს, და მაინც, ადრინდელი სახის ძეგლები ამ ტიპისა გვიზიდავს თავისი მხატვრული ღირსებებით: პროპორციები ჰარმონიულია, კედლების წყობა მშვენიერი (ზოგი კედლის პერანგი ორიოდ ათეულ ქვას თუ შეიცავს), იგრძნობა ის მომხიბვლელი არტიზტიზმი, რომელიც იმ დროს თანაბრად ახასიათებს დიდ ძეგლებსაც და მცირეთაც. ნიმუშებად შეიძლება დავასახელოთ **ოლთისის პატარა ეკლესია ნალკაში** (ახლა ამ სოფელს კუშჩი ეწოდება), აგრეთვე, ორი სამლოცველო ე.წ. **კაცხის სვეტზე** იმერეთში ჭიათურის რაიონში. თუმცა VI ს-ში კვლავ ბევრი ბაზილიკა, სამეკლესიანი ბაზილიკა და მცირე ერთნავიანი სამლოცველო აშენდა, ამ საუკუნის ნახევრიდან საკულტო არქიტექტურის უმთავრეს თემად თანდათანობით გადაიქცა გუმბათოვანი ტაძრის თემა, რომელმაც ასიოდ წლის მანძილზე თვალსაჩინო ევოლუცია განიცადა; შემდეგშიც, საუკუნეთა მანძილზე, გუმბათოვანი ხუროთმოძღვრება, რომელსაც, როგორც უკვე ვთქვით, ადგილობრივ ღრმა ფესვები ჰქონდა, შეინარჩუნებს უპირველეს მნიშვნელობას — ყველაზე უფრო საინტერესო შემოქმედებითი ძიება და წარმატება მასთან არის დაკავშირებული. რა თქმა უნდა, მაშინდელ გუმბათიან ეკლესიათა უმეტესობამ ვერ მოაღწია დღემდე. ზოგი სულ დაიღუპა, ზოგი უფრო გვიან ძლიერ გადააკეთეს, მაგრამ დარჩენილთა მი-



ატენის სიონი

ხედვითაც შეიძლება საკმაოდ ნათელი სურათი წარმოვიდგინოთ. ირკვევა, რომ **VI-VII საუკუნეებში გუმბათიან ნაგებობათა რამდენიმე ტიპი არსებობს: ტეტრაკონქების ვარიანტები, „თავისუფალი ჯვრის“ ტიპი — აგრეთვე, რამდენიმე ვარიანტით, „ჩახაზული ჯვრის ტიპი“ და სხვ.**, ამ ტიპთაგან ადრინდელ ხანაში ყველაზე უფრო საინტერესო ევოლუცია ტეტრაკონქმა განვლო. ყველა ამ ეკლესიაში VII საუკუნემდე, **ნრომის ტაძრამდე**, გუმბათი ეყრდნობა უშუალოდ კედლებს და არა ბოძებს. ცალკე მდგომი ბოძები მანამდე საერთოდ არ გვხვდება. ყველა გუმბათიანი ეკლესია (იმავე ნრომამდე) ცენტრულია, ე.ი. მათი ორი ღერძი — აღმოსავლეთ-დასავლეთისა და სამხრეთ-ჩრდილოეთისა — ან ერთნაირია, ან პირველი მხოლოდ ოდნავ სჭარბობს მეორეს. ადრინდელი ნიმუშები მცირე და მარტივია. შემდეგ, VI ს-ის მეორე ნახევარსა და VII ს-ში, ზომებიც იზრდება და კომპოზიციებიც რთულდება. ერთი დამახასიათებელი მაგალითთაგანია **შიომღვიმის სამონასტრის ძველი ეკლესია VI ს-ის 50-60-იანი წლებისა** (თბილისიდან 40-ოდე კმ. მანძილზე, ჩრდილო-დასავლეთით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ეს მცხეთის რაიონია). **ურბნისში** (ქარე-

ლის რაიონი, მტკვრის მარცხენა ნაპირზე) სიგრძივი ღერძი, ე.ი. საკუთრივ ბაზილიკურობა უფრო მკვეთრადაა გამომჟღავნებული, ვიდრე ბოლნისში: ბოლნისში სიგანისა და სიგრძის შეფარდება (შიგნით) 1:1,8 არის, ურბნისში კი თითქმის 1:2,26. VI საუკუნის სხვა მნიშვნელობანი ბაზილიკებია **წყაროსთავი ისტორიულ ჯავახეთში** (თურქეთის ტერიტორიაზე იყო, მაგრამ უკვე აღარ არსებობს), **ხაშმის სამება** (V-VI საუკუნეების მიჯნა) და **ურიათუბანი** (ორივე კახეთში). VI ს-ის მეორე ნახევარსა და VII საუკუნეში ქართულ ბაზილიკათა განვითარებაში ახალი ეტაპი იწყება. განსაკუთრებით დამახასიათებელია სიგრძივი ღერძის საგრძნობი დამოკლება. ახშანის მახლობლად მდებარე „გორისჯვრის“ ეკლესიასა და ბაიხოში გეგმა თითქმის კვადრატს უახლოვდება. შემდეგ, VIII-IX საუკუნეებში, ეს მისწრაფება სპეციფიკური ბაზილიკური სივრცის უარყოფისა კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება. არის ისეთი გეგმებიც, რომლებიც ძლიერ უახლოვდება გუმბათოვანი ეკლესიების გეგმებს. გუმბათოვანი ეკლესიების გავლენა სივრცის აგების ზოგ თავისებურებაშიც იჩენს თავს. **მცხეთის ჯვარი** წინა დროის ქართული ხუროთმოძღვრების ძი-



ებათა დამაგვირგვინებელი და ყველაზე სრულად განმასახიერებელი ნაწარმოები — საფუძველს უყრის განვითარების მთელ საფეხურს: VII ს-ში იქმნება ანალოგიურ ძეგლთა მთელი ჯგუფი, რომლებიც გეგმისა და საერთო აგებულების მხრივ დიდად უახლოვდება მცხეთის ჯვარს, მაგრამ ბუნებრივია, კერძო თვისებებითა და დეტალებით განსხვავდება მისგან. დამახასიათებელი და მნიშვნელოვანია, რომ ეს ძეგლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებშია, რაც მოწმობს, რომ ქართველი ერის კულტურული ერთიანობა წინ უსწრებს მის სახელმწიფოებრივ გაერთიანებას: **ატენის სიონი** ქართლშია, გორის სამხრეთით, 10-12 კმ. მანძილზე, ძველი შუამთა კახეთშია (ჩვენ უკვე გავეცანიოთ იქაურ ბაზილიკას), მარტვილი - დასავლეთ საქართველოში, ეგრისში. მათ შესახებ იხ. ანოტაციებში. დასასრულ, უნდა დავუმატოთ, რომ ჯვარის ტიპი, ე.ი. კუთხის ოთახებიანი ტეტრაკონქი, ცნობილია მხოლოდ საქართველოსა და სომხეთში. იქაური ნიმუშები ქართულ ნიმუშთაგან განსხვავდება გარკვეული თავისებურებებით, ისე როგორც საერთოდ ამ ორი ქვეყნის ხუროთმოძღვრება. (ერთი განმასხვავებელი ნიშანთაგანია ის, რომ ჯვარის ტიპის სომხური ძეგლები გარედან ერთიან ბლოკს წარმოადგენს — მთელი შიდა გეგმა გარედან მკაცრ სწორკუთხედშია მოქცეული: ქართული ნიმუშების გარეგანი მასები კი უფრო დიფერენცირებულია აფსიდთა შვერილების წყალობით. განსხვავებულია პროპორციები, შენობის კორპუსისა და გუმბათის ყელის შეფარდება და სხვ.). **საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ პროვინცია ტაოში VI ს-ში აშენდა ერთისა და იმავე ტიპის ორი მონუმენტური კათედრალი იშხანსა და ბანაში.** მათი გეგმა ტეტრაკონქის თემის თავისებური ვარიანტია — ტეტრაკონქი მრგვალი გარემოსავლელით. კონსტრუქციული თვალსაზრისით, ეს ფრიად ორიგინალური და რთული შენობებია. მოგვიანოდ, IX და XI საუკუნეები



საშმის სამება (მიჰაუთონება V-VI საუკუნეების მიჯნას)

იშხნის ტაძარი საფუძვლიანად გადააკეთეს. სამოქალაქო არქიტექტურის ძეგლთაგან სხვებზე უკეთაა ცნობილი ძველი ქალაქის — **უჯარმის** ციტადელი — ივრის მარჯვენა ნაპირზე, გარეკახეთში, თბილისიდან დაახლოებით 40 კმ დაშორებით აღმოსავლეთისაკენ. ქალაქი წარმოიშვა ანტიკურ და ადრეფეოდალურ ეპოქათა მიჯნაზე, მაშინ იგი ქართლის სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილში იყო. **IV-VI საუკუნეებში უჯარმა, თბილისსა და მცხეთასთან ერთად, ერთი უმთავრესი ცენტრთაგანია ქართლისა.** ერთხანს აქ მეფის რეზიდენციაც იყო, შემდეგ კი საუფლისწულო ქალაქად დარჩა. იმდროინდელი სიმაგრეებისა და ციხე-ქალაქების ნანგრევები დასავლეთ საქართველოშიაც არის დარჩენილი, მაგრამ ამ ძეგლთა დღევანდელი მდგომარეობა ისეთია, რომ მათს ხუროთმოძღვრებაზე საუბარი ძნელია, თანაც ეს ძეგლები ჯერ კიდევ საკმარისად გამოკვლეული არ არის. თუ **IV-VII საუკუნეთა** ქართული ხუროთმოძღვრების ზოგადად დახასიათებას მოვისურვებთ, უპირველესად, უნდა ითქვას, რომ მისი თვისებებია საერთო აგებულების სიმკაცრე და სიცხადე, სრული წონასწორობა და სიმეტრიულობაც კი მასებისა, რომლებიც საფეხურებად იზრდება საფუძვლიდან გუმბათამდე; შენობათა აღქმის ფრონტალობა; დიდებულება, მონუმენტალობა და, იმავე დროს, ადამიანურობა მასშტაბისა, მშვიდი პროპორციუ-

ლი შეფარდებანი (ხაზგასმული ვერტიკალების გარეშე); განწყობილების სიხალისე, მაჟორულობა, სამკაულთა სიძუნწე, მათი გამოყენება მხოლოდ მახვილებად, რომლებიც ხაზს უსვამს ნაგებობის ამა თუ იმ ნაწილს. ეს „წმინდა წყლის“ არქიტექტურის ხანაა, კლასიკურობის სულით გამსჭვალული ხანა, როდესაც განსაკუთრებული ძალით იგრძნობა დაუფარავი კონსტრუქციის — მძლავრი კედლის, თალის, კამარის, ტრომპის, კონქის — სილამაზე და მატერიალურობა. VI საუკუნის დასასრულს და VII საუკუნის პირველ ნახევარში, სტილის მომნიშვნის პერიოდში, მიღწეულია ნაგებობის ყველა ნაწილის, მთელისა და ნაწილთა სრული ჰარმონია, სრული ერთიერთშეპირობება, კანონზომიერება. მცხეთის ჯვარი, წრომი, სამწევრისი ძალაუნებურად მოგვაგონებენ მშვენიერის განსაზღვრას რენესანსის დროის დიდი თეორეტიკოსის — ლეონ-ბატისტა ალბერტის მიერ: „მშვენიერია ხელოვნების ის ნაწარმოები, რომელშიც ვერც ერთ დეტალს ვერ შეცვლი ისე, რომ ამან მთელის დარღვევა არ გამოიწვიოს“-ო. VII საუკუნის მეორე ნახევრიდან და VIII საუკუნეში ქართულ ხუროთმოძღვრებაში განვითარების ახალი საფეხური იწყება.

**დასასრული
შემდეგ ნომერში
პასტანბ ბერიძე,
ძველი ქართული
ხუროთმოძღვრება, თბ., 1974**



ჩვენი კლანების ტექნოლოგიური მომავალი ოკეანის ფსკერზე დევს

1968 წლის მარტში საბჭოთა წყალქვეშა ნავი „გოლფი II“ ბირთვულ ბალისტიკურ რაკეტებთან ერთად აფეთქდა და ჩაიძირა ჰავაის კუნძულების ჩრდილო-დასავლეთით ასობით კმ-ის მოშორებით. 5 თვის შემდეგ ამერიკელებმა იპოვეს სუბმარინის ნამსხვრევები და მათი მოპარვა გადაწყვიტეს. მას შემდეგ დაიწყო პროექტი AZORIAN-ი — ერთ-ერთი აბსურდული და ამბიციური ოპერაცია, რომელიც კი ოდესმე ჩაუფიქრებია აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს.

წარმატების შემთხვევაში პროექტ AZORIAN-ის პოტენციური სარგებელი კოლოსალური იქნებოდა — დეტალური ინფორმაცია საბჭოთა შეიარაღების შესაძლებლობებზე, ასევე, წვდომა რომელიმე ძალიან სასურველ კრიპტოგრაფიკულ მონაცემებზე... მაგრამ 1750-ტონიანი სუბმარინა 5 ათასი მეტრის სიღრმეში ჩაინთქა. მის ამოყვანას მხოლოდ მასიური ხომალდი შეძლებდა, ამიტომ ცსს-მ დაიქირავა ცნობილი ინჟინერი და მილიარდერი ბიზნესმენი ჰოვარდ ჰიუზი, რათა შეეთხზათ ლეგენდა, რომელიც გაამართლებდა 200-მეტრიანი ხომალდის მშენებლობას.

ლეგენდის მიხედვით, ჰიუზს დასჭირდა მარგანცის კონკრეციების (ეს არის კარტოფილისხეულა პატარა ქვები, მომრგვალო ფორმის მინერალური წარმოქმნები ნალექ ქანებში, რომლებიც ბუნებაში წარმოიქმნება აბსალურ დაბლობზე, ანუ ოკეანის ბრტყელ ფსკერზე) მოპოვება თავისი ჰოლდინგური კომპანიის — Summa Corporation-ისთვის, ამიტომ მილიარდერი-მრეწველი ზღვის ფსკერზე განძის საპოვნელად აგებს არაჩვეულებრივ ახალ ხომალდს. ხომ დამაჯერებლად ისმის? ჰოდა, საზოგადოებამაც დაიჯერა.

„იმხანად ადამიანები ვერ ხვდებოდნენ, რომ ეს იყო დიდი ხრიკი, — ამბობს ოკეანოგრაფი **ფრანკ სანსონი** ჰავაის უნივერსიტეტიდან, — უბრალოდ, წარმოიდგინეთ: **ნამდვილი მიზანი რომ და-**

ეფარა, ცსს-მ შექმნა მარგანცის კონკრეციების კვლევის მთელი ხაზი“.

გადიოდა წლები, ათწლეულები და კერძო კომპანიებმა აღმოაჩინეს, რომ **მარგანცის კონკრეციები უზარმაზარი რაოდენობით შეიცავს იზვიათ ელემენტებს, რომლებიც საჭიროა ჩვენი კომპიუტერების, სმარტფონების, თავდაცვითი სისტემებისთვის და ა.შ. თანამედროვე ცხოვრებაში ამ ელემენტების საჭიროება განუსაზღვრელია, მაგრამ ხმაელთზე მათი მოპოვების წყაროები — შეზღუდული.**

და აი, ცსს-ს შეთქმულებიდან 40 წლის შემდეგ, ჩვენ წყალქვეშა ციებ-ცხელების ზღვარზე აღმოვჩნდით.

ერთხელაც, შესაძლოა, ოკეანის ფსკერზე არსებული იშვიათი ელემენტების უზარმაზარი მარაგი შევქმნათ, მაგრამ ზღვის ფსკერის დამუშავება მარტივი არ იქნება. ის ბევრ რისკთან და ტექნიკურ სირთულესთან იქნება დაკავშირებული. თავისი გეოქიმიური შემადგენლობის გამო ამ იშვიათი ელემენტების დამუშავებას განსაკუთრებული ტექნოლოგია სჭირდება. ეს ძვირად ღირებული და შრომატევადი პროცესია, რომელსაც ახლავს დიდი რაოდენობით რადიაქტიური ნარჩენი.

უამრავი მაგალითია იმისა, რომ ეს ლითონები თანამედროვე ტექნოლოგიებს ხდის უფრო სწრაფს, იოლს, საიმედოსა და ეფექტიანს.

მაგალითისთვის იშვიათი ელემენტებიდან ავიღოთ **პროპიუმი** (ქიმიური ნივთიერება ლანთანოიდების ჯგუფიდან), რომელიც გამოიყენება ელექტრონულ-სხივურ მილებსა და თხევადკრისტალურ დისპლეებში. 1კგ ევროპიუმის ფასი 2000 დოლარია; ხოლო **ირბიუმი**, რომელიც ბიჭკოვან კაბელში ლაზერის გამამდიერებელად გამოიყენება, 1 კგ 1000 დოლარი ღირს; **იტრიუმით** ფარავენ მფრინავი აპარატების რეაქტიული ძრავის ზედაპირს, რათა დაიცვას სხვა ლითონები გადახურებისგან; **ნეოდიუმი** კი შენადნობს ანიჭებს ნეოდიუმ-მაგნიტურ მაღალ გამძლეობას და ფართოდ გამოიყენება ისეთ პროდუქტებში, როგორცაა: მიკროფონები, პროფესიული ხმამაღლ-ამოლაპარაკეები, უკაბელო ყურსასმენები და კომპიუტერის დისკები, რომლებსაც აქვს მცირე მასა და მცირე მოცულობა და საჭიროებს მკაცრ მაგნიტურ ველს. ნეოდიუმის უფრო დიდი მაგნიტები გამოიყენება მაღალი სიმძლავრის ელექტრულ ძრავებსა (მაგალითად, ჰიბრიდულ მანქანებში) და გენერატორებში.

ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება. იშვიათი ელემენტებს ისეთი მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჩვენს ცხოვრებაზე, რომ მათი დეფიციტი, ბუნებრივი რესურსების საბჭოს აზრით, „ჩვენს ცხოვრებაზე ნეგატიურ გავლენას იქონიებს“.

ეს ანუხებთ დიდი სახელმწიფოების ხელისუფალთ, მათ შორის, აშშ-ისას. ის მთლიანად არის დამოკიდებული იშვიათი ელემენტების იმპორტზე, ხოლო დიდი ნაწილი ამ იმპორტისა ჩინეთიდან შემოდის.

მრავალი წლის განმავლობაში ამერიკული კომპანია Molycorp-ი იშვიათი ელემენტების დიდ ნაწილს მოიპოვებდა მაუნთინ-პა-



სის შახტებში — კალიფორნიის შტატში, მაგრამ XX საუკუნის 80-იან წლებში მონღოლეთსა და ჩინეთის სამხრეთში ამ ლითონების უზარმაზარი საბადო აღმოჩნდა. იაფი მუშახელითა და, პრაქტიკულად ყოველგვარი ეკოლოგიური რეგულაციების გარეშე, ჩინურმა სამთომომპოვებელმა კომპანიებმა შეძლეს, უკან ჩამოეტოვებინათ ამერიკელული მრეწველობა 1990-იან და 2000-იან წლებში. 2002 წელს Molycorp-მა შეაჩერა სამთომომპოვებითი საქმიანობა. 2010 წლისთვის ჩინეთი ბაზრის 97%-ს აკონტროლებდა.

და, აი, მაშინ დაიწყო ჩინეთმა „კუნთების თამაში“: ჯერ კვოტები შემოიღო იშვიათმინა ლითონების ექსპორტზე, ხოლო 2010 წლის სექტემბერში ჩინეთის მთავრობამ იაპონიასთან საზღვაო საზღვრის თაობაზე უთანხმოების გამო შეწყვიტა იშვიათმინა ლითონების ექსპორტი. ყოველივე ეს საერთაშორისო ბაზარზეც აისახა — იშვიათმინა ლითონები გაძვირდა, რადგან ტექნოლოგიურმა კომპანიებმა დაიწყეს საკუთარი მარაგების შექმნა იმის შიშით, ვაითუ, მომავალში ამ ელემენტების მიწოდებაში პრობლემები შეიქმნებოდა. ეკონომისტმა **პოლ კრუზმანმა** ამერიკელი პოლიტიკოსები დაადასაშაულა იმაში, რომ „მათ ჩინეთს ხელში ჩაუგდეს იშვიათმინა ლითონებზე მონოპოლია, რაც სიზმარშიაც კი არ დაესიზმრებოდათ ახლო აღმოსავლეთის ნავთობტირანებს“.

გავიდა წლები და ბევრმა ქვეყანამ



ნამ დაიწყო იშვიათმინა ლითონების საკუთარ წარმოებაზე ზრუნვა. 2014 წლის ბოლოს მსოფლიო საავტორო ორგანიზაციამ ჩინეთის წინააღმდეგ, მისი არასწორი სავაჭრო პრაქტიკის გამო, მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც აიძულა ჩინეთის ხელისუფლება, გაეუქმებინა კვოტები იშვიათმინა ელემენტებზე. შედეგად ფასები მკვეთრად დაეცა.

იშვიათმინა ელემენტებზე დეფიციტის გაჩენის შიშმა აშშ-ის პოლიტიკაზეც საგრძნობლად იმოქმედა. ქვეყნის ენერჯეტიკის სამინისტრომ მილიონობით დოლარი ჩადო იშვიათმინა ელემენტების გამოყენების შემცირების მიზნით ჩატარებულ კვლევებში. შედეგად, ზოგიერთმა სფერომ უარი თქვა მათ გამოყენებაზე, მაგ., **იშვიათმინა ელემენტებს**

ალარ იყენებს „ტისლა“ თავის ბატარეებსა და ქრავებში, მაგრამ ზოგიერთ სფეროში ამის გაკეთება ჯერჯერობით შეუძლებელია. ამიტომ, ამ ელემენტებზე მოთხოვნა მომავალში მხოლოდ გაიზრდება.


„ეკონომიკაში, რომელშიც იშვიათმინა ელემენტების გამოყენება იზრდება, უბრალოდ, არ შეიძლება გზიდან გადახვევა, — ამბობს კინგი, — ბოლოს და ბოლოს, ახალი შახტების გახსნა მოგვიწევს“.

1974 წლის ზაფხულს წყალქვეშა ნავის გადარჩენის ოპერაციის ექვსწლიანი მზადება კულმინაციას მიუახლოვდა. მის ამოსაყვანად დაპროექტებული 36-ტონიანი ხომალდი მართლაც უნიკალური იყო, მაგრამ ნავის წყლიდან ამოღება დაუზიანებლად მაინც ვერ მოხერხდა — იგი შესაბამისი სამუშაოების შესრულებისას ორად გაიხლიჩა. დაშლილი ხომალდის ნაწილების ორი მესამედი, მათ შორის ბირთვული რაკეტები და სამხედრო-საზღვაო კოდური ნიგნები, ისევ ოკეანის ფსკერზე დაეშვა. სსრ კავშირის 6 სამხედრო-საზღვაო ოფიცრის გვამის გარდა, გაურკვეველია, კიდევ რისი ამოტანა შეძლო Hughes Glomar Explorer-მა ოკეანიდან. როგორც ამბობდნენ, იყო, სულ ცოტა, სამი ვერსია, თუ როგორ განვითარდა ეს ისტორია. ჩვენ კი, ალბათ, ვე-

მიუხედავად იმისა, რომ ზღვის ფსკარის დაშვებების ტექნოლოგია ვითარდება, Nautilus Minerals-ი 2018 წელს გეგმავს ზღვის ფსკარზე პირველი მოპოვებითი საშუაოების დაწყებას. მარგანეზის კონკრეტების მოპოვება შეზღუდული რჩება, რადგან ჯერჯერობით არ არსებობს საერთო მოპოვებითი სისტემა, რომელიც შეაქვს წყლის 3 ატმოსფერული სიღრმის ნივთიერების ამოწმებას. ჯერ არავის გაუხია პასუხი კითხვაზე: როგორ მოვიპოვოთ ეს ნივთიერებები?



რასდროს გავიგებთ სიმართლეს. ცსს-მ მეორე მისია მოიფიქრა წყალქვეშა ნავის გადასარჩენად, მაგრამ, სანამ თანხმობას მიიღებდა, რეპორტიორმა ჯეკ ანდერსონმა, რომელიც თვალყურს ადევნებდა პროექტ „აზორიანს“, ეროვნულ ტელევიზიაში ფარდა აჭხადა ამ ისტორიას და ძალიან მალე „ლოს ანჯელეს თაიმსის“, „ვაშინგტონ პოსტისა“ და „ზენიუ იორკ თაიმსის“ გვერდებზე გაჩნდა მასალები ამის თაობაზე.



ამის შემდეგ ეს საქმე გაჩერდა, მაგრამ Ocean Minerals Company, რომელიც ამუშავებდა სამთომომპოვებითი სამუშაოების ტექნოლოგიებს, მომდევნო რამდენიმე წელი კლარიო-კლიპერტონის ზონაში (წყნარი ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილში) ანარმოებდა ექსპერიმენტებს ზღვის ფსკერიდან რესურსების მოპოვებაზე.

„ოკეანისთვის განკუთვნილი სამთომომპოვებელი მოწყობილობა, რომელიც ცსს-მ ააგო, რეალურად მუშაობდა, — ამბობს უილტშირი, — Ocean Minerals Company-მ გადანყვიტა მარგანეცის კონკრეციების მოპოვება და მუშაობდა ამაზე 1980-იანი წლების დასაწყისამდე“. ოკეანის ფსკერზე ამ ექსპედიციებმა მთელი რიგი სახელმწიფო დანესებულებებისა და კერძო კომპანიების ყურადღება მიიპყრო.

1960-იანი წლებიდან სამთომომპოვებელი კომპანიები მარგანეცის კონკრეციებს მოიპოვებდნენ უღრო მეტად ნიკელის, კობალტისა და სპილენძისთვის, მაგრამ დროთა განმავლობაში გეოლოგები მიხვდნენ, რომ ეს ქვები, ამასთანავე, შეიცავდა იშვიათი ელემენტებს, მათ შორის, ძალიან ძვირს. ერთი შეხედვით, მარგანეცის კონკრეციებში იშვიათი ელემენტების კონცენტრაცია (0,1%) შეიძლება ძალიან დაბალი მოგეჩვენოთ, რომელთა დაცილება-გამოცალკეება სხვა ელემენტებისგან შესაძლებელია ქიმიური ან ძლიერი ტემპერატურის ზემოქმედებით.


დღეს გლობალური იშვიათი მრეწველობა ანარმოებს 100 ათას

ტონაზე ცოტა მეტ ლითონს წელიწადში. მხოლოდ კლარიო-კლიპერტონის ზონაში არის 15 მილიონი ტონა იშვიათი ოქსიდები, ჩაკეტილი მარგანეცის კონკრეციები.

საქმე ის კი არ არის, რომ ოკეანის ფსკერზე ეს ელემენტები, არამედ ის, შესაძლებელია თუ არა მათი მოპოვება ისე, რომ ამ ბიზნესის წარმოებას აზრი ჰქონდეს.

40 წელი გავიდა, რაც პროექტმა AZORIAN-მა სათავე დაუდო ღრმა წყლებში სამთომომპოვებელ მრეწველობას. აღმოჩენილი იქნა არა მხოლოდ მარგანეცის კონკრეციები, არამედ სხვა რესურსებიც, მათ შორის, წყალქვეშა ვულკანების დროს წარმოქმნილი სულფიდები და რკინამარგანეცის ქერქი, რომელიც ასევე შეიცავს იშვიათი ელემენტებს.

მაგრამ ჯერჯერობით არც ერთ კომპანიას არ დაუწყია ზღვის ფსკერის დამუშავება კომერციული მიზნით.



მარგანეცის კონკრეცია

ღია ოკეანე ველური დასავლეთი არ არის. ხომალდ Hughes Glomar Explorer-ის პირველი ცურვიდან ცსს-მ მიიღო ზღვის კონვენცია, ღია ზღვაში მრეწველობის რეგულირების მიზნით. შედეგად, ჯგუფს სახელწოდებით „ზღვის ფსკერის საერთაშორისო ორგანო“ (ISA) ეკისრება პასუხისმგებლობა ზღვაზე სამთომომპოვების სიღრმის განსაზღვრისთვის და საერთაშორისო წყლებში ნებართვის გაცემის უფლებაც.

დღეს ათზე მეტ კომპანიას აქვს ლიცენზია კლარიო-კლიპერტონის ზონაში მარგანეცის კონკრეციების გამოკვლევაზე, მაგრამ ჯერ არავის მიუღია მათი ფაქტობრივი მოპოვების უფლება. თავდაპირველად ISA-მ უნდა შეიმუშაოს წესები, რათა ზღვის საბადოების დამუშავება არ იქცეს შოუდ, როგორც ეს ხშირად ხდება, როცა ადამიანები ხელთ იგდებენ რაღაც ახალს.

ბევრ ეკოლოგს ზარავს იმის წარმოდგენა, ნებართვის მიცემისთანავე, როგორ მიასკდებიან ზღვის ფსკერს ეს დამუშეული კორპორაციები და ძვირფასი ლითონების ძებნაში როგორ მოსპობენ ეკოსისტემას.

ჩვენ ვფიქრობთ ოკეანეზე, ის სავსეა თევზითა და ზღვის უხერხემლოებით. ეს სიცოცხლე, როგორც წესი, გეოგრაფიულად განსაზღვრულია და არ უყვარს თავისი წესების დარღვევა. ზღვის ბიოლოგი **კრიზ სმიტი** 2013 წელს აღნიშნავდა, რომ **ორგანიზმებს, რომლების კლარიო-კლიპერტონის ზონაში ცხოვრობენ, შეიძლება ათასობით წელი დას-**




ჭირდეთ, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შემდეგ იმ ადგილას ისევ რომ გამრავლდნენ.

სმიტისა და მისი თანამოაზრეების ვარაუდმა ISA მიიყვანა გადაწყვეტილებამდე, რომ ამ ზონიდან 550 ათასი კვ მილი ფართობი „ამოეჭრათ“ დაცვის მიზნით, მაგრამ დაცულ წყალსაც შეუძლია „იგრძნოს“ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შედეგები. მოპოვებითი სამუშაოების წარმოების პროცესში მომატებულმა ნალექმა, საკვებმა ნივთიერებებმა და ტოქსიკურმა ლითონებმაც კი შეიძლება გააუარესოს წყლის ხარისხი, იმოქმედოს თევზებისა და ზღვის წვრილი ბინადრების სიცოცხლეზე.

ეკოლოგიური პრობლემების გარდა, პოტენციურ მეშახტეებს ექნებათ კიდევ ერთი პრობლემა: უზარმაზარი ფინანსური რისკი.

მიუხედავად იმისა, რომ ზღვის ფსკერის დამუშავების ტექნოლოგია ვითარდება, Nautilus Minerals-ი 2018 წელს გეგმავს ზღვის ფსკერზე პირველი მოპოვებითი სამუშაოების დაწყებას. მარგანეცის კონკრეციების მოპოვება შეზღუდული რჩება, რადგან ჯერჯერობით არ არსებობს სამთომოპოვებითი სისტემა, რომელიც შეძლებს წყლის 3 ათასი მეტრის სიღრმიდან ათასობით ტონა წიაღისეულის ამოზიდვას. ჯერ არავის გაუცია პასუხი კითხვაზე: როგორ მოვიპოვოთ ეს ნივთიერებები?

ნებისმიერ კომპანიას, რომელიც ამ ნაბიჯს გადადგამს, მოუ-



იშვიათმიწაწარმოების მსოფლიო წარმოება 1950-2000 წწ.


დღეს ათუა მეტ კომპანიას აქვს ლიხენზია კლარინ-კლიპატონის ზონაში მარკანდის კონკრეციების გამოკვლევაზე, მაგრამ ჯერ არავის მიუღია მათი ფაქტობრივი მოპოვების უფლება. თავდაპირველად ISA-მ უნდა შეიშუშოს ნუსხი, რათა ზღვის საბადოების დაეუშავება არ იქნეს შოუდ, როგორც ეს ხშირად ხდება, როცა ადაპინაები ხელთ ივლიან რაღაც ახალს.

წევს, კარგად დაიხარჯოს ფსკერის გამოკვლევაზე, რომელშიც კონკრეციები, ასე თუ ისე, კონცენტრირებულია. ეს იგივეა, რაც სასარგებლო წიაღისეული ასტეროიდებზე მოიპოვო. ექსპერტები თვლიან, რომ სასარგებლო წიაღისეულის დამუშავება ოკეანეში გარდაუვალია.

ორმოცი წლის წინათ აშშ-

ის ხელისუფლებამ ასობით მილიონი ჩადო გაბადულ ინციტივებში, ოკეანის ფსკერიდან ამოეღო სამხედრო ტექნიკის ნაწილი. გაბუდავენ კი კარკო კომპანიები მსხვერპლ ნაბიჯის გადადგმას ახლაც, რათა ხელი მიუწვდეთ იშვიათმიწა ლითონებზე?

ფსონები არც ისე მაღალია, როგორც იმ დროს, როცა ორი ზესახელმწიფო ბირთვული ომის ზღვარზე იმყოფებოდა, მაგრამ მომავალში ფსონები შეიძლება გაიზარდოს. პლანეტაზე 7 მილიარდზე მეტი ადამიანია, რომლებსაც სულ უფრო მეტად უნდათ, ხელი მიუწვდებოდეთ ტექნოლოგიებზე. რადგან საზოგადოება წიაღისეული სათბობიდან ენერჯის უფრო სუფთა წყაროზე და უფრო წყნარ სატრანსპორტო საშუალებებზე გადადის, მოთხოვნა „იშვიათ მიწებზე“ და სხვა ეკოლოგიურ ლითონებზე მხოლოდ გაიზარდება.



სომალი HUGHES GLOMAR EXPLORER

რეზო გაბრიაძე — 80



მხატვარი, თეატრისა და კინოს რეჟისორი, მწერალი და მოქანდაკე რეზო გაბრიაძე დაიბადა 1936 წლის 29 ივნისს ქუთაისში. ის 35-ზე მეტი ფილმის ავტორია, რომელთა შორის არის „მიმინო“, „არ იდარდო“, „ქინ და ძა“, „შერეკილები“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „სამნი გზაზე“ და ა.შ.

1981 წელს რეზო გაბრიაძემ თბილისში დააარსა მარიონეტების თეატრი, რომელმაც პირველივე სპექტაკლიდან დაიპყრო მაყურებელის გული და მთელი მსოფლიოც შემოიარა.

რეზო გაბრიაძე მრავალი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელია, მათ შორის არის საფრანგეთის რესპუბლიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის კომანდორის ორდენი, სსრკ სახელმწიფო პრემია, პრემიები – „ნიკა“, „ტრიუმფი“, „ოქროს ნილაბი“, „ოქროს სოფიტი“, „ცარსკოსელსკაია პრემია“, შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია და ა.შ.

„გაბრიაძის სამყარო — ეს საქართველოა, მხოლოდ საქართველო და სწორედ საქართველო. იმდენად საქართველო, რომ აზრადაც არავის მოუვა, რომ საქართველოს ამ სახეს შეიძლება შემთხვევითი ჰყავდეს“, — ასე აფასებს რეზო გაბრიაძის შემოქმედებას რუსი მწერალი, პოსტმოდერნიზმის ფუძემდებელი რუსულ ლიტე-

რატურაში ანდრეი ბიტოვი. იტალიელ სცენარისტ ტონინო გუერას აზრით კი, „რეზო გაბრიაძე მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მხატვარია“.

„ის ნამვილად უდიდესი გამოგონებელია. მხატვრული სახეების მისეული სისტემა უაღრესად პირადი, ინტიმური ხასიათის მატარებელია და თეატრში პოეტური, ტრანსცენდენტური რეალიზმი შემოაქვს. მე არ ვიცნობ სხვა მსგავს სისტემას. თეატრის სხვადასხვა სფეროში მიღებულმა უზარმაზარმა გამოცდილებამ მას მისცა საშუალება, მიეღწია დამდგმელი რეჟისორის ისეთი იდეალისთვის, როგორც იყო გორდონ კრეგი. მისი ხელოვნება თავისი მხატვრული ძალითა და პოზიტიური ადამიანური ხედვით ამდიდრებს ევროპულ თეატრს, თან ისეთ დროს, როდესაც მას ეს ყველაზე მეტად სჭირდება“, — ეს ინგლისელი რეჟისორი პიტერ ბრუკია.

დაბოლოს Le Figaro: „რეზო გაბრიაძის თეატრი არტისტისა და პოეტის სულის ანა-

რეკლია. ის თავად წარმოადგენს თეატრს მთელ თავის მრავალფეროვნებაში: დრამატურში, პროდიუსარში, მუსიკოსში, დიზაინერში. ამ შემოქმედებითი მუშაობის შედეგი შესანიშნავია. მისი ნიჭი მრავალფეროვნაია“.

2010 წელს მარიონეტების თეატრის გვერდით რეზო გაბრიაძემ უნიკალური საათიანი კომპი ააშენა. ყოველი საათის ბოლოს მოხატული კარიდან გამოდის ანგელოზი და პატარა ჩაქუჩით ზარს რეკავს. მცირე თოჯინების თეატრი კომპიში არის განთავსებული და დღეში ორჯერ, 12:00 საათსა და 19:00 საათზე, შესაძლებელია საოცარი თოჯინური წარმოდგენის — „ცხოვრების წრებრუნვის“ ნახვა.


კომპის ქვედა მხარეს ორი კერამიკური პანოა განთავსებული, რომლის შემადგენელი რამდენიმე ასეული ფილა რეზო გაბრიაძემ საკუთარი ხელით დაამზადა და მოხატა. კომპი თბილისის მთავარ არქიტექტურულ ღირსესანიშნაობად იქცა.

„კომპის მშენებლობა, რომ დავინწყე, თითქოს დამსვეს რალაც მანქანაზე, რომელიც მოგზაურობს დროში. ასე აღმოვჩნდი სადღაც X-XIII საუკუნეში, — იგონებს რეზო გაბრიაძე კომპის მშენებლობის შესახებ, — შორეულ და ზღაპრულ ბიზანტიაში. კომპი უნდა ჩაწერილიყო არსებულ დროსა და სივრცეში. ჩემი მაგიდა აივსო ორნამენტებით სავსე ნიგნებით. იმ ორნამენტებით, რომლებიც ასე უხვად დაუტოვა ბიზანტიამ სამყაროს“.

ვულოცავთ ბატონ რეზოს 80 წლის იუბილეს, დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებებს ვუსურვებთ.



«რემონა»



«სტალინგრადი»





ISSN 1987-5908



9 771987 590006